ბიბლიოთეკა

ლელო

№210 (12 280)

6 სექტემბერი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოცნება მორჩა

გუშინ, შვეიცარიის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე 65:51 დაამარცხა რუმინეთი და საქართველოს საკალათბურთო ოცნება დაასამარა. შვეიცარიელებმა ამ მოგებით ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს, რუმინეთმა - მეორე. ორივე გაიდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის A დივიზიონში გამსვლელ პლეიოფში. რუმინეთი - სამ ჯგუფში საუკეთესო მეორეადგილოსნის სტატუსით. არადა, მათი გამარჯვების შემთხვევაში საუკეთესო მეორეადგილოსანი საქართველოს ნაკრები იქნებოდა, ახლა კი სულ ცოტა ორი წელიწადი ისევ მოგვიწევს B დივიზიონში ყურყუტი.

ჩვენი ჯგუფის გამარჯვებულმა ფინეთმა საკუთარ მოედანზე დაამარცხა ლუქსემბურგი 100:59, ხოლო ისლანდიამ - ავსტრია, 91:77.

B ჯგუფის გადამწყვეტ მატჩში ბრიტანეთმა სტუმრად გაანადგურა ბელარუსი 83:51 და პირველი ადგილი დაიკავა. პლეიოფში, A დივიზიონის ორი საგზურისთვის ითამაშებენ: ფინეთი-რუმინეთი და შვეიცარია-ბრიტანეთი.

8 სექტემბერი. ეროვნული. 19:00. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საქართველო-უკრაინა

# ოთხი ახალი სახე ეროვნულ ნაკრებში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



გუშინ, ეროვნულ ნაკრებს დახურული ვარჯიში ჰქონდა და მხოლოდ მცირე ინფორმაციებით შემოვიფარგლებით. თავიდანვე გამცნობთ, რომ ნაკრებს ის 5 ფეხბურთელი შეუერთდა, რომლებიც გუნდს გუშინწინ აკლდნენ - **კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი, ოთარ ხიზანეიშვილი, ზაალ ელიავა** და **ზურაბ მენთეშაშვილი.** ერთი სიტყვით, გუშინ, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გამართულ ნვრთნაში ეროვნულში გამოძახებული 25-ვე ფეხბურთელი მონაწილეობდა.

გუშინდელ წვრთნაში **კლაუს ტოპმიოლერმა** კიდევ 4 ახალი მოთამაშე დაიმატა საქართველოს ჩემპიონატიდან - "ამერიდან" **დავით ბოლქვაძეს, გრიგოლ დოლიძესა და გიორგი დეკანოსიძეს,** ხოლო "ვიტ ჯორჯიადან" **დავით ლომაიას.**

ნაკრების სრული სია კი ასე გამოიყურება: **გიორგი ლომაია, ნუკრი რევიშვილი, გიორგი მაკარიძე, კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი, გიორგი შაშიაშვილი, ლაშა სალუქვაძე, ალექსანდრე კვახაძე, ილია კანდელაკი, მათე ღვინიანიძე, ჯაბა კანკავა, ლევან ყენია, ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი, გიორგი მერებაშვილი, ალექსანდრე კობახიძე, დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე, გიორგი დეკანოსიძე, დავით ლომაია, გიორგი დემეტრაძე, ალექსანდრე იაშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, ლაშა ჯაკობია, დავით სირაძე, ოთარ მარცვალაძე, ოთარ ხიზანეიშვილი, ზაალ ელიავა და ზურაბ მენთეშაშვილი.**

ტოპმიოლერი ჯერ კიდევ გასულ პარასკევს ჩატარებულ პრესკონფერენციაზე დაგვპირდა, რომ ოთხშაბათს ნაკრების ფეხბურთელებს ერთმანეთთან ტესტმატჩში დააკვირდებოდა და სიტყვაც შეასრულა. მწვრთნელებმა ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელებს 15-წუთიანი 4 ტაიმი ათამაშეს.

კახა კალაძემ "მილანში" ორშაბათს ითამაშა და ორმხრივ თამაშში მონაწილეობა არ მიუღია, მწვრთნელებმა ის დაასვენეს. ასევე გუშინწინ ნათამაშებმა ზაალ ელიავამ და ზურაბ მენთეშაშვილმა ორი 15-წუთიანი ტაიმი ითამაშეს. გუშინ ისვენებდა **ილია კანდელაკიც,** რომელიც მსუბუქმა ტრავმამ შეაწუხა, მაგრამ როგორც გავიგეთ, საგანგაშო არაფერია.

დღეს ნაკრები 18 საათზე, "ამერის" სტადიონზე ივარჯიშებს.

**დავით ცაბაძე**



# ილია გიორგაძის მეოთხე ოლიმპიადა

11

## ვულოცავთ!

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ულოცავს მშვილდოსნებს - ხათუნა ნარიმანიძესა და ქრისტინა ესებუას, სპორტულ ტანმოვარჯიშეს ილია გიორგაძეს, მათ მწვრთნელებსა და შესაბამისი ფედერაციების ხელმძღვანელებს, ზაფხულის 29-ე ოლიმპიურ თამაშებში (პეკინი 2008) მონაწილეობის უფლების მოპოვებას და უსურვებს წარმატებებს მომავალ წელს - ოთხწლეულის ყველაზე გრანდიოზულ სპორტულ ფორუმზე ასპარეზობისას.

# უკრაინასთან გამარჯვება შესაძლებელია

**ზაფხულის პაუზის შემდეგ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს უკრაინასთან მატჩით განაახლებს. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ლევან კობიაშვილი ოპტიმისტურადაა განწყობილი. მას უკრაინასთან პრინციპული თამაშის წინ ლუქსემბურგის მატჩის გახსენება არ სურს. კობიაშვილს სანაკრებოს გარდა, საკლუბო თემაზეც დაველაპარაკეთ.**

- კუნთი მაქვს დაჭიმული და ბოლო ორ მატჩში "შალკეს" რიგებშიც არ მივარჯიშია. აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ მინდა, უკრაინასთან ვითამაშო. ფეხი ახლა უკეთ მაქვს, ვიდრე ერთი კვირის წინათ და იმედია, ნაკრებში თამაშის საშუალება მექნება.

**- 22 აგვისტოს თამაშის შემდეგ კლაუს ტოპმიოლერმა ნაკრებში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოიძახა. მათზე რისი თქმა შეგიძლია?**

- ვფიქრობ, კარგი ნაბიჯია, რადგან ეს ახალგაზრდა მოთამაშეები გამოცდილებას შეიძენენ. ეს მათთვის ეროვნულში დამკვიდრების შანსია და მერე ყველაფერი უკვე მათზე იქნება დამოკიდებული. სხვათა შორის, წლების წინათ, მეც მსგავს სიტუაციაში ვიყავი. მაშინ მათსავით ახალგაზრდას მომეცა ნაკრებში დამკვიდრების შანსი და კარგად ვიცი, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო გამოცდელით ამ ახალგაზრდებს.

**- "დინამო"-"მერანის" მატჩს დაესწარი და რისი თქმა შეგიძლია უპრინის გუნდიდან ეროვნულში გამოძახებულ გიორგი მერებაშვილსა და სანდრო კობახიძეზე?**

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

2





საქართველოს ნაკრების გუშინდელი ვარჯიში ფრანგულ ქალაქ ბოჟოლეში. წინა პლანზე მალხაზ ურჯუკაშვილი

iRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# ბოჟოლე ჩვენი ციხესიმაგრეა

## ხვალ რაგბის მსოფლიო თასი იწყება

10

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



ილია კანდელაკი და ლევან კობიაშვილი

ინტერვიუ ჯაბა კანკავასთან

# ძალიან მინდა, არ წავაგოთ

ჯაბა კანკავა 8 სექტემბერს უკრაინის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. იტალიასთან მიღებულ წითელ ბარათს ყვითლების სიუხვეც დაერთო და საქართველოს ნაკრებს მნიშვნელოვანი ფიგურა გამოაკლდება.

ჯაბა ქართველი მოთამაშეებიდან ყველაზე უკეთ იცნობს მეტოქეს. დნეპროპეტროვსკის "დნეპრიდან", სადაც ქართველი ნახევარმცველი თამაშობს, უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა ერთბაშად რვა ფეხბურთელი გამოიძახა. რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, "დნეპრია" უკრაინის ნაკრების საბაზო გუნდი და არა კიევის "დინამო" ან დონეცკის "შახტიორი".

ასე რომ, ჯაბა კანკავა პირდაპირ "მტრის ბანაკიდან" არის და მეტოქეზე დავეკითხეთ...

**- ჯაბა, უკრაინის ნაკრები თბილისში გამგელებული გვესტუმრება. თუმცა უფრო საინტერესო იქნება შენი მოსაზრების გაცნობა, რა არის ამ გუნდის სუსტი მხარე, რომლის განეიტრალებაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება.**

- არ მინდა, ვინმემ ისე გამიგოს, თითქოს უკრაინელებს ტექნიკა საერთოდ არ გააჩნიათ-მეთქი. ასე ნამდვილად არაა, მაგრამ ფაქტია, რომ უკრაინელები ტექნიკურად მაინც მოიკოჭლებენ. ეს ადრეც მესმოდა და უკრაინაში თამაშის დროს დავრწმუნდი, რომ ბურთთან პრობლემები აქვთ.

ასე რომ, მათთან ბურთის ფლობის უპირატესობა თუ გამოვიყენეთ, თამაშის საჩვენო შედეგით დასრულების იმედიც შეიძლება გვქონდეს.

**- რაც შეეხება მეტოქის ძლიერ მხარეს?**

- ძალიან ბევრს მოძრაობენ, ძალიან ბევრს და ამის ხარჯზე თავის მინუსებს ანეიტრალებენ. მათი ფიზიკური სიძლიერე ყველასთვის ცნობილია. საერთოდ, უკრაინელები ყველა შეხვედრას მომზადებულები ხვდებიან.

**- მერე მოტივირებულ, მოძრავ და პოფესიონალ უკრაინელებთან ქართველებს შეუძლიათ გაძლონ?**

- როგორ არ შეგვიძლია. ჩვენ ძლიერი გუნდი უნდა გვყავდეს. უკრაინასთან კიევის მატჩშიც გამოჩნდა, რომ ბევრი შეგვიძლია. ეგაა, რომ ძალიან ბევრ შეცდომას ვუშვებთ. ერთი გოლი ჩემი ბრალიც იყო. უკრაინელებმა ბრძოლისუნარიანობითაც გვაჯობეს. ეს მათ ხასიათში ზის. რაც არ უნდა უიმედოდ აგებდნენ, მაინც ბოლომდე იბრძვიან.


ჯაბა კანკავა

ისე, შანსი როგორ არ გვაქვს. ზოგადად, ჯგუფში წარმატებაზე უკვე ლაპარაკიც ზედმეტია. თუმცა ამ კონკრეტული შეხვედრის მოგება ყველას ძალიან გვინდა. არა, სხვების სახელით ლაპარაკი არ მიყვარს, პირადად ჩემზე ვიტყვი, რომ ძალიან არ მინდა თამაშის წაგება. გუნდიც სერიოზულად ემზადება. გული მწყდება, რომ ვერ ვითამაშებ.

**- გუნდში უკრაინის ნაკრების რვა წევრი რომ მოგიმწყვდევდა, ძნელი წარმოსადგენი არაა, ტრაბახით აგიკლებდნენ, ქართველებს შეგჭამთო და ა.შ.**

- თამაშის წინ ასეთი რამ ყოველთვის ხდება. თუმცა უკრაინელებს ასეთი რამ არ ახასიათებს და ეს ძალიან მიკვირს. ამაშიც პროფესიონალები არიან. თავჩაქინდრულები ემზადებიან თამაშისთვის და მოედანზე თავდაჯერებულებ არიან.

მათთვის საქართველოსთან შეხვედრა გადამწყვეტია. ეს თუ ვერ მოიგეს, ჯგუფიდან ვერ გავლენ. ეს კი უკრაინისთვის მიუღებელია. ვიცი, რომ მაგრად ემზადებიან. ყველაფერს ილონებენ მოსაგებად. თუმცა, ჩემი აზრით, არა მარტო შანსი გვაქვს, უნდა მოვიგოთ კიდეც.

**- აზერბაიჯანთან სათამაშოდ დარჩები?**

- რა თქმა უნდა. სიმართლე გითხრათ, მათთან სხვა მულამით ვითამაშებ. რამდენიმე წლის წინათ წავაგეთ და მინდა სახლშივე მოვუგოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

# უკრაინასთან გამარჯვება შესაძლებელია

პირველი გვერდიდან

- კობახიძე ადრეც იყო ეროვნულ ნაკრებში და მას უფრო ვიცნობ. მერებაშვილზე კი ბევრს ვვერაფერს გეტყვით. მხოლოდ ის ვიცი, რომ მას აქებენ და დიდ იმედებს ამყარებენ. იმედია, ისინი და სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელები მწვრთნელთა ნდობას გაამართლებენ.

**- შარშან, 6 სექტემბერს უკრაინასთან კიევში 2:3 დავმარცხდით, მაგრამ მაშინვე ბევრმა აღნიშნა, რომ წაგებას არ ვიმსახურებდით და თბილისში შეგვეძლო ბლოხინის გუნდის ძლევა. დღეს რას ფიქრობ, ამ კონტინგენტით შაბათს შეგვიძლია მოგება?**

- გააჩნია, როგორ თამაშს ვაჩვენებთ. თუ ისე ვითამაშეთ, როგორც ლუქსემბურგში უკრაინასთან არანაირი შანსი არ გვაქვს. თუ ის თამაში ვაჩვენეთ, რაც იგივე კიევში, გლაზგოში, ანაც შინ თურქეთთან და ურუგვაისთაც, მაშინ მართლა შეგვიძლია სასურველ შედეგზე ფიქრი და ზრუნვა. უკრაინა ლუქსემბურგი არაა და საგოლე მომენტების გამოუყენებლობას არ გვაპატიებს.

**- ბევრი ამბობს, რომ შოთას შემდეგ ნაკრებში გოლის გამტანის პრობლემააო...**

- შოთა არველაძე მართლაც მაღალი კლასის ფორვარდია, მაგრამ დადგა დრო, მან სანაკრებო კარიერა დაასრულა და ყველამ პატივით უნდა გავაცილოთ. ამით ტრაგედია არ უნდა შეიქმნას. ლუქსემბურგს გოლი თუ ვერ გავუტანეთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბურთის გატანა აღარ შეგვიძლია. გასაგებია, რომ ტოპ კლასის ფორვარდი გამოგვაკლდა, მაგრამ რა ვქნათ, აღარ ვითამაშოთ ფეხბურთი? მჯერა, კიდევ არაერთი არველაძე გვეყოლება. იმისი წუწუნი, რომ არველაძე არ გვყავს და რა გვეშველებაო, არაფერს გვარგებს.

საქართველოში ფორვარდის დეფიციტი არ უნდა იყოს. მთავარია ახალგაზრდა თავდამსხმელები სწორედ ალვზარდოთ.

**- სამწუხაროდ, ცხრილში ბოლოდან მეორე ადგილზე ვართ. არადა, უკეთესი შედეგის ჩვენება შეგვეძლო...**

- კი, შეგვეძლო. კიევისა და გლაზგოს მარცხებზე დღესაც გული მწყდება. თუმცა ეს წარსულია და წუწუნით ვერაფერს შევცვლით. ახლა მთავარია, დარჩენილი სამი საშინაო მატჩი მოვიგოთ და ცხრილში პოზიცია გავიუმჯობესოთ.

**- პარარელურად ახალგაზრდა ფეხბურთელები შევაჩვიოთ ეროვნულს?**

- ყოველი ციკლის დასრულებისას თუ ვისაუბრეთ, ნაკრებში ახალი სისხლია საჭირო და ახალი ფეხბურთელები მასშტაბურად შევიყვანეთ... უპრიანი იქნება დავფიქრდეთ და გადავწყვიტოთ, ან უნდა ვენდოთ ამ გუნდს, ან მასშტაბურად შევცვალოთ. არა მგონია და ალბათ, გამართლებულიც არ იქნება, ესა თუ ის ფეხბურთელი 1-2 ჩავარდნილი თამაშის შემდეგ, ნაკრებში აღარ გამოიძახონ. შეიძლება ფეხბურთელს მიანიშნო, დასაჯო, ძირითადში არ დააყენო... სჯობს ასე გავაკეთოთ, ვიდრე ის, რომ ყოველ თამაშში ნაკრებში 4-5 ახალი ფეხბურთელი გამოვიძახოთ. სხვათა შორის შემადგენლობის ხშირი ცვლა, ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის გამო, ისედაც გვიწევდა და გუნდის შედეგებზე ესეც ცუდად აისახა. ზედიზედ ორი მატჩი არ გვქონია, ერთი შემადგენლობით რომ გვეთამაშა.

**- მეტოქეზე რას გვეტყოდი?**

- უკრაინა გასულ შესარჩევშიც ჩვენს ჯგუფში იყო და ამ გუნდს კარგად ვიცნობთ. ის გუნდია, რომელიც მოედნის ყველა მონაკვეთზე პირველიდან ბოლო წუთამდე იბრძვის. შაბათს რთული მატჩი გველის და სასურველი შედეგის მიღწევა იოლი ნამდვილად არ იქნება, მაგრამ შეუძლებელი სულაც არაა.

**- დაბოლოს, "შალკეზე" დაგეკითხები. არაერთი ქულა დაკარგეთ, არადა, მაღალი მიზნებისთვის იბრძვით...**

- ბოლო ორ მატჩში მხოლოდ 2 ქულა ავიღეთ. თუ ასე გაგრძელდა მოწინავე სამეულში მოხვედრისთვის ბრძოლა ნამდვილად გაგვიძნელდება. ქულების დაკარგვის მიუხედავად, გუნდში ჯანსალი ვითარებაა.

**დავით ცაბაძე**

უკრაინა. თამაშამდე 3 დღით ადრე

# ბლოხინის რჩეულს უჩივიან


შევჩენკო ითამაშებს

ხვალ უკრაინის ნაკრები თბილისში გვესტუმრება. მანამდე უინტერესო არ უნდა იყოს, თუ რა ხდება მოწინააღმდეგის ბანაკში.

კიევის "დინამოსა" და ნაკრების შემტევი ნახევარმცველი **ტარას მიხალიკი** სკანდალში გაეხვა. 25 აგვისტოს, "კრივბასთან" მატჩის შემდეგ, რომელშიც დაშავდა, ის მშობლიურ ვოლინში დაბრუნდა. იქ დაბალი ლიგის გუნდების შეხვედრას დაესწრო და ამის შემდეგ "დინამო"-"კრივბასის" მსაჯმა, **ნიკოლაი მელნიკმა** უჩივლა. მიხალიკმა მის მანქანას საბურავი გააფუჭა. მელნიკი ამტკიცებს, რომ ტარასმა ეს საქმე ძმასთან ერთად გააკეთა: *"ყველაფერი საკუთარი თვალებით ვიხილე. სახლში რომ ვბრუნდებოდი, ის ჩემსკენ წამოვიდა, მანქანა ძლივს დავამუხრუჭე. ხალხის თანდასწრებით მითხრა, სამწუხაროა, რომ ოთხივე საბურავი ვერ დავუშვიო. მას ამის გაკეთება კი სურდა, მაგრამ ხელი შეუშალეს, დანა კი მდინარეში გადააგდო. ვკითხე, რას მერჩოდა და მიპასუხა, ხუთი წლის წინათ რომ გამაგდე, ესეც მახსოვს და დღესაც ჩემი მშობლიური ლუბიშევის გუნდს ცუდად უმსაჯეო."*

თავად მიხალიკის განსაცდელს ისიც დაემატა, რომ მისმა უფროსმა ძმამ ამ შეხვედრის შემდეგ მანქანით კაცი მოკლა. თავად ფეხბურთელი კი ყველაფერს უარყოფს: *"იმ დღეს სტადიონზე რომ ვიყავი, ერთადერთი ესაა სიმართლე. დანარჩენი ცილისწამებაა, რადგან მელნიკი ძველი კონფლიქტისთვის შურისძიებას ცდილობს. მან ლამის ნარკომანობა დამაბრალა, თითქოს წამალი გავიკეთე და ნასვამი ვიყავი. თუმცა სასამართლოში სირბილი არ მსურს. ახლა ფეხბურთზე მობილიზება მსურს. ტრავმის გამო საქართველოსთან მატჩს, ალბათ, გამოვტოვებ. იტალიამდე კი მომჯობინების შანსი კიდევ მაქვს".*

### კალინიჩენკოს დარდები

უკრაინისა და მოსკოვის "სპარტაკის" ნახევარმცველ **მაქსიმ კალინიჩენკოს** ხალისიანი და ხუმარა ადამიანის სახელი გააჩნია. თუმცა "სელტიკთან" გადამწყვეტი პენალტის გაფუჭებისა და განსაკუთრებით, კვირას მოსკოვის ცსკა-სთან გაშვებული გოლის გამო (რაც მისი შეცდომის შედეგი იყო), უკრაინელები ველარ ცნობენ - მაქსიმი ძალიან განიცდის, რომ გუნდი დაალალატა და ხასიათწამხდარია.

უკრაინული "სპორტ-ექსპრესი" წერს, რომ შეკრებაზეც ვერ მოახერხა წარუმატებლობის დავიწყება. კალინიჩენკო ალიარებს, საშინელ განწყობაზეა: *"კიდევ კარგი, უკრაინის ნაკრებში გამომიძახეს. ამან სულზე მომისწრო. მომეცა საშუალება, ნაკრებზე მოვახერხო კონცენტრაცია. თუმცა აქაც მდგომარეობა იოლი არაა. რაღაცნაირად უნდა მოვახერხო იმ თამაშების დავიწყება, რაც ძალიან მიჭირს."*

### ვორონინი იძოძება

უთამაშებელი **ანდრეი შევჩენკო** თბილისში მიანც ითამაშებს. რაც არ უნდა მალონ უკრაინელებმა, "ჩელსის" ფორვარდის უთამაშებლობა წარმოუდგენელია. "ლივერპულის" თავდამსხმელი **ანდრეი ვორონინი** კი მომჯობინდა. *"საბედნიეროდ, კუნთები აღარ მაქვს დაჭიმული. ბოლო კვირას უკვე "ლივერპულის" ძირითად ჯგუფში ვვარჯიშობდი და "დერბისთან" 17 წუთიც ვითამაშე.*

*ახლა მხოლოდ თბილისურ შეხვედრაზე ვფიქრობ. ჩვენ, მხოლოდ და მხოლოდ, მოგება გვაწყობს. საქართველოსთან ყოველთვის ჭირდა თამაში. ეს გუნდი ძალიან ტექნიკურია, ამიტომაც მათ თავისუფალი მოქმედების საშუალება უნდა წავართვათ და პრესინგით დავუპირისპირდეთ მათივე ნახევარზე. მათ ძლიერ, ევროპულ კლუბებში ძალიან კარგი მოთამაშეები ჰყავთ და არ შეიძლება, ისინი არ დავაფასოთ. წარმოუდგენელია, თბილისში ნახევარი ძალით მოგება,"* - აცხადებს ფორვარდი.

### ვინ ვერ ითამაშებს?

ოლეგ ბლოხინმა უკვე გამოაცხადა, რომ თბილისში **ტარას მიხალიკი** და **ანდრეი ნესმაჩნი** ვერ ითამაშებენ. მათ გუშინ არც უვარჯიშიათ. **ანდრეი რუსოლი** და **სერგეი ნაზარენკო** ინდივიდუალური დატვირთვით შემოიფარგლნენ. **რუსლან როტანი** და **მაქსიმ კალინიჩენკო** ტრავმირებულები არ არიან, მაგრამ **ბლოხინს** მათი მდგომარეობა აღელვებს.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge



# ლეონიდ ბურიაკს ჩვენი უკვირს

## გაჭირვება ასეთ რეიტინგს ვერ ამართლებს

ლეონიდ ბურიაკი საბჭოთა ფეხბურთის უკრაინელი ლეგენდაა. სლავებისთვის უჩვეულოდ ტექნიკური და აზრიანი ფლეიმეიკერი დღეს კიევის "დინამოს" სპორტული დირექტორია. გუშინ მას კიევში დავუკავშირდით და საქართველო-უკრაინის შეხვედრაზე კომენტარი ვთხოვეთ. თუმცა, ლეონიდ იოსიფოვიჩის რეაქციამ ძალიან გაგვაოცა. ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კატეგორიული გახლდათ:

- უკრაინის ნაკრებზე საუბარი არ მსურს. ეს გამორიცხეთ.

**- რატომ? ნამოსვლის შემდეგ ნაწყენი ბრძანდებით?**

- არც მიზეზებზე მსურს საუბარი. თუკი თქვენ კიევის "დინამოზე" გსურთ, ვისაუბროთ, დიდი სიამოვნებით. ამ თემაზე ყველაფრის თქმა შემიძლია.

**- კარგი, გასაგებია. საქართველოს ნაკრებზე რომ ვისაუბროთ, ეს მაინც შეიძლება?**

- დიახ, პრობლემა არაა.

**- რას იტყოდით ჩვენ გუნდზე, რა თვალსაჩინო მინუსს ხედავთ მის თამაშში?**

- უპირველესად იმას, რომ ძლიერ მოთამაშეებს ვერ იყენებთ. ამის ახსნა ძნელია. ყოვლად გაუგებარია, კალაძე, კობიაშვილი გყავდეს და ფიფას რეიტინგში ასე დაბლა როგორ უნდა დაეშვა? ამის გამართლება არ შეიძლება. ყოველთვის მომწონდა ქართული ფეხბურთი, მისთვის დამახასიათებელი ცეცხლოვანი სტილი და ტექნიკა. სად გაქრა ეს ფეხბურთი? ძნელია ჩემთვის ამის გაგება.

რაც არ უნდა მძიმე მდგომარეობაში იყოს ქვეყანა, ასე ქართული ფეხბურთი არ უნდა დაცემულიყო. მე ვიცი, საქართველოს ეკონომიკურად, სოციალურად, პოლიტიკურად უჭირს, მაგრამ თქვენებს გაცილებით მეტი შეუძლიათ. ამის გათვალისწინებითაც ძალიან დაბალი რეიტინგი გაგაჩნიათ.

**- ეს ზოგადად და კონკრეტულად, რა ნაკლი შეგიძლიათ გამოარჩიოთ?**

- თამაშის სუსტი ორგანიზაცია. თქვენი მოთამაშეების ნიჭს ორგანიზაცია რომ დაემატოს, გუნდი გაცილებით ძლიერად ათამაშდება.

**- ყაზახეთის ნაკრების მწვრთნელმა ტიმოფეევმა წინა ციკლში ბრძანა, რომ საქართველოს გაცილებით ძლიერი მოთამაშეები ჰყავს, ვიდრე უკრაინას.**

- ხომ გითხარით, უკრაინის ნაკრებზე კომენტარს არ გავაკეთებ.

**- კიევის "დინამომ" ქართველები (ალადაშვილი, იმედაშვილი, მარცვალაძე) გაანათხოვრა. მათი იმედი აღარ გაქვთ?**

- შანსი მათ უკვე ჰქონდათ. თავად ჰკითხეთ, ყურადღება და თანადგომა აკლდათ? მე არ ვიცი, რატომ ვერ გამოავლინეს უნარი. ეტყობა, მათ ჩვენ სქემებში ჩაჯდომა გაუჭირდთ, თორემ ნიჭი ნამდვილად აქვთ.

**- ანუ ტაქტიკური უცოდინრობის პრობლემაა?**

- ტაქტიკურად, ფიზიკურად კონკურენტები სჯობდნენ. ამიტომ გავანათხოვრეთ, იქნებ სხვა გუნდებში ათამაშდნენ და სამომავლოდ მაინც გამოგვადგნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

## თარიღი

გიორგი ანთაძე. 06.09.1920, ფოთი - 03.11.1987, თბილისი. ფეხბურთი, თავდამსხმელი, ნახევარმცველი. თამაშობდა თსუ-ში (1939-41), სოხუმის "დინამოში" (1942-43), თბილისის "დინამოში" (1944-54). სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 177 მატჩი (40 გოლი). სსრკ ჩემპიონატების ორგზის მეორე (1951, 53) და სამგზის მესამე (1946, 47, 50) პრიზიორი, სსრკ თასის ფინალისტი (1946). იყო თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის (1955-58), ქუთაისის "ტორპედოს" (1959), ტყიბულის "მეშახტის" (1959-61, 1965-66), ფოთის "კოლხიდის" (1962-64), ხაშურის "ივერიის" (1973-74) და ბათუმის "დინამოს" (1976-78) მთავარი მწვრთნელი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

U 21. ევრო 2009. საქართველო-ყაზახეთი

# ნაკრებს ლორიაც გამოაკლდა

გუშინ, საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა მხოლოდ დილით, თენგიზ სულაქველიძის აკადემიის სპორტკომპლექსში ივარჯიშა. მწვრთნელებმა გუნდს დაღლა შეატყვეს და საღამოს დაასვენეს. **პეტარ სეგრტმა** დილით ნაყოფიერად ავარჯიშა ბიჭები. როგორც შევიტყვეთ, მეკარე **გიორგი ლორია** გუშინდელი წვრთნის მსვლელობისას დაშავდა და ის შეკრებიდან გაათავისუფლეს. ლორიას გამოკლების შემდეგ ახალგაზრდულს ორი მეკარე დარჩა, "მერანის" კიპერი **რევაზ თევდორაძე** და "ზესტაფონის" მეკარე **როინ კვასხვაძე**. **გურამ კაშიამ, გიორგი ხიდეშელმა** და კიდევ ორმა ფეხბურთელმა ინდივიდუალურად ივარჯიშეს.

დღეს, 11 საათზე ფეხბურთის ფედერაციაში 21-წლამდელთა ნაკრების თავკაც პეტარ სეგრტის პრესკონფერენცია გაიმართება. 15 საათზე კი ჩვენი ახალგაზრდული რუსთავში, "ფოლადის" სტადიონზე ივარჯიშებს.

**დავით ცაბაძე**

# ყაზახეთს თამაშამდე გავუსწარით

21-წლამდელთა შორის, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, 22 აგვისტოს ჩვენი ნაკრები პოლონეთში 1:3 დამარცხდა. ამ მატჩის პარალელურად ყაზახეთმა შინ რუსეთთან 0:1 წააგო. ამ მატჩების შემდეგ ყაზახებს ბურთების შეფარდება 0:1-თან ჰონდათ, ჩვენ კი 1:4-თან. შესაბამისად, **პეტარ სეგრტის** გუნდი ცხრილში ბოლო, მე-5 ადგილზე იყო. თუმცა გუშინ გაყღერებულმა ამბავმა სატურნირო მდგომარეობაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა.

საქმე ისაა, რომ ყაზახეთს ტექნიკური წაგება 0:3 ჩაეთვალა. მიზეზი ისაა, რომ მასპინძელთა რიგებში დისკვალიფიცირებულმა **აზატ ნურგალიევმა** ითამაშა. უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე, ჩვენი ჯგუფის ცხრილში უკვე შეიტანეს კორექტივები - ყაზახებს ადგილი გავუცვალეთ. შესაბამისად, საქართველო ამჟამად ცხრილში მე-4 ადგილზეა, ყაზახეთი კი მე-5-ზე. მართალია, უქულო გუნდებისთვის ცხრილში ჩვენს სასიკეთოდ მომხდარი ეს მცირედი ცვლილება დიდი არაფერია, მაგრამ ხვალ, რუსთავში სწორედ ყაზახეთს ვეთამაშებით და შესაძლოა, ეს მომენტი ერთგვარ ფსიქოლოგიურ სტიმულადაც კი გამოგვადგეს.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ გიორგი ფოფხაძესთან

# პირველი ქულა უნდა ავიღოთ

**დანიური "ვიბორგის" მცველი გიორგი ფოფხაძე, ახალგაზრდულ ნაკრებში ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურაა. მისი კანდიდატურა ახალგაზრდულიდან ეროვნულში გამოსაძახებელ სავარაუდო კანდიდატთა შორისაც განიხილებოდა...**

**მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ. საუბარი კი საკლუბო თემით დავიწყეთ.**

**- კლუბისა და შენი საქმეები როგორ მიდის?**

- ჩვენი გუნდის ბოლო მატჩებით თუ ვიმსჯელებთ, მდგომარეობა გამოვასწორეთ. სეზონის დაწყებამდე ამბიციები კი გვქონდა, მაგრამ საწყის სამ ტურში ქულები დავკარგეთ. თუმცა ბოლო სამ მატჩში 7 ქულა ავიღეთ და ეს გარკვეულწილად, სტიმულად გამოგვადგება.

**- გუნდი რა მიზნისთვის იბრძვის?**

- გვინდა, შეძლებისდაგვარად უკეთესი ადგილი დავიკავოთ. დანიის ფეხბურთის ფედერაცია დაკავებული ადგილის მიხედვით, სეზონის ბოლოს კლუბებს თანხას აძლევს. მერვე ადგილზე გასულმა გუნდმა, თუ არ ვცდები, 5 მილიონი აიღო.

**- კლუბში რა პოზიციაზე გათამაშებენ და რამდენად სტაბილურად გიწევს თამაში?**

- დაცვის მარცხენა ფრთაზე, ხანაც ცენტრში ვთამაშობ. რაც შეეხება სტაბილურად ასპარეზობას, ნაკრებიდან კლუბს რომ ვუბრუნდები, მწვრთნელი მცირე ხანს ძირითადში აღარ მათამაშებს ხოლმე. ასე იყო აგვისტოშიც, პოლონეთის ახალგაზრდულთან მატჩამდე სტაბილურად ვასპარეზობდი, კრაკოვის მატჩის შემდეგ დავბრუნდი დანიაში და აღარ მათამაშა. თუმცა ბოლოს კარგი თამაში ვაჩვენე და არა მგონია, სასტარტო შემადგენლობიდან ამომაგდოს.

**- "ვიბორგში" ოდესმე ვინმეს ხომ არ უთქვამს, უმჯობესია ნაკრებში თამაშს თავს თუ აარიდებო...**

- არა, ამისი უფლება არცერთ კლუბს არ აქვს და მსგავსი არავის უთქვამს. რომც მითხრან, რა აზრი აქვს? ნაკრები ჩემთვის უმთავრესია და კლუბს ყოველთვის ვამჯობინებ.

**- დანიურ კლუბს კიდევ რამდენი ხნით ეკუთვნი?**

- ჩემი მოქმედი კონტრაქტი ორ წელიწადში იწურება.

**- რამდენადაც ვიცი, სხვა გუნდში გადასვლის ვარიანტი გქონდა...**

- "ბრონდბიუ" დაინტერესდა ჩემით და აგენტსაც ესაუბრა, მაგრამ ამ საქმეს გაგრძელება აღარ მოჰყოლია. მართალი გითხრათ, კლუბის გამოცვლაზე



გიორგი ფოფხაძე

ჯერჯერობით, სერიოზულად არ ვფიქრობ. მინდა, ჯერ დანიის ჩემპიონატში გამოკვეთილ ფიგურად ვიქცე და მერე უკეთეს კლუბში კარიერის გაგრძელებაც არ გამიჭირდება.

**- უკრაინასთან მატჩისთვის კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნულში ახალგაზრდულის რამდენიმე ფეხბურთელი გამოიძახა. ამ კანდიდატთა სიაში შენი გვარიც ფიგურირებდა. თუმცა ისევ ახალგაზრდულში მოგიწევს თამაში. ტოპმიოლერთან საუბარი ხომ არ გქონია?**

- არა. ვიცი, ეროვნულის ახალ კანდიდატთა სავარაუდო სია გაზეთებში დაიწერა. შესაძლოა, ჩემზეც იყო საუბარი, მაგრამ ისევ ახალგაზრდულში მერგო გამოძახება. ეს საკითხი მწვრთნელთა გადასაწყვეტია და მე რა მეთქმის. შესაძლოა, ამ ეტაპზე ეროვნულში ჩემი გამოძახება საჭიროდ არ ჩათვალეს... ან სულაც, ამ ეტაპზე 21-წლამდელთა ნაკრებში უფრო საჭირო ვარ. ეს არაფერი, ვიცი, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და შრომაც არ დამეკარგება.

**- პოლონეთთან მატჩს დღეს როგორ იხსენებ?**

- მართლაც დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. კრაკოვში თამაში კი წაგვივიდა, მაგრამ ეს ანგარიშში არ აისახა. ჩვენ არაერთი მომენტი გავატანეთ ქარს და მასპინძელთა მეკარემაც საკმაოდ საიმედოდ ითამაშა.

**- შეგვიძლია თბილისში პოლონელთა ძლევა?**

- კი, ეს ჩვენს შესაძლებლობებს ნამდვილად არ აღემატება, პოლონელები აქ უნდა დავამარცხოთ.

**- სამწუხაროდ, ახალგაზრდულმა ნაკრებმა ახალი შესარჩევი ციკლი ორი მარცხით დაიწყო. გუნდში ფსიქოლოგიურად როგორი მდგომარეობაა, ფეხბურთელები როგორ უყურებთ მომავალ მატჩებს?**

- ორივე შემთხვევაში ჩვენმა გუნდმა გამართული ფეხბურთი აჩვენა. სამწუხაროდ, ჩვენი კარგი თამაში მატჩის საბოლოო შედეგზე არ აისახა, რადგან დამაგვირგვინებელ ფაზაში მოვიკოჭლებდით. ახლა მთავარია, განვლილი მარცხები დავივიწყოთ და მოახლოებული თამაშებისთვის სათანადოდ განვეწყოთ. ყაზახეთთან და ესპანეთთან რთული თამაშები გველის. უნდა გვჯეროდეს, რომ მეტოქის ძლევა შეგვიძლია. პარასკევს რუსთავში პირველი ქულები უნდა ავიღოთ.

**დავით ცაბაძე**

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ალექსანდრე გოგობერიშვილთან

# ფრთხილად, აზერბაიჯანი ამხანაგობას არ აპირებს!

ალენ ჟირესის შემდეგ ალექსანდრე გოგობერიშვილი საქართველოს ნაკრებში არც ერთ მწვრთნელს არ გამოუძახებია. აზერბაიჯანის ჩემპიონატი ალბათ ყურში ცუდად ხვდებათ ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელებს და არასდროს დაინტერესებულან იქ მოთამაშე ქართველებით.

თითქმის სამი წელიწადია, გოგობერიშვილი "ბაქოშია" და შარშან აზერბაიჯანის ჩემპიონიც გახდა. ის გუნდში ფაქტობრივად შეუცვლელად თამაშობს, თუ არა ტრავმა, სულ სასტარტო შემადგენლობაშია.

ახლა აზერბაიჯანის ჩემპიონატშიც შესვენებაა, ევროპაში სანაკრებო მატჩები უნდა გაიმართოს და გოგობერიშვილი რამდენიმე დღით თბილისში ჩამოვიდა. სხვათა გარდა, მას აზერბაიჯანის ნაკრებზეც ვესაუბრეთ - კლაუს ტოპმიოლერის გუნდი 12 სექტემბერს ხომ ბაქოში ამხანაგურ მატჩს გამართავს.

**- აზერბაიჯანის ნაკრებს როგორ დაახასიათებდი?**

- აზერბაიჯანელებს ორი ნატურალიზებული ლეგიონერი ჰყავთ - სერბი ბრონიმირ სუბაშიჩი და უკრაინელი ალექსანდრ ჩერტოგანოვი, ორივე "ნეფთჩის" ფეხბურთელია. აზერბაიჯანის ნაკრები შინ ძალიან მობილიზებულად თამაშობს, ბოლომდე იბრძვის და, ვფიქრობ, ჩვენებს ძნელი თამაში ექნებათ, თუ მთელი სერიოზულობით არ მიუდგებიან საქმეს, ბაქოდან იმედგაცრუებულები წამოვლენ.

**- ყველაზე უფრო რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდი აზერბაიჯანის ნაკრებიდან?**

- სუბაშიჩს, ის მართლაც კლასიანი ფორვარდია. გამოვარჩევდი "ლენქორანის" ნახევარმცველებს - ემინ გულიევს და ჯეიხუნ სულთანოვს, კიდევ "ნეფთჩის" ფორვარდ სამირ ალიევს.

**- ბაქოში რა აჟიოტაჟია მოსალოდნელი 12 სექტემბრის მატჩისთვის?**

- საქართველოს ნაკრებთან მატჩი ძალიან აინტერესებთ. აზერბაიჯანში ქართველი ფეხბურთელები უყვართ, ევროპაში მოთამაშე ჩვენ ლეგიონერებს კარგად იცნობენ და 12 სექტემბერს სტადიონზე ალბათ ბევრი ხალხი მივა. აზერბაიჯანში ისიც აინტერესებთ, თუ რა დონეზეა ახლა ქართული ფეხბურთი და ჩვენი ნაკრები. საქართველოსთან თამაში მათთვის დიდი გამოწვევაა და ეს მატჩი თავისი დატვირთვით არა მგონია, ამხანაგური იყოს აზერბაიჯანის ნაკრებისთვის - საქართველოს ნაკრებს ძალიან პრინციპული თამაში ელის.

**- აზერბაიჯანის ნაკრების მწვრთნელზე რას იტყოდი? როგორ ფეხბურთს თამაშობს აზერბაიჯანის ეროვნული გუნდი?**

- შახინ დინიევი ჭკვიანი მწვრთნელია, კონკრეტული მატჩისთვის კარგად ამზადებს გუნდს ტაქტიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც. ძალიან ფრთხილია, მისი გუნდი შეტევაში თავქუდმოგლეჯილი არ გარბის, ჩაკეტილ თამაშს ამჯობინებს და თუ მეტოქე აქეთ გახსნის თამაშს, ასეთი ვარიანტი უფრო აძლევს ხელს.

**- ერთი პერიოდი ქართველი ფეხბურთელების აზერბაიჯანში ექსპორტი თითქმის შეწყდა, საამსეზონოდ კი აზერბაიჯანში რამდენიმე ჩვენებური წავიდა. ვინ ეხმარება ქართველ ფეხბურთელებს აზერბაიჯანში მოსაწყობად?**

- ბადრი კვარაცხელია, სწორედ მან შეუწყო ხელი "კაბალაში" ქართველების მისვლას. ზურაბ მამალაძე, ირაკლი ვაშაკიძე, გიორგი გაბიდაური და თორნიკე აფციაური საკმაოდ კარგად თამაშობენ.

**- ლეგიონერთა ლიმიტი ახლა როგორია აზერბაიჯანში?**

- 5+2, ანუ გუნდს მოედანზე არაუმეტეს ხუთი ლეგიონერის გაყვანის უფლება აქვს.

**- ამ დროისთვის აზერბაიჯანის ჩემპიონატში ყველაზე უფრო რომელ ქართველს გამოარჩევდი?**

- აფციაურს, მან ძალიან კარგად დაიწყო სეზონი. "კაბალამ" ჩვენ 2:0 რომ მოგვიგო, ერთი გოლი აფციაურმა გაგვიტანა. ის მართლაც კარგად თამაშობს.

**- "ბაქის" კი ამასობაში მთავარი მწვრთნელი მოუხსნეს...**

- დღეიდან ახალი მწვრთნელი გვყავს, მაკედონიელი გოიკო ხაჯიევსკი. შვებულება მალევე მეწურება, ხვალ უკვე "ბაქოში" ვიქნები და ახალ მწვრთნელსაც გავიცნობ.

**- როგორც შევიტყვეთ, სეზონის წინ ერთ-ერთ მოწინავე ქართულ გუნდში შეგეძლო გადასვლა, თუმცა ისევ აზერბაიჯანი არჩიე...**

- ვერ მოვრიგდით, ისეთი პირობები შემომთავაზეს, ისევ "ბაქო" ვამჯობინე.

დავით თავართქილაძე


ალექსანდრე გოგობერიშვილი

## დევაძე ორ კვირაში დაიწყებს

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე **აკაკი დევაძე**, ვინც ახლა ზუგდიდის "მგლების" კარს იცავს, ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში ახალციხის "მესხეთთან" დაშავდა - ხელის ძვალი გაებზარა.

ახლა კი ცნობილი გახდა, დაახლოებით როდის დაიწყებს დევაძე სრული დატვირთვით ვარჯიშს. კლუბში გვითხრეს, რომ მათი მეკარე ორ კვირაში მსუბუქ დატვირთვებს შეუდგება. სავარაუდოდ, თავის ბოლოსთვის კი უკვე სრულ მზადყოფნაში იქნება.

ადრე გაუწყეთ, რომ "მგლები" ფეხბურთელების დამატებას თურქეთიდან აპირებდა, თუმცა ეს საქმე ჯერ არ იძვრის.

## მეთექვსმეტე ტორპედოა

| კოლხეთი-ტორპედო | 1:2 |
| --- | --- |

პირველი მატჩი: 0:0

გუშინ, საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის ბოლო, მეთექვსმეტე მონაწილეც გაირკვა. ფოთის "კოლხეთმა" ქუთაისში ნაჩვენები დადებითი შედეგით ვერ ისარგებლა და შინ დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა.

ჯგუფური ეტაპის წილისყრა დღეს, პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში გაიმართება. მეთექვსმეტედფინალში გამარჯვებულ თორმეტ გუნდს ევროთასების მონაწილენი დაემატებიან. შეიქმნება ოთხი ჯგუფი, გუნდები წრიული სისტემით ითამაშებენ და მეოთხედფინალში ორ-ორი საუკეთესო გააგრძელებს ბრძოლას.

## იბერია ხორვატიაში

**ფუტზალი.** 12 სექტემბერს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თბილისი "იბერია" ფუტზალის ევროპული საკლუბო თასის გათამაშებაში ჩაებმება. მისი პირველი მეტოქე ხორვატული "გოსპიკი" იქნება. იბერია მე-5 ჯგუფში ითამაშებს, სადაც ხორვატული კლუბის გარდა, მისი მეტოქეები რუმინული "დევა" და სლოვენიური "პუნტარია". მომდევნო ეტაპზე ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი გავა. მატჩები ხორვარტიაში, ქალაქ გოსპიკის "სპორტს ჰოლში" ჩატარდება. "დევას" "იბერია" 13 სექტემბერს ეთამაშება, "პუნტარს" კი 15-ში.

შეგახსენებთ, "იბერია" ამ ტურნირში შარშანაც მონაწილეობდა და ჯგუფური ბარიერი ვერ გადალახა.

ლევან ჯანეზაშვილი

## ანჟის მორიგი მარცხი

რუსეთის პირველ დივიზიონში ჩატარებულმა მორიგმა ტურმა მახაჭყალის "ანჟის" სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. **ომარ თეთრაძის** გუნდი ხაბაროვსკში ადგილობრივ "სკა-ენერგიასთან" 0:1 დამარცხდა და 20-გუნდიან ლიგაში მე-14 საფეხურამდე დაეშვა. **ზურაბ არზიანმა** მოედანზე 90 წუთი გაატარა და განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია.

## ქალების დებიუტი შედგა

საქართველოს მსაჯთა აკადემიაში, ვაჟთა გარდა, ქალი მსაჯების მომზადებაც მიმდინარეობს. შედეგი? დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ქალი მსაჯები პირველად მოემსახურნენ. გუშინწინ 4 სექტემბერს თბილისის "დინამო 2"-ისა და საჩხერის "ჩიხურას" შეხვედრაში მეორე ასისტენტის მოვალეობა ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა აკადემიის სტუდენტმა **ლალი გახოკიამ** შეასრულა. გარდა ამისა, თბილისის "ლოკომოტივი 2"-ისა და "კახეთის" მატჩში, იმავე მსაჯთა აკადემიის სტუდენტმა **ხათუნა მაისურაძემ** გასწია მეორე ასისტენტის მოვალეობა. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, სპეციალისტებმა ქალ მსაჯთა გარჯა დადებითად შეაფასეს.

დაბოლოს, მსაჯებთან დაკავშირებით ერსაც გაცნობებთ. გუშინ, ფეხბურთის ფედერაციაში ეროვნული ჩემპიონატის მეორე და ჭაბუკთა ლიგების მსაჯებისა და მსაჯთა დამკვირვებლების სემინარი ჩატარდა, რომელშიც რეგიონების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. სემინარის შემდეგ თეორიაში მსაჯთა ტესტირება გაიმართა, ბოლოს კი მსაჯებმა ფიზიკური ნორმატივები ჩააბარეს.

დავით ცაბაძე

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 350 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



## ნაკრების ქომაგთა საყურადღებოდ!
## ჩაიცვით წითელი და თეთრი

8 სექტემბერს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უკრაინას ვხვდებით. ფეხბურთის ფედერაცია გულშემატკივარს მოუწოდებს თეთრ და წითელ (ეროვნული დროშის ფერებში) სამოსში ჩაცმულები მოვიდნენ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე და ერთგულად უქომაგონ საყვარელ გუნდს.

ქომაგთა საყურადღებოდ ერთ სიახლესაც გაცნობებთ. 8 სექტემბერს, ეროვნულ სტადიონზე, ეროვნული ნაკრების, "დიადორას" წარმოების ეკიპირება გაიყიდება.

**მაისურა (წითელი, თეთრი) – 100 ლარი**
**გრძელმკლავიანი მაისურა (წითელი, თეთრი) – 110 ლარი**
**შორტი (წითელი, თეთრი) – 50 ლარი**
**გეტრები (წითელი, თეთრი) – 20 ლარი**

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

8 სექტემბრის, საქართველო-უკრაინის მატჩის ბილეთების გაყიდვა **ბორის პაიჭაძის** სახელობის ეროვნული სტადიონის სალაროებში, 11 საათიდან. ეროვნული არენის 10 სალარო 18 საათამდე იმუშავებს. მატჩის დღეს, 8 სექტემბერს, 11-დან 16 საათამდე. 19 საათამდე მხოლოდ 4 სალარო იმუშავებს **გიორგი ცაბაძის** ქუჩაზე.

ბილეთის ფასი 5, 10 და 20 ლარია.

**5 ლარი** - ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნების სექტორები.

**10 ლარი** – აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – მე-20, 21-ე, 22-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე სექტორები. დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – მე-5, მე-6, მე-11 და მე-12 სექტორები.

**20 ლარი** – აღმოსავლეთ ტრიბუნა, I იარუსი – მე-13, მე-14, მე-15, მე-16 სექტორები. აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – 23-ე, 24-ე სექტორები. დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – მე-7, მე-9, მე-10 სექტორები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მილანი

# რა სჭირს რონალდოს?

## მილანის ექიმებმა არ იციან, როგორ უწამლონ ფენომენს

"მილანის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** ერთდროულად გაოგნებული და შეშფოთებულია. მან არ იცის, როდის დაბრუნდება მოედანზე **რონალდო**, რომელმაც ტრავმა მეტად კომიკურ (სხვა სიტყვებს ვერ ვპოულობთ) სიტუაციაში მიიღო. 31 ივლისს, "როსონერის" ფანების წინაშე კლუბის პრეზენტაციის დროს, რონალდომ მარცხენა ბარძაყში ტკივილი იგრძნო. არადა, მან ბრწყინვალედ ჩაატარა წინასასეზონო შეკრება, წონაშიც დაიკლო და თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ...

"მილანის" ექიმები კი ხელებს შლიან და გაკვირვებისგან მხრებს იჩეჩავენ. მათ, ჯერჯერობით, ვერ დაადგინეს, რა სჭირს ფენომენს, ალარაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რამდენად რთულია ტრავმა და როდიდან შეეძლება რონალდოს ფეხბურთით ტკბობა, გულშემატკივრებს კი მისი ცქერა. ამიტომ, ისინი არც იმაში არიან დარწმუნებულნი, რომ აქამდე ჩატარებული მკურნალობის კურსი სწორი იყო. პრესის წინაშე განმარტებებს, ჯერჯერობით, გალიანი იძლევა. თუმცა ამ განმარტებებით მედია და ქომაგები სასიკეთოს ვერაფერს იგებენ:

*"რონალდოს არაფერი დამართნია, თუმცა ტკივილი ჯერაც აწუხებს და სრულფასოვანი ვარჯიშის საშუალებას არ აძლევს. ის არ გავა მოედანზე მანამ, ვიდრე არ დავრწმუნდებით, რომ სრულად განიკურნა. ასე რომ, ეს წმინდა სამედიცინო საკითხია. ამიტომ, მე არ შემიძლია იმის თქმა, თუ როდის შეძლებს რონალდო მწვანე მინდორზე დაბრუნებას".*

გამომდინარე აქედან, **კარლო ანჩელოტის** დაპირება, რომ "კიჭა" 15 სექტემბერს "სიენას" წინააღმდეგ შეძლებდა თამაშს, ამ ეტაპზე დაპირებადვე რჩება. თუმცა ახლა სანაკრებო პაუზაა და შესაძლოა, ექიმებმა რაღაც გამოსავალს მიაგნონ. ვნახოთ. მილანელებსაც ამისი სჯერათ...



რონალდოს ტრავმას, ჯერჯერობით, ვერ წამლობენ

**საფრანგეთთან მოახლოებული მატჩის წინ იტალიურ პრესაში ახლა მთავარი პერსონაჟი რობერტო დონადონია. ამჯერად, "სკუადრა აძურის" დამრიგებელს "ლა სტამპას" კორესპონდენტი ესაუბრა. მიუხედავად აქტუალური სანაკრებო თემისა, დონადონის იტალიის ჩემპიონატთან დაკავშირებითაც მოუწია კითხვებზე პასუხის გაცემა...**

ინტერვიუ რობერტო დონადონისთან

# ფაქტია, რომ საფრანგეთს ჩამოვრჩებით



რობერტო დონადონი

**- დონადონი, როგორი იქნება იტალიის ახალი ჩემპიონატი?**

- იმის გათვალისწინებით, რომ "იუვენტუსთან" ერთად სერია A-ში "ჯენოა" და "ნაპოლიც", წარმოიდგინეთ, რამდენი დერბი გველოდება. ძნელია, მოვლენების წინასწარ განჭვრეტა. იმედი მაქვს, "კალჩოპოლის" სკანდალმა ყველას ჭკუა ასწავლა. ასე რომ, მხიარულება არ მოგვაკლდება.

**- ...მაგრამ თუ ვერ ისწავლეს ჭკუა?**

- ამაზე არც მინდა ფიქრი.

**- გიხარიათ, რომ კასანო იტალიაში დაბრუნდა?**

- თუ ის კმაყოფილია, მაშინ მე რა მაქვს საწინააღმდეგო? ანტონიო რომ დიდი ტალანტია, ამაზე არავინ კამათობს. მან ორი მძიმე სეზონი გადაიტანა. მთავარია, კასანომ ძირითადში ადგილი დაიბრუნოს. "სამპდორიაში" მას ექნება ამის შანსი, დანარჩენი კი თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული.

**- "უდინეზეს" სახით, კვალიარელამ კარგი თავშესაფარი იპოვნა...**

- გეთანხმებით, ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ თავად ეს გარიგება უნდა გვაფიქრებდეს. კვალიარელა ბრწყინვალე მოთამაშეა, დაახლოებით კვარეშმას დონის, და ის უკვე იმსახურებს გრანდებში თამაშს. თუმცა ჯერჯერობით, ეს გრანდები მის შეძენას არ ჩქარობენ. სიმართლე გითხრათ, არ მესმის, რატომ.

**- როსი, ბიანკი და პელე უცხოეთში წავიდნენ. კალჩოსთვის ეს დიდი დანაკარგია?**

- მოდით, სხვა კუთხით შევხედოთ ამ საკითხს. იქნებ, მათთვის სჯობდა საზღვარგარეთ წასვლა და ოსტატობის დახვეწა? მათ წასვლაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. მაგრამ მეორე მხრივ, რამდენი იმედისმომცემი ტალანტი გაზარდა იტალიის ჩემპიონატმა? ბოლო მაგალითი კაკაა. გაიხსენეთ, როცა ჩამოვიდა, ის ხომ არ იყო ისეთი, როგორიც დღესაა.

**- ვინ მოიგებს ჩემპიონატს?**

- ფავორიტი "ინტერია". ამ შემადგენლობით ის უთუოდ მოწინავე პოზიციას იმსახურებს. სუასო და კივუ, ეს კარგად გათვლილი შენაძენებია და არა სპონტანური.

**- "მილანი"?**

- "მილანს" ბერლუსკონის თასზე დავაკვირდი. მომეჩვენა, რომ გუნდი მეხსიერებით თამაშობს. მაგრამ მათ მალე რონალდო დაუბრუნდებათ, იანვრიდან პატოც ითამაშებს. რაკი "მილანის" მთავარი მიზანი კვლავ ჩემპიონთა ლიგის მოგებაა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სკუდეტოზე უარს იტყვის. დიდი კლუბები ასეთი გათვლით არ მოქმედებენ. და კიდევ ერთი დეტალი, რომელიც მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს: ამ ჩემპიონატის სტარტზე ყველა თანაბარ პირობებშია.

**- "იუვენტუსი"?**

- ვფიქრობ, "იუვე" სიცოცხლეს გაუმწარებს როგორც მილანურ კლუბებს, ისე რომაულს, აგრეთვე "ფიორენტინას". მაგრამ სერია A-ში დაბრუნებისთანავე სკუდეტოზე ფიქრი, გულახდილად გეტყვით, ზედმეტი თვითდაჯერება მგონია.

**- "რომა"?**

- როგორც ყოველთვის, "ჯალოროსი" ამ ჩემპიონატშიც ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს.

**- "ფიორენტინა"?**

- ეს გუნდი მაინტრიგებს. საინტერესოა, რა გამოუვათ "იებს" ამ სეზონში. ჯერჯერობით, ძალიან კარგად გამოიყურებიან.

**- "ტორინო"?**

- ისევე, როგორც "იუვეში", აქაც ბევრი რამ შეიცვალა, მწვრთნელის ჩათვლით. ნოველინო ბრწყინვალე სპეციალისტია და, მოდით, ვაცალოთ მუშაობა.

**- რა სიურპრიზებს შეიძლება ველოდოთ?**

- გავიდეს კიდევ ორი-სამი ტური და ამაზე მერე ვილაპარაკოთ. დღეს ერთიორი გუნდის დასახელება თუ შეიძლება, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სურათის შესაქმნელად კი ცოტა მეტი დროა საჭირო.

**- 1994 წელს, "მილანმა", სადაც თქვენც თამაშობდით, დუბლი გააკეთა: ჩემპიონთა ლიგაც მოიგო და სერია A-ც. რა იყო ამ წარმატების საიდუმლო?**

- შემადგენლობის მაღალი ხარისხი, ტემპერამენტი... რა თქმა უნდა, იღბალიც. ჩვენს ზურგსუკან იდგა დიდი კლუბის სახელი და მწვრთნელი-საოცრება ფაბიო კაპელო. ყველაფერი თითქოს თავისთავად გამოვიდა.

**- ამგვარ წარმატებაზე რობერტო მანჩინიც ფიქრობს...**

- მესმის მისი. ქაღალდზე "ინტერს" ყველაფერი აქვს, რაც სჭირდება. ახლა მთავარია, როგორ განახორციელებენ ამ იდეას მოედანზე. ეს კი გაცილებით ძნელია.

**- გინახავთ, როგორ თამაშობს ლუკა ტონი "ბაიერნში"?**

- რა თქმა უნდა. გამომუშავებული პენალტი, გოლი, შედეგიანი გადაცემა... ძალიანაც კარგი.

**- "ბაიერნის" გახსენებაზე, რიბერისაც ნახავდით...**

- რა გითხრათ მასზე ახალი? ბრწყინვალე მოთამაშეა. ბურთის ფლობა, დრიბლინგი... ეს ყველაფერი მას სისხლში აქვს. ამას გარდა, დაცვითი ფუნქციების შესრულებასაც არ თაკილობს... მოკლედ, თანამედროვე და სრულყოფილი ფეხბურთელია.

**- კიდევ ერთი იტალიელი გოლეადორი ლუკარელი უკრაინაში წავიდა...**

- ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამაზე. მინდა გითხრათ, რომ ლუკარელის არჩევანი არ გამკვირვებია.

**- უკრაინაში გადასვლას მის სანაკრებო კარიერაზე, თითქოს, უარყოფითად უნდა ემოქმედა...**

- საიდან ასეთი დასკვნა? ნაკრებში უფრო ასაკოვანი ფეხბურთელებიც გამომიძახია. "სკუადრა აძურის" კარი ყველასთვის ღიაა.

**- 8 სექტემბერს, "სან სიროზე" იტალია-საფრანგეთია, ოთხი დღის შემდეგ კი უკრაინაშია გასვლა. ეს გადამწყვეტი ეტაპია ევროკამპანიაში. იტალიის ჩემპიონატის ნაადრევად დაწყებას ამიტომაც ითხოვდით?**

- ახლა ამაზე აღარ ღირს ლაპარაკი, რაც იყო, იყო. კარგია, თუ მერე არ მომაძახებენ, რომ ფიზიკურ მომზადებაში ჩამორჩენას რაღაც გამართლება აქვს. სისულელეა ეს ყველაფერი. თავს არ დავზოგავთ, რათა ეს ჩამორჩენა მაქსიმალურად შევამციროთ. მაგრამ ფაქტია, რომ ის არსებობს, და თანაც რამხელა. მე ფაქტებით ვმსჯელობ.

**- რას ნიშნავს ნაკრებში ახალგაზრდა მეკარე კურჩის გამოძახება?**

- ძალიან მინდა ვნახო, რას წარმოადგენს. დროა, კურჩი ნაკრებს გაუშინაურდეს. საბედნიეროდ, იტალიელ მეკარეებს უცხოელთა მოზღვავება არ აწუხებთ. ამ მხრივ მაინც მშვიდად ვართ.

**- დინო ძოფის მიაჩნია, რომ მეკარის პოზიციაზე კრიზისი გვაქვს და ამას პასუხისმგებლობისგან თავის არიდებით ხსნის...**

- შეიძლება, მართლიცაა. და ასეც რომ იყოს, არ გამიკვირდება. დიდია შეცდომის დაშვების შიში. ბევრ ფეხბურთელს ურჩევნია, მეკარის პოზიციიდან შორს იყოს, თუნდაც დაცვაში. ამიტომ, ბავშვებში მომავალი კარგი მეკარეები არ ჩანან.

**- იტალიის ნაკრების ტოტისა და ნესტას შემდეგ. ეს ეპოქა უკვე დაიწყო. არ ნერვიულობთ?**

- სიმართლე გითხრათ, არა. იმიტომ, რომ არ ვიცი, რას ნიშნავს იტალია ტოტისთან ერთად. მას ჩემი ხელმძღვანელობით არ უთამაშია, ნესტა კი მხოლოდ ერთხელ იყო. მე დავიწყე ტოტის გარეშე და ასევე ვაგრძელებ. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, ეს პრობლემა არ დგას. მაგრამ სხვა საქმეა გუნდი. მთავარია, მთელი ჩვენი ძალისა და რესურსის კონცენტრირება მოვახერხოთ.

**- ნაკრების მაისურამ მიმზიდველობა ხომ არ დაკარგა?**

- ცდებით, თუ ასე ფიქრობთ. ნაკრების ფორმას თავისი ხიბლი ჯერ არ დაუკარგავს, უბრალოდ, დღეს ყველა გიჟურ რიტმში თამაშობს. ასე რომ, ადრე თუ გვიან, ყველას უწევს არჩევანის გაკეთება. ჩემ დროს, კალენდარი ბევრად ჰუმანური იყო. პაოლო მალდინიმ თქვა: ეს არ ნიშნავს ნაკრებისადმი გულგრილობას, ეს ძალებისგან გამოფიტვააო. აბსოლუტურად ვეთანხმები ამ შეფასებაში.

**- მაგრამ დელ პიერო?**

- როგორც ჩანს, მისთვის ეს საჭიროა. საქმისადმი მისი დამოკიდებულება და თავდადება ძალიან მახარებს.

**- ინძაგი?**

- 34 წლისაც კი ის შეშლილივით დარბის და მოძრაობს. და ეს მხოლოდ კარგის ნიშანია. მას განსაკუთრებული მონაცემები და ნიჭი აქვს. ინძაგის გოლები კი არ უნდა ვითვალოთ, უნდა ავწონოთ.

**- წაიკითხეთ, რა უთქვამს მატერაცის ზიდანისთვის იმ საღამოს, ბერლინში?**

- ძალიან გთხოვთ, შემდეგი კითხვა...

**- კლაუდიო რანიერი შეწუხებულია, ნაკრები ბევრ მოთამაშეს ართმევსო...**

- ჩვეულებრივი ამბავია. რომელ მწვრთნელს არ უნდა, ყველა ფეხბურთელი მის განკარგულებაში იყოს? ჰოდა, არც თქვენი მონა-მორჩილია გამონაკლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენსია. დიდი დაპირისპირება

# ვისენტე: გუნდის ექიმი უმეცარია

## ტრავმებით გატანჯულმა ნახევარმცველმა მოთმინება დაკარგა და სასტიკი სკანდალი მოაწყო, სიტუაცია პრეზიდენტის ჩარევის გარეშე ვერ მოგვარდება



ვისენტე

**"დიდი განხეთქილება, რომელსაც არ ექნება მშვიდობიანი დასასრული" - ასეთი სათაურით გამოქვეყნდა "დიარიო მარკას" გუშინდელი პუბლიკაცია, რომელიც "ვალენსიაში" მომხდარ ძალიან საინტერესო ამბავს შეეხებოდა. ხსენებულ მადრიდულ გაზეთში "ღამურების" ერთ-ერთი უნიჭიერესი მოთამაშის, ვისენტეს ინტერვიუ დაიბეჭდა. ახალგაზრდა ესპანელი ნახევარმცველი ხშირი და სერიოზული ტრავმებით იტანჯება. ყველა ფიქრობდა, რომ ის უიღბლობის გამო იჩაგრებოდა, თუმცა თუ თავად ვისენტეს მოსაზრებას მოვისმენთ, შესაძლოა, მრავალი კითხვა გაგვიჩნდეს. საქმე ის არის, რომ "ღამურების" შუახაზელმა ხშირი ტრავმების გამო კლუბის სამედიცინო შტაბის წინააღმდეგ გაილაშქრა და მთავარ ექიმს არაპროფესიონალიზმში დასდო ბრალი. აღსანიშნავია, რომ თავად მედიკოსებს აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულებები აქვთ. ისინი ამბობენ, რომ ვისენტეს მთავარი პრობლემა არამდგრადი ფსიქოლოგიაა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მათი აზრით ფეხბურთელს ტრავმის ფობია აწუხებს და მოედანზე შეშინებული გადის ხოლმე. თურმე ამ მდგომარეობაში თამაში ტრავმის მიღების გაცილებით მეტ საფრთხეს შეიცავს. სიმართლე გითხრათ, ეს არგუმენტი ჩვენთვის ცოტა არ იყოს სასაცილოა. ფაქტია, რომ ვისენტეს რაღაც სჭირს, თვე ისე არ გაივლის, კუნთი არ დაეჭიმოს ან გაუწყდეს.**

როგორც გითხარით, ქრონიკულ ავადმყოფობაში ესპანელი ნახევარმცველი ექიმებს ადანაშაულებს: *"დავიტანჯე, აქამდე ხმას არ ვიღებდი, მაგრამ მოთმინება ამევსო. "ვალენსიის" ექიმების მიმართ ყოველგვარი ნდობა დავკარგე. ისინი ვალდებულები არიან, ხშირი ტრავმების მიზეზი დაადგინონ. ამისათვის კვალიფიციური და პროფესიული სამედიცინო გამოკვლევაა საჭირო. თითქოს ყველაფერს აკეთებდნენ, მაგრამ დავრწმუნდი, რომ უდიდეს არაპროფესიონალებთან მაქვს საქმე. მათ არ იციან, რა უნდა გააკეთონ და იმის უფლებასაც არ მაძლევენ, რომ დახმარებისთვის ნამდვილ ექიმებს მივმართო. სამწუხაროდ, "ვალენსიასთან" გაფორმებული კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტი მავალდებულებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ კლუბის ექიმების რჩევები გავითვალისწინო. მათი ნებართვის გარეშე თერაპევტთან სურდოს მოსარჩენად მისვლაც არ შემიძლია. გუნდის ხელმძღვანელობისადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, მეტის მოთმენას აღარ ვაპირებ. შევეცდები ჩვენს პრეზიდენტს პირადად შევხვდე და და საქმის არსი ავუხსნა. ჩემი აზრით, ის უბრალოდ ვალდებულია, რომ კონტრაქტის ის ავბედითი მუხლი გააუქმოს და თავისუფლება მომანიჭოს. მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში შეერთებულ შტატებში წავალ და მაღალ დონეზე ვიმკურნალებ."*

ბუნებრივია, "ვალენსიის" მთავარი ექიმი **ანტონიო ხინესი ვისენტეს** ამ განცხადების მიმართ გულგრილი და ინდიფერენტული ვერ დარჩებოდა. ის შეეცადა, საკუთარი რეპუტაცია დაეცვა: *"ასეთი გამოხდომები გუნდს სიკეთეს ვერ მოუტანს. საინტერესოა, როგორ შეუძლია ფეხბურთელ ვისენტეს ექიმების პროფესიონალიზმზე საუბარი? ნუთუ მას სამედიცინო განათლება აქვს მიღებული? ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, მას ფსიქოლოგიური სახის პრობლემები აწუხებს. ყოველთვის აუტანელი შიშის თანხლებით თამაშობს და ფეხის ტერფს მიწაზე არასწორად ადგამს. შემიძლია, ვიდეო მასალა წარმოგიდგინოთ და დავამტკიცო, რომ სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. როცა ძალიან ჩქარა გარბიხარ და ტერფს არაბუნებრივად ადგამ, დიდია იმის ალბათობა, რომ ბარძაყის კუნთი გაიწყვიტო. ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ ვისენტე დამერწმუნებინა, საშიში არაფერი იყო, თუმცა უშედეგოდ. არ ვიცი, ხვალ როგორ განწყობაზე გაიღვიძებს და რას იტყვის, მაგრამ მე ამ საქმის ასე დატოვებას არ ვაპირებ. მან საქვეყნოდ მომჭრა თავი. ჩემს წრეში საკმაოდ დიდი ავტორიტეტით ვსარგებლობ. ახლა კი ვისენტეს წყალობით მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ თურმე ანტონიო ხინესი უვიცი ექიმია. სენიორ ბაუტისტა სოლერთან შეხვედრას ვაპირებ. ის პრეზიდენტია და ვალდებული ვარ, მისი გვერდის ავლით არ ვიმოქმედო. სენიორ სოლერს ავუხსნი თუ რა მაწუხებს და რა მტკენს გულს. დიდი იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტი გამიგებს. მან იცის, რომ სამუშაოს მთელი გულითა და სულით ვასრულებ. ამის ფონზე სრულიად უმადური და გულისამრევი გამოხდომა ყოვლად აღმაშფოთებელია. სულ მცირე, ვისენტესგან ბოდიშის მოხდას მოვითხოვ. ვწუხვარ, რომ "ვალენსიის" დიდი ოჯახის ცხოვრება საჯაროდ გახმაურდა, მაგრამ მე არაფერ შუაში ვარ. ეს უსამართლო ბრძოლა სხვამ დაიწყო."*

ისტორიამ საპნის ოპერის სცენარი შეიძინა. სენიორ ანტონიო ხინესის განცხადებას ახლა უკვე ვისენტე გამოეხმაურა და აღნიშნა: *"ხინესის სიტყვები კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ თავისი საქმის გაგებაში არ არის. რას ნიშნავს, მიწაზე ტერფის არასწორად დადგმა?! მსგავსი იდიოტობა ცხოვრებაში არ მომისმენია. როგორ უნდა მასწავლოს, კომფორტულად როგორ ვირბინო? ან ფსიქოლოგიური პრობლემები საიდან მოიტანა? არავითარი პრობლემა არ მაწუხებს. არ შეიძლება ასე უტიფრად ადგე და მთელი ესპანეთი მოატყუო. "ვალენსიის" მთავარი ექიმი ვალდებულია, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ სწორი მეთოდებით ვივარჯიშო. ჩვენი ფიზმომზადების სპეციალისტები კი ტრაფარეტული ფრაზებით მესაუბრებიან და ღირებულს არაფერს აკეთებენ. გამაოგნებელია, ხინესი ჩემგან ელის ბოდიშს? ბოდიში თავად უნდა მომიხადოს. მისი არაპროფესიონალიზმის გამო სეზონის 80 პროცენტს სახლში ვატარებ."*

სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ საქმეში თვით **კიკე სანჩეს ფლორესი** ჩაერთო. "ღამურების" მთავარი მწვრთნელი დაპირისპირებულ მხარეებს ემოციების მოთოკვისკენ მოუწოდებს და ურჩევს თავდასხმებით "ვალენსიის" რეპუტაცია არ შელახონ: *"თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს მთელი ესპანეთის დასაცინები გავხდით. არ შეიძლება, ერთი გუნდის ორმა წევრმა კომპრომისი არ გამონახოს. ვისენტესი კარგად მესმის. ის ხანგრძლივი და ხშირი ტრავმებით დაიტანჯა. საბრალო ბიჭი ერთ შეხვედრას თუ ჩაატარებს, მომდევნო შვიდს ტოვებს. ბუნებრივია, ასეთი მდგომარეობა ძალიან დამღლელია. შესაძლოა, ვისენტეს საკუთარი არგუმენტების უტყუარობის გულწრფელად სწამს. მე მას არ ვაკრიტიკებ, თუმცა ამავდროულად სრული სერიოზულობით ვაცხადებ, რომ სენიორ ანტონიო ხინესი ჭეშმარიტი პროფესიონალია. მის კვალიფიკაციაში ეჭვის შეტანის მიზეზი პირადად მე არასოდეს მქონია. იმედია, ემოციები მალე ჩაცხრება. მჯერა, ეს უსიამოვნო ისტორია მშვიდად დასრულდება და დაპირისპირებული ადამიანები ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ."*

კიკე ფლორესი სრულ სიმართლეს ამბობს. მსგავსი პრობლემები ან საერთოდ არ უნდა იქმნებოდეს, ან უშუალოდ გუნდის სამზარეულოშივე ირკვეოდეს. თუმცა ვისენტემ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ტრიბუნა გამოიყენა და დაპირისპირებას დიდი რეზონანსი მისცა. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა ესპანელი უკან დახევას არავითარ შემთხვევაში არ აპირებს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კიკე ფლორესის სურვილს შერიგების შესახებ ასრულება არ უწერია...

**ილია ნიკოლაიშვილი**

ატლეტიკო

# რეიესი ვერ ითმენს

## ანდალუსიელმა ნახევარმცველმა კლუბის ხელმძღვანელობას შეუტია

გუშინ **ხოსე ანტონიო რეიესმა** "ატლეტიკოს" ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა. ანდალუსიელმა გარემარბმა გუნდში მისი ყოფით უკმაყოფილება გამოხატა. ხომ არ გეჩვენებათ, რომ რეიესი ძალიან ჩქარობს? სეზონი ეს-ესაა დაიწყო. ჯერ მხოლოდ ორი ტური ჩატარდა, მაგრამ ხოსე ანტონიო მაინც შეშფოთებულია და აცხადებს: *"მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მოგახსენებთ, რომ "ატლეტიკოსთან" კონტრაქტის გაფორმებისას ძირითად შემადგენლობაში ხშირად თამაშის დიდი იმედი მქონდა. წინა ტურის შეხვედრაში მხოლოდ შეცვლაზე შევედი და მოედანზე ძალიან ცოტა დრო დავყავი. მიმაჩნია, რომ სეზონისთვის ჩინებულად ვარ მომზადებული. სხვებს არაფრით ჩამოვუვარდები. აქედან გამომდინარე, ჩემი მდგომარეობით კმაყოფილი ვერანაირად ვერ ვიქნები. პირიქით, ძალიან უკმაყოფილო გახლავართ."*

პრესკონფერენციაზე მისულმა "დიარიო ასის" კორესპონდენტმა რეიესს ჰკითხა, მთავარ მწვრთნელთან მძიმე საუბრისთვის ხომ არ ემზადება. აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელი სიტუაციის გამწვავებას ჯერჯერობით არ აპირებს: *"როგორც აღვნიშნე, ძალიან უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ვაცნობიერებ, რომ ძირითადი შემადგენლობის დაკომპლექტება ექსკლუზიურად მთავარი მწვრთნელის პრეროგატივაა. ხავიერ აგირესთან შეხვედრა დაგეგმილი არ მაქვს. ეს მისი უფლებაა, მოიქცეს ისე, როგორც თავად მიიჩნევს საჭიროდ. ჯერჯერობით, ჩუმად ვიქნები და უფრო მონდომებულად ვივარჯიშებ. თუ სიტუაცია მომავალშიც არ შეიცვლება, რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებ."*

რეიესს **ხავიერ აგირე** თავად გამოეხმაურა: *"ხოსე ანტონიო ტყუილად არ შეგვიძენია. ჩვენ მისი დიდი იმედი გვაქვს, თუმცა ყველას უნდა ესმოდეს, რომ კონკურენცია დიდია. შეუძლებელია, მთელი სეზონი ერთმა და იგივე შემადგენლობამ ჩაატაროს. როტაციები გარდაუვალია. ახლა რეიესი სათადარიგოთა სკამზე ზის, მაგრამ ხვალ ის აუცილებლად ითამაშებს. ეს ხომ უდავოა! ასე რომ, ჩემს შეგირდებს ვთხოვ, სიმშვიდე არ დაკარგონ. მთავარია, ერთ მუშტად შევიკრათ და საერთო ამოცანების ერთობლივი ძალისხმევით გადავჭრათ."* როგორც ჩანს, რეიესის განცხადება "ატლეტიკოს" ხელმძღვანელებმა ცუდის მანიშნებლად მიიღეს. მათ შიში გაუჩნდათ, ანდალუსიელმა იანვარში ჩვენგან წასვლა არ ისურვოსო. შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, რეიესს პრეზიდენტმა **ენრიკე სერესომ** მიმართა და მას "ატლეტიკოს" ფასდაუდებელი მარგალიტი უწოდა.



ხოსე ანტონიო რეიესი

ბარსელონა

# ჯოვანი გუნდის ერთგულია

## ახალგაზრდა მექსიკელ მარგალიტს არსად წასვლა არ სურს

"ბარსელონის" კანტერის ახალმა მარგალიტმა, **ჯოვანი დოს სანტოსმა** მისი ნიჭიერებით თითქმის მთელი დედამიწის ყურადღება მიიქცია. გაჩნდა ინფორმაციები, რომ ახალგაზრდა მექსიკელის გადაბირების სურვილი ერთბაშად რამდენიმე გრანდს გაუჩნდა, მათ შორის, "ჩელსის"...

როცა მულტიმილიარდერი **რომან აბრამოვიჩის** გუნდი შენი ფეხბურთელით დაინტერესდება, ფეხბურთელით, რომელსაც მომავლის იმედებს უკავშირებ, ძალაუნებურად შიში შეგიპყრობს, დიდი მარგალიტი არ დავკარგოო. **ხოან ლაპორტა** ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჯოვანი არსად წავიდეს. პრეზიდენტის ნება მნიშვნელოვანია, თუმცა როგორც წესი, გადამწყვეტ როლს ყოველთვის უშუალოდ ფეხბურთელის პოზიცია თამაშობს ხოლმე. აქამდე, დოს სანტოსის მოსაზრება ცნობილი არ იყო. გუშინ კი მექსიკელმა საგანგებო პრესკონფერენციაზე ასეთი რამ თქვა: *"ბარსელონაში" ძალიან ბედნიერი ვარ. ეს არის გუნდი, რომელმაც აღმზარდა და ფეხბურთელად მაქცია. ანუ, რაც გამაჩნია, აბსოლუტურად ყველაფერი "ბარსამ" მომცა. უმადური არასოდეს ვყოფილვარ. უმადურ ადამიანებს ყველაზე მეტად ვერ ვიტან, ამიტომ არ დავუშვებ, რომ ეს სენი მეც შემეყაროს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ "ბარსელონიდან" სადმე წასვლის იდეაც კი არ მომსვლია. მსგავსი რამ ერთხელაც არ მიფიქრია. ან სად უნდა წავიდე? განა "ბარსაზე" ძლიერი გუნდი სადმე არსებობს? რონალდინიოს, მესის, ეტოოს, ჩავის, პუიოლის, ანრის, ტურამისა და სხვა ვარსკვლავების მხარდამხარ ვემზადები და ვთამაშობ. "ბარსა" გენიალური გუნდია. მოკლედ, "კამპ ნოუზე" უამრავ სეზონს ჩავატარებ. ხელმძღვანელობის მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. შესაძლებლობით ვისარგებლებ და ფრანკ რიიკაარდის მიმართ ქედს მოვიხრი. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა შესაძლებლობა მომცა, რომ პრიმერა დივიზიონში სადებიუტო შეხვედრა ჩამეტარებინა."*



ჯოვანი დოს სანტოსი

დაპირისპირება

# ლაპორტა: მოტა უმნიფარი ყოფილა

## კატალონიური გრანდის პრეზიდენტს ტიაგო მეგობარი ეგონა, ის კი არამზადა აღმოჩნდა...

რამდენიმე დღის წინ "ატლეტიკოს" ხელმძღვანელებმა გუნდის გულშემატკივრებს **ტიაგო მოტა** წარუდგინეს. ბრაზილიელმა ნახევარმცველმა პრეზენტაცია ბოღმის ამოსანთხევად გამოიყენა. ცნობილია, რომ "ბარსელონიდან" ის გულნატკენი წავიდა და პირველივე შანსი გამოიყენა იმისთვის, რომ ყოფილი კლუბის ხელმძღვანელებისთვის შეეტია. მოტამ განაცხადა, კატალონიურ გრანდში დიდი არეულობა და დაძაბულობააო. მისი თქმით, პრეზიდენტ **ხოან ლაპორტასა** და გენერალურ დირექტორ **ჩიკი ბეგირისტაინს** საშინელი ურთიერთობა აკავშირებთ. სამხრეთამერიკელმა შემდეგ დასძინა, ისინი ერთმანეთს ატყუებენ და გუნდის ინტერესებს პირად ამბიციებს ამჯობინებენო...

"ბარსელონის" ხელისუფლებისთვის ასეთი შეურაცხყოფა დიდი ხანია არავის მიუყენებია. ბუნებრივია, ხოან ლაპორტა ჩუმად ვერ იქნებოდა. პრეზიდენტმა ჟურნალისტები დაპატიჟა და საგანგებო განცხადება გააკეთა: *"ცხოვრებაში არის რაღაცები, რასაც ვერასოდეს წარმოიდგენ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მოტას "ატლეტიკოში" ასეთი პრეზენტაცია ექნებოდა. შოკირებული ვარ, მისი სიტყვები ბოლომდე გაცნობიერებული ახლაც არ მაქვს. ტიაგო მოტასთან ახლო ურთიერთობები მაკავშირებდა. ის ჩიკი ბეგირისტაინთანაც მეგობრობდა. იმედგაცრუებული გახლავართ, არ მცოდნია, რომ მოტა ერთი ჩვეულებრივი სულმდაბალი ადამიანია. ფეხბურთში ხშირად ხდება, როცა მოთამაშე ძირითად შემადგენლობაში ადგილს ჰკარგავს და სხვაგან მიდის. აქ არაფერია არაამქვეყნიური. სამწუხაროდ, ბრაზილიელი ისე დაიბოლმა, რომ უდიდესი სისულელეები წამოროშა. არ შემეშინდება იმის თქმა, რომ მსგავსი რამის გაკეთება, მხოლოდ და მხოლოდ უმნიფარ კაცს შეუძლია. რაოდენ არადელიკატურადაც არ უნდა ჟღერდეს, თავს უფლებას მივცემ განვაცხადო, რომ ტიაგო მოტა უმნიფარი ყოფილა."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ სემ ელერდაისთან

# ცხოვრებისათვის ფეხის აწყობა საკმარისი აღარ არის, მას უნდა გაუსწრო

## ნიუკასლი, დიდი სემის ახალი გამოწვევა

**სემ ელერდაისმა "ბოლტონში" თამაშისას გაითქვა სახელი. 1973-80 წლებში მან ამ კლუბში 182 მატჩი ჩაატარა და 21 გოლი შეაგდო. ოთხწლიანი მოგზაურობის შემდეგ ის "ბოლტონში" 1985 წელს დაბრუნდა, მაგრამ მხოლოდ ერთი წლით (14 მატჩი). მან საფეხბურთო კარიერა 1992 წელს "პრესტონში" დაასრულა. ერთი წლით ადრე, "ლიმერიკში" თამაშისას, ის მწვრთნელის მოვალეობებსაც ითავსებდა. პირველი ნამდვილი სამწვრთნელო სამუშაო 1994 წელს "ბლექპულში" შესთავაზეს. მომდევნო ხუთი წელი სემმა "ბლექპულსა" და "ნოთს ქაუნთიში" გაატარა. 1999 წელს ისევ "ბოლტონში" უხმეს. მისი დანიშვნისას "ბოლტონი" პირველი დივიზიონის აუტსაიდერი გახლდათ. გუნდმა იმავე სეზონში დივიზიონის ფლეი ოფში გააღწია. მომდევნო სეზონში "ბოლტონი" ისევ ფლეი ოფში გავიდა, ფინალში "პრესტონს" 3:0 მოუგო და 2001 წელს, სამწლიანი პაუზის შემდეგ, პრემიერლიგას დაუბრუნდა. მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში სემმა გუნდი მთლიანად გარდაქმნა. 2005 წელს ბოლტონელებმა არსებობის ისტორიაში პირველად მოიპოვეს უეფას თასის საგზური. მათ ინგლისის ჩემპიონატი მეექვსე ადგილზე დაასრულეს და ზუსტად იმდენი ქულა დააგროვეს, რამდენიც 2005 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელმა "ლივერპულმა" (მერსისაიდელები პრემიერლიგაში მეხუთე ადგილს დასჯერდნენ). მომდევნო სეზონში "ბოლტონი" ისევ უეფას თასზე გავიდა და ჯგუფური ეტაპი გადალახა. ის მშობლიურ კლუბს 2007 წლის აპრილში გამოეთხოვა. სეზონის დასრულებისთანავე ელერდაისს "ნიუკასლი" ჩააბარეს. "ნიუკასლი" 52 წლის სპეციალისტისათვის პირველი დიდი კლუბია. "სენტ ჯეიმს პარკზე" ტიტულების მოგება შეიძლება. ახალი სეზონის დაწყებიდან ერთი თვე მიიწურა. სემის "ნიუკასლი" დაუმარცხებელია. მას ოთხი თამაშის შემდეგ რვა ქულა აქვს და ლიდერ "ლივერპულს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება. "ნიუკასლმა" ლიგის თასის პირველი ეტაპიც გადალახა. ამგვარად, ახალი სეზონი, ახალი სამსახური და ისევ ის სემი. ჯორდებს მისი ხელი უკვე დაეტყოთო, წერენ ინგლისელი მიმომხილველები.**

**- სემ, მოგწონთ ახალი სამუშაო? სიმართლე გითხრათ, გვეგონა, სიბერემდე "ბოლტონში" აპირებდით დარჩენას...**

- (იცინის) რა გითხრათ. ვითარებაში გასარკვევად გარკვეული დრო დამჭირდა. "ნიუკასლი" სხვა განზომილებაა, სულ სხვა პრიორიტეტებითა და ფინანსური შესაძლებლობებით. აკლიმატიზაციის პერიოდი თითქმის გავლილია. კლუბის ყველა რგოლთან კონტაქტი შედგა. ამ მასშტაბის ბიზნესში კომუნიკაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს. აქამდე ტრანსფერებით ვიყავით დაკავებული, აგრეთვე ახალი ფეხბურთელების დაბინავებითა და მათთვის სამუშაო პირობების შექმნით. პარალელურად, გუნდის შეკვრას ვცდილობდით. მგონი, ყველაფერი გამოდის, ჩვენთანაც და სხვათა შორის, "ბოლტონშიც". იმედია, ბოლტონელებიც გადალახავენ პრობლემებს და სეზონის ბოლომდე აღარაფერი გაუჭირდებათ.

**- "ბოლტონსა" და "ნიუკასლს" შორის რამდენად დიდი სხვაობაა?**

- არა მგონია, ვინმე გააკვირვოს იმან, რასაც ახლა ვიტყვი. ნიუკასლი და მისი შემოგარენი ნამდვილი ფანატიკოსებითაა დასახლებული. როცა ქალაქში გადიხარ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გხვდებათ ვიღაც საკლუბო მაისურით. ყოველ წამს ვიღაც გესალმება, ვიღაც ავტოგრაფს გთხოვს ან მასთან ერთად სურათის გადაღებას. უკლებლივ ყველა ადამიანი, ვისაც დღემდე შევხვედრივარ, ძალიან მეგობრული და თავაზიანი იყო. რა თქმა უნდა, ეს სეზონის დაწყებამდე ხდებოდა, თუმცა იმედია, განწყობა არც ამის შემდეგ შეიცვლება. ფანები, იმის გარდა, რომ ერთგულებით გამოირჩევიან, ყველაზე კრიტიკულადაც გვაფასებენ. ეს ყველამ ვიცით. მაგრამ თუ საქმეს გულიანად გავაკეთებთ, ნიუკასლი ჩვენთვის ნამდვილ სამოთხედ გადაიქცევა. ეს სიტყვები მე არ მომიგონია, ყველა ამას ლაპარაკობს - ალან შირერიც, გარი სპიდიც და ბობი რობსონიც.

**- კარგა ხანია, მწვრთნელად მუშაობთ. როგორც ვხედავთ, "ნიუკასლის" ფანები თქვენს დანიშვნას დიდ იმედებს უკავშირებენ. რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინი პრობლემებს ხომ არ გიქმნით?**

- მგონი, ახალ სეზონში ყველას განსაკუთრებული მოლოდინი აქვს. ეს იმიტომ, რომ ახალმა სატელევიზიო კონტრაქტმა ყველას ფინანსური კეთილდღეობა მოუტანა. სატრანსფერო ბაზარზე მილიონებს კი აღარ ვხარჯავთ, არამედ ათეულობით და ასეულობით მილიონს. ალბათ, წაიკითხავდით, ინგლისურმა კლუბებმა დახარჯული თანხის ოდენობით ყველა დროის რეკორდი დაამყარეს. პრემიერლიგის ოცივე კლუბმა ადრინდელზე მეტი თანხა გაიღო. ამიტომ ახლა საკითხი ასე დგას: მივაღწევთ თუ არა დახარჯული თანხის ადეკვატურ შედეგს. ჩემი მოვალეობაა, ყოველი ფეხბურთელისაგან მაქსიმალური სარგებელი მივიღო. მათ მარტო ინდივიდუალური ოსტატობა კი არ უნდა გვიჩვენონ, არამედ ყველამ ერთად სრულყოფილი გუნდური ფეხბურთი უნდა ითამაშოს. თუ ამას მოვახერხებთ მინდორზე და მის მიღმა, ეჭვი არ მეპარება, რომ ადეკვატური შედეგი გვექნება.

**- არ ვიცი, მოგეწონებათ თუ არა ეს კითხვა, ან უპასუხებთ თუ არა მას, მაგრამ "ბოლტონში" მუშაობისას თქვენ იყავით მწვრთნელი, რომელიც შედეგზე ფიქრობდა და სანახაობა დიდად არ ანაღვლებდა...**

- სრული სისულელეა. ვინ შექმნა ეს სტერეოტიპი? ვინ და დიდი კლუბების მწვრთნელებმა, რომლებსაც ვამარცხებდით, ისინი კი თავს იმართლებდნენ, რომ "ბოლტონმა" ანტიფეხბურთით მოუგო. გაიხსენეთ, ასე არ იყო? აბა, "ბოლტონის" ფანებსაც ჰკითხეთ, რამდენად უსახური იყო ფეხბურთი, რომელსაც მათი გუნდი თამაშობდა. ისიც ჰკითხეთ, სტადიონს გულდაწყვეტილნი ხომ არ ტოვებდნენ ხოლმე. ბევრისაგან განსხვავებით, ჩვენ პრემიერლიგაში დასარჩენად კი არა, ევროპაში მოსახვედრად ვიბრძოდით.

**- ესე იგი, გინდათ თქვათ, რომ ნიუკასლელი სემ ედერდაისის სამწვრთნელო ფილოსოფია იგივეა, რაც ექვსი თვის წინ, ბოლტონში ყოფნისას იყო?**

- თუ საკითხს ჩავუღრმავდებით, გიპასუხებთ, რომ არა. თამაშის სტილი ბევრწილად იმ ფეხბურთელებზეა დამოკიდებული, რომლებთანაც ვმუშაობ. მე საკითხს ასე ვუდგები: როცა დიდ ბიჭებს ეთამაშები, ყველაფერი უნდა იღონო, რომ მათ თამაშის საშუალება არ მისცე, ხელი შეუშალო და დაამწუხრო. არ მაინტერესებს, რას იტყვის, მეტოქე. თუ უნდათ, უხეში გუნდი გვიწოდონ, თუ უნდათ თქვან, რომ ჩვენ მარტო პრიმიტიული გრძელი პასები გვეხერხება. მთავარია, ნეგატიურით პოზიტიური შედეგი მიიღო. "ბოლტონი" კი ამას საკმაოდ კარგად ახერხებდა. მე თუ მკითხავთ, ბევრი გუნდი თამაშს იქამდე აგებდა, სანამ ბოლტონში ჩამოვიდოდა ხოლმე.

**- რა გეგმები აქვს "ნიუკასლს" ამ სეზონში? რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?**

- ვფიქრობთ, ცხრილის ზედა ნახევარში მოხვედრაც კარგი იქნება. ამით მინიმუმ გასული სეზონის შედეგს გავაუმჯობესებთ. ოთხი თამაშით დასკვნების გაკეთება შეუძლებელია. ათი მატჩის მერე უფრო მეტის თქმას შევძლებ. პირველი ათი მატჩი კრიტიკული პერიოდია. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ამ პერიოდის გასვლის შემდეგაც ცხრილის ზედა ნახევარში ვიყოთ. კარგი დასაწყისი ნახევარ საქმეს უდრის. თუ თავიდანვე ჩამოვრჩებით ლიდერებს, მერე მათი დაჭერა წარმოუდგენელი იქნება.

**- როგორ ფიქრობთ, "ნიუკასლის" დირექტორატს თუ ეყოფა მოთმინება? მოგცემენ საკმარის დროს ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის?**

- ვფიქრობ, მოთმინების ფიალა ყველგან სწრაფად ივსება. ზოგისთვის ორი თამაშიც საკმარისია, ზოგს ერთი მატჩი ჰყოფნის. ხომ ხედავთ, უკვე იმაზე საუბარობენ, რომ "ტოტენჰემი" კატასტროფის წინაშე დგას, რომ "მანჩესტერმა" ტიტული დათმო, რადგან "ჩელსის" ოთხი ქულით ჩამორჩება. რაც დრო გადის, მოთმინების პერიოდი უფრო და უფრო მცირდება. ამას ვერსად გავექცევით. ასეთი სულსწრაფობა ცხოვრებას ჯოჯოხეთურად ართულებს. მწვრთნელების სამუშაოს კი თითქმის უნიკალურს ხდის, რადგან ამ სამუშაოზე ყველაფერს დღეები წყვეტენ. ფეხბურთი განუწყვეტლივ იცვლება. მოვალე ხარ, ცვლილებებს მისდიო. ცხოვრებისათვის ფეხის აწყობა საკმარისი აღარ არის. მას უნდა გაუსწრო. მე სწორედ ამას ვცდილობ და ასე თუ ისე გამომდის. ყოველ შემთხვევაში, მე დღეს იქ ვარ, სადაც ვარ.

**- "ნიუკასლში" ალბათ დიდხანს გაჩერდებით. რა იქნება შემდეგ?**

- პენსია (იცინის). თუ ჩემი საქმიანობა წარმატებული იქნება, თუ "ნიუკასლს" უფრო მეტ ტიტულს მოვუტან, ვიდრე კლუბს ბოლო 30-40 წლის განმავლობაში მოუპოვებია, ისღა დამრჩება, ყველას მადლობა გადავუხადო და დამსახურებულ პენსიაში გავიდე. ფეხბურთს ალბათ არ გამოვეთხოვები და ტელევიზიაში ან პრესაში ვიმუშავებ. იქ უფრო ნაკლები დატვირთვაა. ჩემი იდეების გაზიარება კი ძალიან მიყვარს. მატჩებს ვუყურებ, ვისიამოვნებ და აღარ ვინერვიულებ. წარმომიდგენია, რამხელა სიამოვნება მელოდება. დღეს კი, შაბათ დილას თვალს გავახელ თუ არა, მაშინვე ის მახსენდება, რომ სამ საათზე თამაშია. ვნატრობ, რომ არავინ დამირეკოს, რადგან თუ დამირეკეს, ესე იგი, ვიღაც ავად გახდა, ვიღაცას კბილი ასტკივდა, ვიღაცას სურდო აქვს და ან კიდევ შავმა კატამ გადაურბინა. ყველაფერი სანერვიულოა. ამიტომ, როცა ყველაფერს მიაღწევ და როცა ფეხბურთი ისე გიყვარს, რომ მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოგიდგენია, მედია მშვენიერი საშუალებაა. არც საყვარელ საქმეს შეეშვები და სამოგზაუროდაც ბევრი დრო გექნება. მოკლედ, ბევრ ისეთ საქმეს გააკეთებ, რომლისთვისაც ადრე უბრალოდ არ გეცალა.

**- თქვენ ამაყი ინგლისელი ბრძანდებით. ნუთუ ინგლისის ნაკრებში დანიშვნის იმედი აღარ გაქვთ?**

- ნაკრებში რომ დამნიშნონ, "ბოლტონზე" ბევრად უკეთესი შედეგები უნდა მქონდეს. თუ შანსი კიდევ მექნება და თუ წარმატებული მწვრთნელი ვიქნები, შეიძლება ამაზე ვიფიქრო. საერთოდ, საჭირო დროს საჭირო ადგილზე უნდა იყო, ისე, როგორც სტივ მაკლარენი, მაგრამ ამ ამბებმა უკვე ჩაიარა. წარსულზე ბევრს არ ვფიქრობ ხოლმე. ჯობია, მომავლისაკენ გავიხედო.



სემ ელერდაისი

### ფერგი კეიროშს ირჩევს

**სერ ალექს ფერგიუსონი** ამბობს, როცა პენსიაში გავალ, **კარლუშ კეიროში** "იუნაიტედის" მწვრთნელობის უმთავრესი კანდიდატი იქნებაო და იქვე ღიმილით ამატებს, ოღონდ ჯერ არ ვიცი, სახლში როდის წავალო. ფერგიმ ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ გამოაცხადა, მორჩა, მწვრთნელობას თავს ვანებებ, უნდა დავისვენოო, მაგრამ მალევე გადაიფიქრა - მინდა, ახალგაზრდა ფეხბურთელების დავაჟკაცებას მოვესწროო. კეიროში მადრიდის "რეალის" ყოფილი მწვრთნელია. ის არ მალავს, რომ ფერგის წასვლის შემდეგ სიამოვნებით გააგრძელებდა მის საქმეს. სერ ალექსი 65 წლისაა. ის "ოლდ ტრეფორდზე" შორეული 1986 წლიდან მუშაობს. ფერგი ინგლისური საკლუბო ფეხბურთის ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელია. ის ამბობს, არ ვიცი, ვინ სურთ **გლეიზერებს** ჩემს შემცვლელადო: *"მე ვერ გადავწყვეტ, მაგრამ კარლუშ კეიროშის სახით, შესანიშნავი ასისტენტი მყავს და ვფიქრობ, ძლიერი კანდიდატი იქნებოდა. არ ვიცი, რას ფიქრობენ კლუბის მფლობელები. მათ შეიძლება თავიანთი ფავორიტი ჰყავდეთ. მეც არ ვიცი, როდის შევწყვეტ მუშაობს. ეს ადვილი გადასაწყვეტი არ არის. კარგი გუნდის დატოვება ყოველთვის ძნელია. "იუნაიტედი" კი ძალიან კარგი გუნდია და მალე კიდევ უკეთესი გახდება."*

ინგლისი

## ითამაშებს თუ არა ჯერარდი?

**სტივ ჯერარდი** ვერ ვარჯიშობს. ის ერთ-ერთია იმ ოთხი ფეხბურთელიდან, რომელთაც ინგლისის ნაკრების სამშაბათისა და ოთხშაბათის ვარჯიშები გამოტოვეს. "ლივერპულის" კაპიტანმა "ტულუზთან" სამი კვირის წინანდელ მატჩში ფეხის თითი მოიტეხა. მას მერე სტივმა მხოლოდ ერთხელ ითამაშა - "ჩელსისთან". ნახევარმცველს მაშინაც ტკივილგამაყუჩებელი გაუკეთეს. მერსისაიდელების ბოსი **რაფა ბენიტესი** ამბობს, რომ ფეხბურთელი დაშავებულია და მისი სანაკრებო მატჩებში გამოყვანა გაუმართლებელი იქნებოდა. **სტივ მაკლარენი** მკვეთრი განცხადებებისაგან თავს იკავებს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჯერარდს აუცილებლად გამოიყვანს, ზუსტად ისე, როგორც ეს "ლივერპულმა" გააკეთა - ტკივილგამაყუჩებლით. რატომ? იმიტომ, რომ დღეს ჯერარდს ინგლისისათვის ოქროს ფასი აქვს.

ვერ ივარჯიშა დაცვის ბურჯმა **ჯონ ტერიმაც**. ის გუნდს სამშაბათს შეუერთდა და დაასვენეს. **ოუენ ჰარგრივსი** მხოლოდ ტრენაჟორებით შემოიფარგლა. მას არ ურბენია. "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი ახლადმოშუშებულ მუხლს უფრთხილდება. მაკლარენს იმედი აქვს, რომ შაბათს ისრაელის წინააღმდეგ ტერიც ითამაშებს და ჰარგრივსიც. **ფრენკ ლემპარდის** ასპარეზობა კი საბოლოოდ გამოირიცხა. "ჩელსის" ვარსკვლავის თამაში იმთავითვე საეჭვო იყო. მან გასული კვირის მიწურულს ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა. ლემპარდს "ასტონ ვილასთან" არ უთამაშია. ის ნაკრებში მაინც გამოცხადდა, ექიმებმა გასინჯეს და დასვენება გამოუწერეს. ლემპარდი ალბათ რუსეთთან ოთხშაბათის მატჩისთვისაც ვერ მოასწრებს მწყობრში ჩადგომას.

გუშინ მაკლარენმა პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტებს ყველაზე მეტად ჯერარდის მდგომარეობა აინტერესებდათ. აი, რა თქვა ინგლისელთა თავკაცმა: *"სტივმა "ჩელსისთან" ნემსის დახმარებით ითამაშა. ჩემი პოზიცია ასეთია: ყველაფერს ვიღონებ, რომ საუკეთესო ფეხბურთელებმა ითამაშონ. შაბათს აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ამიტომ ყველა ფეხბურთელი გვჭირდება."* კითხვაზე, შეუძლია თუ არა "ლივერპულის" კაპიტანს თამაში, მაკლარენმა მიუგო: *"ჯონ ტერისა და ფრენკ ლემპარდს ანალოგიური ტრავმები ჰქონდათ, მაგრამ წინასასეზონო მატჩებისას ინექციებს უკეთებდნენ და ათამაშებდნენ. ვიცი, ეს როგორი ტრავმაა. ნემსი ტკივილს აყუჩებს, ტრავმის გართულების რისკი კი არ არსებობს. რაც საჭირო იქნება, იმას მოვიმოქმედებთ. "ლივერპულის" რჩევებს აუცილებლად გავითვალისწინებთ. რაფასაც დაველაპარაკები და ექიმებსაც."*

კითხვაზე, რას იზამს მაკლარენი, თუ ჯერარდს ნემსის გაკეთება დასჭირდება, ხოლო ბენიტესი ამას გააპროტესტებს, მწვრთნელმა უპასუხა: *"გადაწყვეტილებას მაშინ მივიღებთ, როცა ამის დრო მოვა. მჯერა, სტივი ჩვენთან იქნება. მას თამაში უნდა. მე მინდა, რომ მან ითამაშოს. ჩვენ ყველას გვინდა, რომ მან ითამაშოს, იმიტომ, რომ ეს დიდი მატჩია და მის მოსაგებად დიდი ფეხბურთელები გვჭირდება."* მიმომხილველები ამ პასუხს არ დასჯერდნენ და ჩაეკითხნენ, უფლებამოსილი ხართ თუ არა, კლუბის წინააღმდეგობის შემთხვევაში, ფეხბურთელი მაინც ათამაშოთო. მაკლარენმა თქვა, მგონი მაქვს ამის უფლებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის ისტორია

# 20 საუკეთესო გოლი

ურთულესი მისია აიღო საკუთარ თავზე ცნობილმა ინგლისურმა საფეხბურთო ჟურნალმა World Soccer-მა. მან გამოავლინა ყველა დროის 20 საუკეთესო გოლი, ამდენივე საუკეთესო მატჩი და გუნდი. საუკეთესოთა გამოვლენა გამოკითხვის შედეგად მოხდა. წამყვანი უცხოური გამოცემების კორესპონდენტები ასახელებდნენ საუკეთესო გოლს, გუნდსა და მატჩს. გარდა ამისა, თავიანთი აზრის დაფიქსირების საშუალება მიეცათ ცნობილ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს - ყოველი ქვეყნიდან თითოს. მაგალითად, გამოკითხვაში მონაწილეობდნენ "როიტერის" ჟურნალისტები, აგრეთვე მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები - ფრანც ბეკენბაუერი, ეუსებიო და სხვები. საბოლოოდ, მივიღეთ საუკეთესო გოლების სია, რომელსაც შესაძლოა მკითხველთა დიდი ნაწილი არ დაეთანხმოს. საერთოდ, ასეთ საკითხებში კამათი უაზრობაა - ყველა საკუთარი გემოვნების მიხედვით მსჯელობს. გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ ნებისმიერი გულშემატკივარი ამ შედევრების გახსენებისას, მოგონებებში გადავარდება და კვლავ შეიგრძნობს იმ ჭარბ ემოციებს, რომლის მონიჭებაც მხოლოდ ფეხბურთს შეუძლია.

## 1. დიეგო მარადონა

*22 ივნისი, 1986 წელი*
*მსოფლიო ჩემპიონატი, 1/4 ფინალი*
*მეხიკო. აცტეკა*
*არგენტინა-ინგლისი 2:1*
*54-ე წუთი, 2:0*

სპეციალისტთა და გულშემატკივართა უმრავლესობის მიერ საუკეთესოდ მიჩნეული გოლი, სამუდამოდ დარჩება იმ ბურთის "ჩრდილში", რომელიც **დიეგო მარადონამ** ოთხი წუთით ადრე გაიტანა. "ღმერთის ხელმა" არგენტინელს ანგარიშის გახსნის საშუალება მისცა და სანამ მსოფლიო დიეგოს თავხედობისგან გონს მოდიოდა, მარადონამ დაგვანახა, რა შეუძლია მას სინამდვილეში...

ფოლკლენდის კონფლიქტი ჯერ კიდევ არ იყო დავიწყებული და მარადონამ მატჩის წინ განაცხადა: *"ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩვენს კისერზე იყოს მთელი არგენტინელი ხალხის ტკივილი..."* შესაძლოა, ამან შთააგონა მარადონა ან იქნებ პირველი გოლის გამო უხერხულობის გრძნობა (თუ არსებობდა საერთოდ ასეთი რამ) დაეუფლა, მაგრამ ფაქტია, რომ 54-ე წუთზე, დიეგომ თავის ნახევარზე **ექტორ ენრიკესგან** მიიღო ბურთი და თავბრუდამხვევი ცეკვა დაიწყო. ინგლისელი მცველები მოუქნელი მეეტლეებივით გამოიყურებოდნენ, ხოლო ტანმორჩილი არგენტინელი შეუჩერებლად მიიწევდა თავისი ვარსკვლავური წამისკენ - მან ჯერ **პიტერ რიდი** და **პიტერ ბერდსლი** მოატყუა, შემდეგ **ტერი ბატჩერი, ტერი ფენვიკი** და თვით **პიტერ შილტონი**. ბატჩერი თავგანწირულ ვარდნაში ცდილობდა ბურთის კარის ხაზიდან გამოტანას, მაგრამ მარადონა იდეალურად ზუსტი იყო. არგენტინელმა ბურთით 60 მეტრი 10.8 (!) წამში გაირბინა. და მას შემდეგ მსოფლიოს ვერ გაურკვევია, ვინ იყო საუკეთესო: **პელე** თუ მარადონა? მარადონა თუ პელე?

*"ასეთ გოლზე ბავშვობიდან ვოცნებობდი, - ამბობს მარადონა. - ყოველთვის, როცა ჩანაწერს ვუყურებ, მიკვირს, როგორ შევძელი ამის გაკეთება. ხუთი წელიწადით ადრე, ევროპულ ტურნეში "უემბლიზე" ინგლისელებს ვეთამაშებოდით. მაშინ ზუსტად ასეთივე რეიდი გამომივიდა, მაგრამ მეკარე კარიდან გამოვიდა და არაზუსტად დავარტყი. შესაძლოა, გონებაში ეს ეპიზოდი მქონდა ჩარჩენილი და ამჯერად ყველაფერი სწორად გავაკეთე".*

## 2. მარკო ვან ბასტენი

*25 ივნისი, 1988 წელი*
*ევროპის ჩემპიონატი. ფინალი*
*მიუნხენი. ოლიმპიაშტადიონი*
*ჰოლანდია-სსრკ 2:0*
*53-ე წუთი, 2:0*

**მარკო ვან ბასტენისთვის** 1987-88 წლების სეზონი საშინლად წარიმართა. მან სერია A-ში "მილანის" შემადგენლობაში მხოლოდ 11 მატჩი ჩაატარა, დანარჩენი დრო კი, ტრავმების მოშუშებას შეალია. მიუხედავად ამისა, **რინუს მიხელსმა** მაინც წაიყვანა ფორვარდი ევროპის ჩემპიონატზე, თუმცა მარკომ სსრკ-სთან სასტარტო მატჩი გამოტოვა.

მაგრამ ვან ბასტენმა მაინც თქვა თავისი ხმამაღალი სიტყვა: ჯერ ჯგუფურ ეტაპზე ინგლისთან ჰეთ-თრიკი შეასრულა, გერმანიასთან ნახევარფინალის ბოლო წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა. ღიად რჩებოდა ერთი საკითხი: ვინ გახდებოდა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი: ვან ბასტენი თუ **რუუდ გულიტი**, რომელმაც სხვათა შორის, ფინალში გახსნა ანგარიში. მაგრამ, მარკომ გააკეთა ის, რაც მიუღწეველი იყო ისეთი ყაიდის ფეხბურთელისთვის, როგორიც გულიტია... **არი ვან ტიგელენმა** მოედნის ცენტრი გაიარა და მარცხნივ **არნოლდ მიურენი** მონახა, რომელმაც უბრალოდ, საპირისპირო ფლანგზე გადაიტანა ბურთი. თითქოს, ეს შეტევა ჯერ მხოლოდ ძალას იკრებდა, მაგრამ ვან ბასტენმა დარტყმა გადაწყვიტა. გოლი ფანტასტიკურად ლამაზი გამოვიდა - მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი დაუჯერებელი ტრაექტორიით ჩაეშვა კარში, ხოლო **რინატ დასაევმა**, რომელმაც აბსოლუტურად სწორი პოზიცია შეარჩია, მხოლოდ ახტომის შესრულება მოასწრო.

## 3. ზინედინ ზიდანი

*15 მაისი, 2002 წელი*
*ჩემპიონთა ლიგა. ფინალი*
*გლაზგო. ჰემპდენ პარკი*
*რეალი-ლევერკუზენი 2:1*
*44-ე წუთი, 2:1*

ჩემპიონთა თასზე მეცხრე გამარჯვება მადრიდის "რეალისთვის" ძალიან რთული აღმოჩნდა. "ლევერკუზენმა" დიდი წინააღმდეგობა გაუწია "სამეფო კლუბს" და ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა ეს მატჩი, მინდორზე ჯადოქარი **ზინედინ ზიდანი** რომ არ ყოფილიყო.

ფრანგი ყველაფერს ძალიან ლამაზად აკეთებდა. დრიბლინგი, პასები, დარტყმები... მაგრამ ეს გოლი მისთვისაც უნიკალური იყო: მარცხენა ფლანგზე მეტოქესთან ბრძოლისას, **რობერტო კარლოსმა** მხოლოდ ის მოახერხა, რომ უხეიროდ ჩაჰკიდა ბურთი საჯარიმოს ხაზთან, მაგრამ ზიდანმა ყველაფერი კარგად წაიკითხა: დაასწრო **მიხაელ ბალაკს** და ციდან ჩამოვარდნილი ბურთი ყოველგვარი მომზადების გარეშე პირდაპირ ცხრიანში გაუშვა.



მარადონას მეორე გოლი ინგლისის ნაკრების კარში

*"სხვა დროს, ათიდან ათ შემთხვევაში, ბურთი ტრიბუნებზე გაფრინდებოდა, მაგრამ გლაზგოში გამიმართლა: ყველაფერი აუღელვებლად და ზუსტად გავაკეთე. არ მახსოვს, რომ ოდესმე ასეთ დარტყმებში მევარჯიშოს. ვერ წარმომიდგენია, იმ შემთხვევაში სხვა რა უნდა გამეკეთებინა - ასეთი მაღალი ბურთის სხვანაირად შეხვედრა, უბრალოდ, შეუძლებელია"*, - იხსენებს ზიდანი.

## 4. საიდ ოვაირანი

*29 ივნისი, 1994 წელი*
*მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი*
*ვაშინგტონი. რფკ*
*ს. არაბეთი-ბელგია 1:0*
*მე-5 წუთი*

1994 წლამდე, საუდის არაბეთის ფეხბურთის შესახებ ბევრი არაფერი იყო ცნობილი. და აი, "შეიხების შთამომავლები" აშშ-ში ჩავიდნენ, რა თქმა უნდა, აუტსაიდერთა რანგში. მაგრამ, ჰოლანდიასთან სასტარტო მატჩში წაგებას მაროკოსთან გამარჯვება მოჰყვა და ბელგიასთან ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურს უნდა გაერკვია, რომელი გუნდი გავიდოდა შემდეგ წრეში.

ცენტრალურ ნახევარმცველ **საიდ ოვაირანისგან** ასეთ "თავხედობას" არავინ ელოდა, თავად ფეხბურთელიც კი. მან ბურთი საკუთარ საჯარიმოში მიიღო და წინ დაიძრა. ბელგიელებმა უკან დაიხიეს და არ სჯეროდათ, რომ არაბი ბოლომდე ივლიდა. მაგრამ ოვაირანი არ გაჩერდა, საჯარიმოში შევარდა და მიუხედავად მცველების წინააღმდეგობისა, გადაწყვიტა, თავად დაესრულებინა საქმე. საიდმა ყველაფერი ზუსტად გათვალა, რისთვისაც მდიდრული "როლს როისი", ასტრონომიული თანხა და მეტსახელი - "არაბი მარადონა" მიიღო.

## 5. პელე

*29 ივნისი, 1958 წელი*
*მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი*
*სტოკჰოლმი. რასუნდა*
*შვედეთი-ბრაზილია 2:5*
*55-ე წუთი, 1:3*

დღეს ძნელი წარმოსადგენია, რომ 17 წლის ბიჭმა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგოს და ერთ საათში ვარსკვლავად იქცეს. **ედსონ არანტეს დო ნასიმენტოს** შესახებ ბრაზილიაშიც ბევრი არაფერი იცოდნენ, მაგრამ შვედეთში გატარებულ ორი კვირაში, ბრაზილიელმა ხმამაღალი განაცხადი გააკეთა საფეხბურთო მეფის სავარძელზე. თავდაპირველად, მან გამარჯვების გოლი გაიტანა უელსთან მეოთხედფინალში, შემდეგ ჰეთ-თრიკი შეასრულა ნახევარფინალში საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ, დაბოლოს ფინალში, ორი გოლით ალაფრთოვანა მთელი საფეხბურთო სამყარო. პირველი გოლი მაშინ გაიტანა, როცა ბრაზილია 2:1 იგებდა. პელემ პასი **ნილტონ სანტოსისგან** მეტოქის საჯარიმოში მიიღო, მკერდით გაიჩერა და ისე რომ, მინდორზე არ დაუშვია, თავზე გადაუტარა მცველ **გუსტაფსონს** და ძლიერად გაისროლა კუთხეში. თავად მეფე მოგვიანებით აცხადებდა, რომ სწორედ ეს გოლი იქცა მომდევნო წლებში მის სავიზიტო ბარათად.

## 6. არჩი ჯემილი

*11 ივნისი, 1978 წელი*
*მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი*
*მენდოსა. სან მარტინი*
*შოტლანდია-ჰოლანდია 3:2*
*68-ე წუთი, 3:1*




ზიდანის გოლი ლევერკუზენის კარში

70-იანი წლების ბოლოს, შოტლანდიას თავის ისტორიაში საუკეთესო გუნდი ჰყავდა. ვარსკვლავების ნაკლებობას არ უჩიოდა (**გრემ სუნესი, კენი დალგლიში...**), გუნდიც შეთამაშებული იყო და საკონტროლო მატჩების შედეგებიც ოპტიმიზმის საფუძველს იძლეოდა. მაგრამ ბრიტანელებს სტარტი არ გამოუვიდათ: პერუსთან წაგებამ და ირანთან ფრემ **ალი მაკლეოდის** გუნდი კატასტროფის წინაშე დააყენა. და მაინც, შოტლანდიელებმა შეძლეს კარის გაჯახუნება, როცა 70-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, ჰოლანდიის ნაკრები დაამარცხეს. მარჯვენა ნახევარმცველმა **არჩი ჯემილმა** იმ ჩემპიონატის ყველაზე ლამაზი გოლი გაიტანა: ერთი ფინტით ჰოლანდიელთა სამი მცველი მოუტყუა და მეკარე **იონგბლადს** თავზე ლამაზად გადაუგდო ბურთი.

## 7. კარლოს ალბერტო

*21 ივნისი, 1970 წელი*
*მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი*
*მეხიკო. აცტეკა*
*ბრაზილია-იტალია 4:1*
*87-ე წუთი, 4:1*

1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატი "ბრაზილიური ეპოქის" მწვერვალად ითვლება. ბევრი სპეციალისტი მაშინდელ ნაკრებს ყველა დროის საუკეთესო გუნდად მიიჩნევს. ძნელია ამ მოსაზრებას შეედავო: ბურთის ჯადოქრებმა მთელი ტურნირი ერთი ამოსუნთქვით ჩაატარეს, ხოლო ფინალური მატჩის ბოლო წუთებზე, მათმა კაპიტანმა **კარლოს ალბერტომ** დიდი ძახილის ნიშანი დაუსვა მექსიკაში ბრაზილიელთა გამოსვლას. **ჟაირზინიომ ჟერსონისგან** მარცხენა ფლანგზე მიიღო ბურთი, ცენტრისკენ გადაინაცვლა და პელე მონახა. ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატებზე მეფის ბოლო შეხება ბურთთან და ის მართლაც მეფური გამოდგა: რბილი პასი საჯარიმოში ჩარბენილ კარლოს ალბერტოზე, იმაზე უფრო ლამაზი გამოვიდა, ვიდრე თავად მცველის დარტყმა. ამ გამარჯვებით, ბრაზილია მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი და სამუდამო მფლობელობაში გადაეცა ჟიულ რიმეს თასი - "ოქროს ქალღმერთი". მოგვიანებით, ეს პრიზი მოიპარეს და დღეს, ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია მხოლოდ მის ასლს ინახავს.

## 8. ფერენც პუშკაში

*25 ნოემბერი, 1953 წელი*
*ამხანაგური მატჩი*
*ლონდონი. უემბლი*
*ინგლისი-უნგრეთი 3:6*
*22-ე წუთი, 1:3*

ინგლისელებს უძლეველი უნგრელების შესახებ ბევრი რამ ჰქონდათ გაგებული და ფეხბურთის დამაარსებლებმა გადაწყვიტეს, თავისი ადგილი მიეჩინათ "გათავხედებულებისთვის". მაგრამ, იმ მომენტში მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, უნგრეთის ნაკრებმა ყველაზე ხმაურიანი სენსაცია შემოგვთავაზა და კონტინენტის პირველი გუნდი გახდა, რომელმაც ინგლისი მისსავე მოედანზე დაამარცხა. 1:2-ზე **ფერენც პუშკაშის** მიერ გატანილი გოლი მატჩის კულმინაციად იქცა: მახვილი კუთხით მდგომმა, მან მოხდენილი ფინტით მოატყუა ინგლისელთა კაპიტანი **ბილი რაიტი** და უძლიერესად დაარტყა ახლო მაღალ კუთხეში.

სამშობლოში დაბრუნებულ უნგრეთის ნაკრებს 100 ათასი ადამიანი დახვდა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ, ამავე ადამიანებს აღარ ჰქონდათ ზეიმის საბაბი: ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის მოგება ვერ შეძლო. კიდევ ორი წლის შემდეგ, პოლიტიკური ქაოსის გამო ქვეყანა პუშკაშმა დატოვა, რომელიც მადრიდის "რეალში" გადავიდა და იქ გააგრძელა თავისი ბრწყინვალე კარიერა.

## 9. დიეგო მარადონა

*25 ივნისი, 1986 წელი*
*მსოფლიო ჩემპიონატი, 1/2 ფინალი*
*მეხიკო. აცტეკა*
*არგენტინა-ბელგია 2:0*
*63-ე წუთი, 2:0*

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე სრულად გამოვლინდა მარადონას გენიალური ნიჭი. ინგლისთან მატჩში ჩადენილი გმირობებიდან სამი დღის შემდეგ, არგენტინელთა კაპიტანმა ამჯერად ბელგიის ნაკრები დააჩოქა. დიეგოს მეორე გოლი ძალიან ლამაზი გამოვიდა: **ხოსე კუსიუფომ** ბელგიელთა შეტევა ჩაშალა და ბურთი **ხორხე ვალდანოს** გადააწოდა, მან კი კარიდან 30 მეტრში მარადონა მონახა. ცენტრში მდგომი კაპიტანი არ შეუშინდა ბელგიელი მცველების ტყეს: მარადონა მათ შორის გაძვრა და თითქმის წაქცეულმა **ჟან-მარი პფაფს** გვერდიდან შემოავლო ბურთი. ეს იყო არგენტინელი ვირტუოზის მეხუთე გოლი ჩემპიონატში. და მართალია, ის საუკეთესო ბომბარდირი ვერ გახდა, სამაგიეროდ, თავის გუნდს ჩემპიონის ტიტული მოუპოვა.

## 10. ლეონელ მესი

*19 აპრილი, 2007 წელი*
*ესპანეთის თასი, 1/2 ფინალი*
*ბარსელონა. ნოუ კამპი*
*ბარსელონა-ხეტაფე 5:2*
*28-ე წუთი, 2:0*

მსოფლიო ფეხბურთის "ოქროს ბიჭმა" ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, ჩემპიონთა ლიგაზე შეძლო თავის გამოჩენა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში მყარად ადგილი გასულ სეზონში დაიკავა. არგენტინელის სავიზიტო ბარათი მისი ვირტუოზული ტექნიკაა და "ხეტაფესთან" მატჩში მას ნამდვილი შედევრი გამოუვიდა: მოედნის ცენტრში, თავისი საყვარელი მარჯვენა ფლანგიდან მესი მეტოქის კარისკენ დაიძრა, მოატყუა ყველა, ვინც კი გზად შეხვდა, მათ შორის მეკარეც და მახვილი კუთხიდან ზუსტად დაარტყა. ეს გოლი ძალიან ჰგავს იმ ბურთს, რომელიც ამ სიაში პირველ ადგილზე დგას. საერთოდ, მესი ბევრი რამით ჰგავს მარადონას: თუნდაც იმით, რომ მარტში, ლეომ "ესპანიოლის" კარში ხელით გაიტანა გოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 11. რიკარდო ვილია

*14 მაისი, 1981 წელი*
*ინგლისის თასი. ფინალი*
*ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი 3:2*
*76-ე წუთი, 3:2*

გოლის გატანამდე, არგენტინელმა **ვილიამ** "სიტის" ოთხი მოთამაშე მოატყუა, თანაც აქედან ორს, ფეხებს შუა გაუტარა ბურთი.

## 12. რაიან გიგზი

*14 აპრილი, 1999 წელი*
*ინგლისის თასი. 1/2 ფინალი*
*მანჩესტერ იუნ-არსენალი 2:1*
*109-ე წუთი, 2:1*

სლალომური რეიდი მარცხენა მცველის ზონაში: **გიგზმა** უდიდესი სისწრაფით ჩამოიტოვა ხუთი მცველი და **დევიდ სიმენს** გაუტანა.

## 13. რივალდო

*17 ივნისი, 2000 წელი*
*ესპანეთის ჩემპიონატი*
*ბარსელონა-ვალენსია 3:2*
*89-ე წუთი, 3:2*

საჯარიმოს ხაზზე ზურგშექცევით მდგომმა ბრაზილიელმა, მკერდზე მიიღო ბურთი და მაღალ ნახტომში "მაკრატელათი" აილო მეტოქის კარი.

## 14. დენის ბერგკამპი

*4 ივლისი, 1998 წელი*
*მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი*
*ჰოლანდია-არგენტინა 2:1*
*90-ე წუთი, 2:1*

**ფრანკ დე ბურის** 60-მეტრიანი პასის შემდეგ, **ბერგკამპმა** საჯარიმოში **აიალა** მოატყუა და ტერფის გარე ნაწილით ზუსტად დაარტყა შორეულ კუთხეში.

## 15. ესტებან კამბიასო

*16 ივნისი, 2006 წელი*
*მსოფლიო ჩემპიონატი: ჯგუფური ეტაპი*
*არგენტინა-სერბეთი 6:0*
*31-ე წუთი, 2:0*

ამ გოლის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ არგენტინელებმა **კამბიასოს** დარტყმამდე 25 (!) ზუსტი გადაცემა შეასრულეს.

## 16. მაიკლ ოუენი

*30 ივნისი, 1998 წელი*
*მსოფლიო ჩემპიონატი. 1/8 ფინალი*
*არგენტინა-ინგლისი 2:2*
*მე-16 წუთი, 1:2*

ცენტრალურ ზონაში რეაქტიულმა გარღვევამ და ლამაზმა გოლმა მსოფლიო ფეხბურთს ახალი ვარსკვლავი აჩუქა.

17. რობერტო ბაჯო

*19 ივნისი, 1990 წელი*
*მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი*
*იტალია-ჩეხოსლოვაკია 2:0*
*78-ე წუთი, 2:0*

**ბაჯო** გვერდით ხაზთან იდგა, კარამდე უმოკლესი გზა აირჩია, ფინტებით ოთხი მცველი მიანვინა და მოძრაობის საწინააღმდეგოდ ზუსტად დაარტყა.

## 18. ჯორჯ ბესტი

*2 ოქტომბერი, 1971 წელი*
*ინგლისის ჩემპიონატი*
*მანჩესტერ იუნ-შეფილდ იუნ 2:0*
*84-ე წუთი, 2:0*

მოედნის ცენტრში ბურთთან ერთად გაკეთებული პაუზის შემდეგ, **ბესტი** მოულოდნელად წინ გაიჭრა, გზად ყველა შემხვედრი მოატყუა და ბურთი შორეულ კუთხეში გაგზავნა.

## 19. გერდ მიულერი

*14 ივნისი, 1970 წელი*
*მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი*
*გფრ-ინგლისი 3:2*
*106-ე წუთი, 3:2*

გერმანელებმა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში განცდილი მარცხისთვის რევანში აიღეს. **მიულერმა** დაასრულა პარტნიორების კომბინაცია, როცა ზედა ძელისგან ასხლეტილი ბურთი მოათავსა კარში.

## 20. ჰელმუტ რანი

*4 ივლისი, 1954 წელი*
*მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი*
*გფრ-უნგრეთი 3:2*
*83-ე წუთი, 3:2*

ეს გოლი ყველაზე სენსაციურია მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში: კაპიტულაციიდან 9 წლის თავზე, გერმანია ფეხზე წამოდგა - მისი ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ბარსელონა. მორიგი სკანდალის მოლოდინში

# ეტოოს ტრავმა თავად ეტოოს ბრალია

### კატალონიური გრანდის ექიმებმა კამერუნელი ფორვარდი თვითნებობაში დაადანაშაულეს



დაშავებული ეტოო ანრიმ ანუგეშა

**სამუელ ეტოოს** ტრავმა შესაძლოა, "ბარსელონაში" მორიგი დაძაბულობის წარმოქმნის მიზეზი გახდეს. მოგეხსენებათ, გამპერის თასის შეხვედრაში კამერუნელი ფორვარდი მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვლაზე შევიდა, მაგრამ არ გაუმართლა და ზუსტად ორ წუთში ტრავმა მიიღო. ექიმების ვარაუდით, სარეაბილიტაციო დრო ორიდან სამ თვემდე გასტანს. დაძაბულობა კი შესაძლოა, კატალონიური გრანდის ექიმების დასკვნამ გამოიწვიოს. სანამ მის არსს გაგაცნობთ, მოგახსენებთ, რომ ექიმების მოსაზრებას დირექტორატის მაღალჩინოსნები აბსოლუტურად იზიარებენ. მაშ, რაშია საქმე: როგორც გაირკვა, ეტოომ ამ სეზონის დაწყების წინ შვებულებისთვის განკუთვნილი დრო სრულფასოვანი დასვენებისთვის არ გამოიყენა. როცა ყველას ეგონა, რომ სამუელი ზაფხულს მალიორკის ცხელ პლაჟებზე ნებივრობაში ატარებდა, ამ დროს კამერუნელი ფორვარდი ბალეარის კუნძულების ლამაზ ბუნებაში თავდაუზოგავად, ინდივიდუალურად, ფიზმომზადების სპეციალისტის მეთვალყურეობის გარეშე ვარჯიშობდა. "ბარსას" ექიმები აცხადებენ, რომ ფეხბურთელს ზედმეტმა დატვირთვებმა და სირბილმა ტერფის მყესები დაუჭიმა. სხვათა შორის, ეტოომ სწორედ ტერფის მყესის ტრავმა მიიღო...

ესპანურ ფეხბურთში გაცნობიერებულ ადამიანებს მოეხსენებათ, რომ ეტოოს კრიტიკა სასტიკად არ უყვარს. შენიშვნებს იგი ყოველთვის მტკივნეულად იღებს და არაფრის გამო უდიდეს სკანდალებს აწყობს. მიმომხილველებს ეშინიათ, რომ მიღებულ ტრავმაში თავად სამუს დადანაშაულება ფეხბურთელს წონასწორობას დააკარგვინებს. პრესის წარმომადგენლები მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ, აფრიკელთან დაკავშირებას, მაგრამ ამაოდ, მან არავისთან საუბარი არ ისურვა.

დაგვეთანხმებით, ფრიად დელიკატური სიტუაციაა შექმნილი. ეტოოსგან კომპრომისს ნაკლებად უნდა ველოდოთ. თავის მხრივ, უკან დახევას არც სამედიცინო შტაბი აპირებს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, კატალონიური გრანდის ერთ-ერთი ექიმის **ჟოზეპ ფიაგოს** კომენტარს შემოგთავაზებთ: *"პრეტემპორადა 21 ივლისს დავიწყეთ. როგორც ყოველთვის, ფეხბურთელები წონაში ოდნავ მომატებულები და სრულიად მოდუნებულები დაგვიბრუნდნენ. პირველი ვარჯიში ტრადიციულად მსუბუქი გახლდათ, თუმცა თვალში მოგვხვდა, რომ ეტოო ყველაზე ენერგიულად გამოიყურებოდა. თავიდან მან არაფერი გაგვიმხილა და მოგვახსენა, რომ სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდა და ყველაფერი ჩვენი მოჩვენების ნაყოფი იყო. რამდენიმე დღეში ფეხბურთელებს დატვირთვები გავუზარდეთ. ზოგს ისე გაუჭირდა, რომ კინაღამ გული აერია. სამუელი კი ჩიტივით მსუბუქი გახლდათ. საერთოდ არ დაღლილა. უმალ დავრწმუნდი, რომ რაღაცაში იყო საქმე. დიდი მცდელობის შემდეგ დავადგინე, რომ კამერუნელი ფაქტობრივად, მთელი შვებულების განმავლობაში მუხლჩაუხრელად ვარჯიშობდა. ეს ვარჯიში ძირითადად შორეულ დისტანციებზე სირბილს მოიცავდა. თითქოს თავდადებული და პროფესიული საქციელია, მაგრამ მერწმუნეთ, ასეთი ვოლუნტარიზმი 99 პროცენტში დამღუპველია. თავად განსაჯეთ, ჩვენმა პაციენტმა მყესები ისეთ დღეში ჩაიგდო, რომ მოწინააღდეგესთან მცირე მიკარებისას გაუწყდა. არც კი ვიცი, რა უნდა ვთქვა, ფეხბურთელებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ."*

სერიოზული ბრალდებაა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეტოო, ადრე თუ გვიან, სენიორ ჟოზეს პასუხს აუცილებლად გასცემს.

ვარსკვლავები

# პოლიტიკური ფეხბურთი: ბეკენბაუერი vs ბრაიტნერი

### გერმანული ფეხბურთის მეამბოხე ლეგენდა ბაიერნში იმუშავებს, ომისშემდგომი გერმანიის ერთ-ერთი უმწვავესი პოლიტიკური კონფლიქტი ამოიწურა...

ეს ინფორმაცია გერმანიას არცკი გასცდენია: მიუნხენის "ბაიერნი" კონტრაქტს უფორმებს ყოფილ ვარსკვლავ **პაულ ბრაიტნერს**. ჰერ ბრაიტნერი ბავარიული გიგანტის მრჩეველი ხდება. *"ექსპერტი ყოველთვის ექსპერტია,"* - ასე ხსნის დირექტორატის გადაწყვეტილებას მიუნხენელთა გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი**.

"ბაიერნის" პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** ბრაიტნერის მიწვევას მხარი დაუჭირა. პაული საყვარელ კლუბში დაბრუნებამ ისე გაახარა, რომ შეთავაზებული პირობებით არცკი დაინტერესებულა. გერმანელი მიმომხილველები ამბობენ, ამ დანიშვნით ომისშემდგომი გერმანიის ერთ-ერთი უმწვავესი პოლიტიკური კონფლიქტი ამოიწურაო.

თინეიჯერი ბრაიტნერი "ბაიერნში" 1970 წელს, პატარა სამხრეთგერმანული ქალაქიდან მივიდა. ის 1968 წლის სტუდენტური აჯანყებით იყო შთაგონებული. მას მიუნხენში "წითელი პაული" შეარქვეს. ბრაიტნერი ნამდვილი მეამბოხე გახლდათ - ატარებდა დიდ წვერს, კითხულობდა ლენინსა და მარქსს, ხოლო როცა ჯარში გაიწვიეს, სხვენში დაიმალა. სამხედრო პოლიციას კარი ული ჰიონესმა გაუღო და პაული შინ არ არისო, უთხრა.

ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ფოტოზე ბრაიტნერი **მაო ძე დუნის** პლაკატის ფონზეა გამოსახული. მას ხელში ჩინეთის კომუნისტური პარტიის პროპაგანდისტული გაზეთი უჭირავს, ფეხებთან კი ბოქსიორის ჯიშის ძაღლი განოლილა. დღეს ეს ფოტო ყველას ხუმრობის ხასიათზე აყენებს. პაულს ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს მარცხენა მცველი კი არა, შვეიცარიაში გადახვეწილი ლენინი იყოს და რუსულ რევოლუციას ამზადებდეს. იმ დროს, როცა ბრაიტნერს მაოისტური ფილოსოფია იტაცებდა, ჩინელ დიქტატორს მილიონობით ადამიანი ჰყავდა დახოცილი, მაგრამ პაული ევროპელი მაოისტი იყო. ამიტომ დეტალები დიდად არ ანაღვლებდა.

მისგან განსხვავებით, ბეკენბაუერი ნამდვილი ბურჟუა გახლდათ. ის ახალგაზრდა დაქორწინდა, განმარტოებით დიდი სახლი იყიდა და ორატორის ხელოვნების დასაუფლებლად კერძო მასწავლებელი აიყვანა. კაიზერი მემარჯვენე პოლიტიკურ ორგანიზაციებს ქომაგობდა. ამიტომ ფეხბურთის მიღმა, ამ ორიენტაციის პარტიებსა თუ გამოცემებთან ასოცირდებოდა. ბეკენბაუერისა და ბრაიტნერის დაპირისპირება გარდაუვალი იყო. ასეც მოხდა და ფრანცმა თანაგუნდელზე ცხვირი აიბზუა.



ლეგენდარული გუნდი. მარცხნიდან: ბრაიტნერი, ბეკენბაუერი, მიულერი და ოვერატი

პაულმა მარტო ბეკენბაუერი კი არა, ყველა კონსერვატორი განარისხა, როცა ერთხელ საჯაროდ გამოაცხადა, სანაკრებო მატჩების წინ ჰიმნების აღერება კონცენტრაციაში ხელს მიშლისო. მას ტრიბუნებიდან "მაოისტსა" და "კომუნისტს" ეძახდნენ. ბრაიტნერი კი პასუხად მიუგებდა ხოლმე, თუ მოკეტავთ, უკეთესად ვითამაშებო.

პაული მემარცხენე ახალგაზრდობის კერპი ვერ გახდა. ეს სტატუსი გრძელთმიან და აბსოლუტურად აპოლიტიკურ **გიუნტერ ნეტცერს** ერგო. ბრაიტნერის გაკერპება შეუძლებელი იყო. მას მეტად რთული ხასიათი ჰქონდა იმისთვის, რომ ვინმეს გმირად შეერაცხა, თანაც პროლეტარისთვის შეუფერებელ ავტომობილს, "მაძერატის" დააქროლებდა.

1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები გაიფიცნენ. ტიტულის მოგების შემთხვევაში, ისინი პრემიის სახით 100 ათას მარკას ითხოვდნენ. ამბოხებას ბრაიტნერი და ჰიონესი მეთაურობდნენ. ბრაიტნერმა ერთი ღამის განმავლობაში ორჯერ ჩაალაგა ჩემოდნები და სახლში წასვლით დაიმუქრა. მოგვიანებით, ბეკენბაუერი იტყვის, ამბოხებულებს მათი სიძლიერის დემონსტრაცია სურდათო.

კარიერის დასრულების შემდეგ ბრაიტნერისა და ბეკენბაუერის გზები გაიყო. ფრანცი გერმანული ისტებლიშმენტის ნაწილი გახდა, პაული - ოპოზიციის. კაიზერმა მინდორს მიღმა უფრო დიდი წარმატებასა და აღიარებას მიაღწია, ვიდრე ჩვეულებრივ ფეხბურთელები, ინტელექტუალები ან თუნდაც კანცლერები აღწევენ ხოლმე. მან მხოლოდ 1968 წლის მეამბოხე თაობის გული ვერ მოიგო. მათ თვალში ის მეტისმეტად გაყოყოჩებულ, მდიდარ, ძუნწ, მემარჯვენე და უემოციო ადამიანად დარჩა. 1968-იანელების ერთ-ერთმა ლიდერმა **დენი კონ-ბენდიტმა** ფრანცის წინააღმდეგ ალიანსიც კი დააფუძნა, რათა ბეკენბაუერს უეფას პრეზიდენტობაში ხელი შეუშალოს.

ბრაიტნერი მემარცხნეობას მალე შეეშვა, მაგრამ სულით მეამბოხე დარჩა. მეამბოხე ისაა, რომელიც ყველაფერს ანგარიშმიუცემლად არ თანხმდებაო, ამბობს ის. როცა ბეკენბაუერი გერმანიის ნაკრების მწვრთნელი იყო, ბრაიტნერი მას გერმანული ფეხბურთის მესაფლავეს უწოდებდა.

მაგრამ მათი ბრძოლა უთანასწორო იყო. ფრანცმა მწვრთნელის რანგში 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, შემდეგ კი 2006 წლის მუნდიალი გერმანიაში ჩაიტანა. ის კანცლერ **გერჰარდ შრიოდერს** ისე დაუახლოვდა, რომ შეეძლო, გვიან ღამით ღვინის დასალევად მასთან სამსახურშიც კი შეევლო.

ბრაიტნერი, ამასობაში, საგაზეთო სვეტებით ამბობდა ხოლმე სათქმელს, იმიტომ, რომ ფეხბურთში მისთვის თანამდებობა არასოდეს შეუთავაზებიათ. 1998 წელს გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ის ნაკრების მენეჯერად დანიშნა, მაგრამ მხოლოდ 17 საათით. ნაკრების სხვა მუშაკებმა მასთან თანამშრომლობაზე კატეგორიული უარი განაცხადეს.

და მხოლოდ დღეს შესთავაზეს მას "ბაიერნის" ოჯახში დაბრუნება. 1968 წელი დიდი ხნის წინათ იყო. მაო მოკვდა. ბეკენბაუერმა კი გაიმარჯვა, მაგრამ მულტიმილიონერი ბრაიტნერიც გამარჯვებულია.

**საიმონ კუპერი**
ფაინენშელ თაიმსი

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რაგბი** — ინტერვიუ გია ნიჟარაძესთან



შატო ბოჟოლე



გია ნიჟარაძე

# ბოჟოლე ჩვენი ციხესიმაგრეა

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიოს თასზე ზედიზედ მეორედ ითამაშებს. ბორჯღალოსანთა ამქარი ერთადერთი ქართული გუნდია, რომელსაც დღემდე მსოფლიოს უდიდეს ფორუმზე უასპარეზია. ამდენად, მათ მიმართ ქომაგთა ყურადღება გაათკეცებული იქნება. მით უფრო, რომ ჩვენი მორაგბეების თამაშს საფრანგეთში მარტო სპორტული დატვირთვა არ ექნება.**

- ახლახანს, თბილისში პოპულარული ფრანგული გაზეთ "ეკიპის" ჟურნალისტები გვსტუმრობდნენ - გვიამბობს საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე პრეზიდენტი **გია ნიჟარაძე.** - პირველი კითხვა ასეთი იყო: ძალიან გვინდა აგვიხსნათ, როგორ მოხვდით მსოფლიო თასზე, ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება - თქვენთან რეგისტრირებული მორაგბეების რაოდენობა იმდენია, რამდენიც ერთ ძლიერ ფრანგულ კლუბში. გადაუჭრელია მოედნების პრობლემა, ქრონიკულად არ გყოფნით ფულიო...

ამაზე ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია. ეტყობა, სპორტის ამ სახეობას ჩვენთან ნოყიერი ნიადაგი დახვდა. როგორც ჩანს, რაგბის ფილოსოფია ჩვენს ხასიათში, ტრადიციებში ზის. ამ შემთხვევაში მარტო ლელობურთს არ ვგულისხმობ. რაგბის თამაშისას მჟღავნდება ჩვენი ეროვნული ხასიათი: კეთილშობილება, მეგობრობა, თავდადება, მებრძოლი სული და თანაც, ჩვენი უარყოფითი თვისებები ამ თამაშისას არ ვლინდება.

**- რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოში რაგბის განვითარებისთვის, მსოფლიო თასზე ჩვენი ბიჭების ღირსეული თამაში?**

- ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველა სპორტის სახეობაში საწყისი ბავშვთა სპორტია. ამ ასაკში ყველაფერი ხდება წამხედურობით, მიბაძვით. ჩვენი ნაკრები რომ მსოფლიო თასზე თამაშობს და ტელევიზიით გადმოიცემა, ეს კიდევ ასობით ბავშვს მოიყვანს რაგბში. მათაც მოუნდებათ მორაგბეებივით ვაჟკაცურები, ხალხისთვის საყვარელი ადამიანები გახდნენ.

მსოფლიო თასზე წარმატებულ თამაშს პრაგმატული თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ჩვენმა ნაკრებმა დაამარცხა ნამიბია და ღირსეულად ებრძოლა მსოფლიო სარაგბო ბობოლებს: საფრანგეთს, ირლანდიასა და არგენტინას, დიდია ალბათობა იმისა, რომ IRB-მ მეორე დონის გუნდების რიგში გადაგვიყვანოს. ეს, ერთი მხრივ, ფინანსური დახმარების გაზრდას ნიშნავს. მეორე მხრივ, საშუალება მოგვეცემა ტესტმატჩები ვეთამაშოთ ელიტარულ გუნდებს. ამის გარეშე წინსვლაზე ფიქრიც კი შეუძლებელია.

**- ეს რაც შეეხება საერთაშორისო ასპარეზს. როგორ ფიქრობთ, შეიცვლება თუ არა დამოკიდებულება რაგბის მიმართ ქვეყნის შიგნით?**

- ვფიქრობ, რომ შეიცვლება, თანაც ყველა მხრიდან. ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერის დეფიციტი დღესდღეობით, ჩვენ არ გვაქვს. გადმოგვცეს სტადიონები, დუშეთის სპორტული ბაზა, სპორტის დეპარტამენტმა გამოგვიყო ბევრად უფრო მეტი თანხა, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. დამუშავების პროცესშია კიდევ რამდენიმე პროექტი. იმედია, მათი მხრიდან მსოფლიო თასის გათამაშების შემდეგ ყურადღება და დახმარება კიდევ უფრო გაიზრდება.

რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა რაგბისადმი დამოკიდებულებაში ბიზნესის მხრიდან. მართალია, გვყავს რამდენიმე სპონსორი, რომლებმაც, როგორც შეეძლოთ, ისე გაგვიმართეს ხელი. მაგრამ, მაოცებს ზოგადად ქართველი ბიზნესმენების პოზიცია. მათი დამოკიდებულება არაადეკვატურია იმ წარმატებებისა, რასაც აღწევს სპორტის ეს სახეობა.

**- რა უნდა გაკეთდეს, რომ მათი კეთილგანწყობა დაიმსახუროს ქართულმა რაგბმა?**

- ყველამ უნდა გაითავისოს, რომ რაგბი არაა მარტო სპორტის სახეობა. რაგბი სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი კაცების ცხოვრების წესია. ასეთი კაცები ხომ ესოდენ ესაჭიროება ჩვენ ქვეყანას. რაგბს განვიხილავ, როგორც ჯანმრთელი ქართველი ერის ჩამოყალიბების პროექტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ამიტომ, ვინც რაგბიში ფულს დებს, უნდა იცოდეს, რომ მისი დივიდენდები ჩვენი შვილების მომავალში იდება. რაგბის თემში არ არის ნარკომანია, ქურდული მენტალიტეტი, უზნეობა.

ამასთან, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენც ძალიან ბევრი გვაქვს სასწავლი. კერძოდ, უნდა ვისწავლოთ ურთიერთობა როგორც სახელმწიფო სტრუქტურებთან, ისე ბიზნესთან. მათ ჩვენ უნდა შევთავაზოთ ყოველივე ისე, რომ დარწმუნდნენ თავიანთი ინვესტიციების ეფექტურობაში.

**- მოდით, ორიოდ სიტყვა ნაკრებზეც ვთქვათ, რა მდგომარეობაა დღეისთვის გუნდში?**

- ინტენსიური მზადების პერიოდი უკვე დასრულდა. გადაწყვეტილია აბსოლუტურად ყველა საორგანიზაციო საკითხი. ნაკრების კონსულტანტი ანრი ბრონკანი, ვიდეოანალიზის სპეციალისტთან ერთად, ყოველ თამაშამდე ორი დღით ადრე შეუერთდება გუნდს. გარწმუნებთ, ამ შეთანხმების მიღწევა ძალიან გაგვიჭირდა. პრობლემებს ბრონკანის გუნდის "აჟენის" პრეზიდენტი გვიქმნიდა. ძლივს დავითანხმეთ.

ბორჯღალოსნები მსოფლიო თასის მსვლელობისას უმეტეს ნაწილს ლიონთან ახლოს, ბოჟოლეში გაატარებენ. აქ ისინი მე-16 საუკუნის შატოში იცხოვრებენ, რომელიც სასტუმრო კომპლექსადაა გადაკეთებული. ერთი სიტყვით, პირობები იდეალურია. როგორ გამოიყენებს ამ ყველაფერს ჩვენი ნაკრები, თამაშები გვიჩვენებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**რაგბი**

მსოფლიო თასის VI გათამაშება
7 სექტემბერი-20 ოქტომბერი, 2007
საფრანგეთი (უელსი, შოტლანდია)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 07 სექ, პარ | 23:00 | საფრანგეთი-არგენტინა | D | სენ დენი | 01 |
| 08 სექ, შაბ | 15:45 | ზელანდია-იტალია | C | მარსელი | 02 |
| 08 სექ, შაბ | 17:45 | ავსტრალია-იაპონია | B | ლიონი | 03 |
| 08 სექ, შაბ | 20:00 | ინგლისი-აშშ | A | ლანსი | 04 |
| 09 სექ, კვი | 16:00 | უელსი-კანადა | B | ნანტი | 05 |
| 09 სექ, კვი | 18:00 | სამხ. აფრიკა-სამოა | A | პარიზი | 06 |
| 09 სექ, კვი | 20:00 | შოტლანდია-პორტუგალია | C | სენტ ეტიენი | 07 |
| 09 სექ, კვი | 22:00 | ირლანდია-ნამიბია | D | ბორდო | 08 |
| 11 სექ, სამ | 22:00 | არგენტინა-საქართველო | D | ლიონი | 09 |
| 12 სექ, ოთხ | 16:00 | აშშ-ტონგა | A | მონპელიე | 10 |
| 12 სექ, ოთხ | 20:00 | იაპონია-ფიჯი | B | ტულუზი | 11 |
| 12 სექ, ოთხ | 22:00 | იტალია-რუმინეთი | C | მარსელი | 12 |
| 14 სექ, პარ | 23:00 | ინგლისი-სამხ. აფრიკა | A | სენ დენი | 13 |
| 15 სექ, შაბ | 15:00 | ზელანდია-პორტუგალია | C | ლიონი | 14 |
| 15 სექ, შაბ | 17:00 | უელსი-ავსტრალია | B | კარდიფი | 15 |
| 15 სექ, შაბ | 23:00 | ირლანდია-საქართველო | D | ბორდო | 16 |
| 16 სექ, კვი | 16:00 | ფიჯი-კანადა | B | კარდიფი | 17 |
| 16 სექ, კვი | 18:00 | სამოა-ტონგა | A | მონპელიე | 18 |
| 16 სექ, კვი | 23:00 | საფრანგეთი-ნამიბია | D | ტულუზი | 19 |
| 18 სექ, სამ | 23:00 | შოტლანდია-რუმინეთი | C | ედინბურგი | 20 |
| 19 სექ, ოთხ | 22:00 | იტალია-პორტუგალია | C | პარიზი | 21 |
| 20 სექ, ხუთ | 23:00 | უელსი-იაპონია | B | კარდიფი | 22 |
| 21 სექ, პარ | 23:00 | საფრანგეთი-ირლანდია | D | სენ დენი | 23 |
| 22 სექ, შაბ | 16:00 | სამხ. აფრიკა-ტონგა | A | ლანსი | 24 |
| 22 სექ, შაბ | 18:00 | ინგლისი-სამოა | A | ნანტი | 25 |
| 22 სექ, შაბ | 23:00 | არგენტინა-ნამიბია | D | მარსელი | 26 |
| 23 სექ, კვი | 16:30 | ავსტრალია-ფიჯი | B | მონპელიე | 27 |
| 23 სექ, კვი | 19:00 | შოტლანდია-ზელანდია | C | ედინბურგი | 28 |
| 25 სექ, სამ | 20:00 | კანადა-იაპონია | B | ბორდო | 29 |
| 25 სექ, სამ | 22:00 | რუმინეთი-პორტუგალია | C | ტულუზი | 30 |
| 26 სექ, ოთხ | 20:00 | საქართველო-ნამიბია | D | ლანსი | 31 |
| 26 სექ, ოთხ | 22:00 | სამოა-აშშ | A | სენტ ეტიენი | 32 |
| 28 სექ, პარ | 23:00 | ინგლისი-ტონგა | A | პარიზი | 33 |
| 29 სექ, შაბ | 15:00 | ზელანდია-რუმინეთი | C | ტულუზი | 34 |
| 29 სექ, შაბ | 17:00 | ავსტრალია-კანადა | B | ბორდო | 35 |
| 29 სექ, შაბ | 19:00 | უელსი-ფიჯი | B | ნანტი | 36 |
| 29 სექ, შაბ | 23:00 | შოტლანდია-იტალია | C | სენტ ეტიენი | 37 |
| 30 სექ, კვი | 17:00 | საფრანგეთი-საქართველო | D | მარსელი | 38 |
| 30 სექ, კვი | 19:00 | ირლანდია-არგენტინა | D | პარიზი | 39 |
| 30 სექ, კვი | 22:00 | სამხ. აფრიკა-აშშ | A | მონპელიე | 40 |
| 06 ოქტ, შაბ | 17:00 | B1- A2 | 1/4 1 | მარსელი | 41 |
| 06 ოქტ, შაბ | 23:00 | C1- D2 | 1/4 2 | კარდიფი | 42 |
| 07 ოქტ, კვი | 17:00 | A1- B2 | 1/4 3 | მარსელი | 43 |
| 07 ოქტ, კვი | 23:00 | D1- C2 | 1/4 4 | სენ დენი | 44 |
| 13 ოქტ, შაბ | 23:00 | 1/4 1-1/4 2 | 1/2 | სენ დენი | 45 |
| 14 ოქტ, კვი | 23:00 | 1/4 3-1/4 4 | 1/2 | სენ დენი | 46 |
| 19 ოქტ, პარ | 23:00 | მესამე ადგილისთვის | | პარიზი | 47 |
| 20 ოქტ, შაბ | 23:00 | ფინალი | | სენ დენი | 48 |

*საქართველოს დროით. მუქად - ტელერეპორტაჟი საზოგადოებრივ მაუწყებელზე*

**ხელბურთი**

# სერგო დათუკიშვილი ბუნდესლიგის ბომბარდირია

ქართველ ხელბურთელთაგან ყველაზე ძლიერ ლიგაში 29 წლის **სერგო დათუკიშვილი** თამაშობს, მისი "ლიუბეკი" გერმანული ბუნდესლიგის წევრია. ჩემპიონატი აგვისტოს ბოლოს დაიწყო (წუხელ მესამე ტურის მატჩები გაიმართა), ქართველის გუნდი სტარტზე ორჯერვე დამარცხდა, თუმცა თავად დათუკიშვილს სეზონის შესანიშნავი დასაწყისი გამოუვიდა. პირველ ტურში "ლიუბეკმა" "ფლენსბურგს" უმასპინძლა და 22:34 წააგო. პირველი ტაიმი დაძაბული გამოდგა, სტუმრებმა ტაიმი მხოლოდ სამი ბურთის სხვაობით მოიგეს. მასპინძელთა რიგებში საუკეთესო მათი 17 ნომერი დათუკიშვილი იყო, რომელმაც მეტოქეს 6 გოლი გაუტანა. მეორე ტურში "ლიუბეკი" "ნორდჰორნს" ესტუმრა და 28:33 დამარცხდა. სერგო დათუკიშვილის ანგარიშზე 15 გოლია (!), აქედან მხოლოდ ერთი იყო შვიდმეტრიანი (ორიდან ერთი გამოიყენა). ორი ტურის შემდეგ დათუკიშვილს 21 გოლი აქვს გატანილი და ის ბუნდესლიგის ბომბარდირია. ქართველი 4 ბურთით უსწრებს "კილის" სლოვენიელ **ვიდ კავტჩნიკს.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



სერგო დათუკიშვილი

**კრივი** — კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატი

# თავაძემ მედალი გაინაღდა

ბაქოში ნელ-ნელა ფინიშისკენ მიდის კადეტ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატი.როგორც იცით, საქართველოს მოკრივეთა ცხრაკაციანი გუნდიდან, რვა საწყის ეტაპზევე გამოეთიშა შეჯიბრებას და მედლისთვის ბრძოლას მხოლოდ **რომან თავაძე** აგრძელებდა (70 კგ).

გუშინ, რომან თავაძე მეოთხედფინალში ხვდებოდა აზერბაიჯანელ **ფარიდ მოხსუმოვს**, რომელთან გამარჯვებაც სულ მცირე, ბრინჯაოს მედალს მოუტანდა. სიმართლე გითხრათ, თავაძის გამარჯვება ნაკლებად რეალური გვეჩვენებოდა, რადგან სამოყვარულო კრივში მსაჯების არაობიექტურობა ჩვეულებრივი მოვლენაა და თანაც, ჩვენებური მასპინძელთან არკვევდა ნახევარფინალში გამსვლელის ვინაობას.

საბედნიეროდ, თავაძემ პრობლემა დადებითად გადაჭრა და დაძაბულ ბრძოლაში მოუგო აზერბაიჯანელს - 12:9.

ამრიგად, ქართველი მოკრივე ნახევარფინალში გავიდა, რაც უარეს შემთხვევაში, ბრინჯაოს მედალს ნიშნავს. 7 სექტემბერს, იგი შეხვდება ყაზახ **იერლან სეიდალოვს**, რომელთან მოგებაც ფინალის საგზურსა და მინიმუმ, ვერცხლის მედალს მოუტანს.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### კარლო ანტონეტი:

# დიდი კალათბურთელი დავიმატეთ

### ნიკა ცქიტიშვილის წარდგენა ტერამოში



ნიკა ცქიტიშვილი

საქართველოდან უხალისოდ წასულ ნიკა ცქიტიშვილს იტალიაში ხასიათი ნამდვილად გამოუსწორდებოდა: ქალაქ ტერამოში, დე ალბენტისის ქუჩის ერთ-ერთ მთავარ რესტორანში მას ხმაურიანი შეხვედრა მოუწყვეს. პრეზენტაციას ესწრებოდნენ "სივილია ტერამოს" პრეზიდენტი კარლო ანტონეტი, მწვრთნელი მასიმო ბიანკი, ჟურნალისტები, კალათბურთელები და გულშემატკივრები. ნიკას საზოგადოებასთან შეხვედრას იტალიურ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სხვა სტატიების პარალელურად საყურადღებოა ორი პუბლიკაცია. პირველში ძირითადად სკიტას გამონათქვამებია მოყვანილი, მეორეში - ჟურნალისტის მოსაზრება ქართველი ფორვარდის შესახებ.

მოდით, ჯერ პირველ სტატიას გავეცნოთ:

**"კლუბის პრეზიდენტი კარლო ანტონეტი პრეზენტაციაზე მისულ ნიკოლოზ ცქიტიშვილს ღიმილითა და ხელის აწევით შეხვდა:**

- "ტერამოს" სკიტაც შეემატა და გუნდი საბოლოოდ დაკომპლექტდა. სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ კლუბს დიდი კალათბურთელი შეუერთდა. მას უთამაშია "დენვერში", "გოლდენ სტეიტში", "ფინიქსში", "მინესოტაში", ესპანურ "კახასა" და იტალიურ "ბენეტონში", ამიტომ თამამად უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, გამოცდილება საკმარისზე მეტი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ცქიტიშვილს მოწვევები არისტოკრატული კლუბებიდანაც ჰქონდა, მომავალი სეზონის "ტერამოში" გატარება გადაწყვიტა. იგი ჩვენთან 2 წელიწადი ითამაშებს, რის შემდეგაც ისევ NBA-ში დაბრუნებას აპირებს. გარდა სათამაშო კლასისა, სკიტას პლუსად მისი კარგი ხასიათი მიმაჩნია და მჯერა, რომ "ტერამოს" წლეულს ძალიან დაეხმარება, - განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა.

**ნიკოლოზ ცქიტიშვილის შესავალი სიტყვა ასე ჟღერდა:**

- ტერამოში ჩამოსვლით კმაყოფილი ვარ. როცა აგენტისგან "სივილია ტერამოს" ვარიანტის შესახებ მოვისმინე, გადაწყვეტილების მიღებაზე ბევრი არ მიფიქრია, თანხმობა მალევე განვუცხადე. აქამდე არაერთ ძლიერ კლუბში ვყოფილვარ და გუნდის შერჩევაც ხშირად მიხდებოდა. მთავარი კრიტერიუმი, რამაც "ტერამოში" გადმოსვლა გადამაწყვეტინა, ჩემდამი ნდობა და ჩემპიონატის დონე იყო. იტალიის პირველობა ხომ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. "სივილია" მინდა ტრამპლინად გამოვიყენო და როცა კონტრაქტის ვადა ამომეწურება, კარიერა ისევ ამერიკაში განვაგრძო. ამისთვის სწორედ აქ უნდა მოვემზადო.

სკიტამ ქალაქ ტერამოს მისამართითაც არ დაიშურა კომპლიმენტი - ლამაზი და გრაციოზულია. ტერამოს პეიზაჟი ჩემს მშობლიურ ქალაქს მაგონებსო...

**ქართველ ფორვარდს დაუსვეს კითხვა: როგორ ხედავს საკუთარ ფუნქციას მწვრთნელის სქემებში?**

- კარიერის განმავლობაში ყველა პოზიციაზე მითამაშია. პატარაობაში გამთამაშებელი ვიყავი, შემდეგ ფორვარდი. ბოლო დროს ცენტრობასაც გავუსინჯე გემო. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რასაც მწვრთნელი დამავალებს, იმას გავაკეთებ.

**ბევრს აკვირვებს, ცქიტიშვილმა NBA-ში ოთხწლიანი თამაშის შემდეგ, რატომ გადაწყვიტა ევროპაში დაბრუნება. ამის მიზეზს ქართველი ფორვარდი მოკლედ ხსნის:**

- NBA-ში ძალიან ახალგაზრდა მოვხვდი. თანაც, არ მქონდა საკმარისი გამოცდილება, რათა იქაურ ვარსკვლავებთან ტოლ-სწორად შევსპარეზა. სწორედ ამიტომ ვერ აეწყო ჩემი ამერიკული კარიერა და იმედი მაქვს, რომ ევროპაში საკმარისი გამოცდილების მიღების შემდეგ NBA-ს სხვა ცქიტიშვილად დავუბრუნდები.

შეხვედრის ბოლოს ნიკოლოზ ცქიტიშვილი საკუთარ გვარსაც შეეხო. იმდენად რთულად წარმოსათქმელი გვარი მაქვს, რომ ხშრად ანეკდოტურ სიტუაციაშიც აღმოვჩენილვარ, ამიტომ ყველას გირჩევთ, ცქიტიშვილი შეამოკლოთ და სკიტა დამიძახოთო.

**როგორც შესავალში გითხარით, მეორე პუბლიკაციაში ძირითადად ცქიტოს დახასიათებაა:**

"სკიტა ყოველთვის თავდახრილია. ეს მოწიწების გამომხატველი აქტი არ გახლავთ, უსაფრთხოებისთვის კეთდება: 212 სმ. სიმაღლისაა და კარში შესვლისას ყოველთვის ყურადღებით უნდა იყოს, რომ თავი არ დაიზიანოს. ვინც იგი დე ალბენტისის ვიწრო ქუჩაზე ნახა, იოლად მიხვდებოდა, რომ საქმე NBA-ს კალათბურთელთან ჰქონდა. ცქიტიშვილი სხვა ტერამოელებთან შედარებით დაგვიანებით ჩამოვიდა, რადგან ნაციონალურ გუნდთან იყო. იგი თავს უკვე გუნდის სრულყოფილ წევრად მიიჩნევს და მზადაა "სივილიას" თეთრ-წითელი მაისურის მოსარგებად.

"ბენეტონში" გატარებულ ერთ წელიწადში ქართველს იტალიური მეტ-ნაკლებად კარგად უსწავლია. უკეთესად ესმის, ვიდრე ლაპარაკობს. საინტერესოდ ჟღერდა სკიტას იტალიურ-ამერიკული ფრაზა: "აქ თბილი ოჯახი დამხვდა", თქვა იტალიურად და ამერიკულად განაგრძო: "I am very happy to be here (ძალიან ბედნიერი ვარ აქ ყოფნით)". ნიკამ მწვრთნელიც უცხოურად აალაპარაკა: როცა ჰკითხა, ვარჯიში რომელ საათზეაო, პასუხად მიიღო - 18 საათზე მობრძანდი, Please.

კითხვაზე: გამოცდილების თვალსაზრისით, 24 წელი ბევრია, თუ ცოტა? სკიტა პასუხობს: ცოტა. იგი წელიწადია ამერიკიდან ევროპაში გადმობარგდა. თუმცა, ესპანურ "კახა სან ფერნანდოში" თამაშმა ტკბილი ნაყოფი ვერ გამოიღო. ქართველი ფორვარდი გვპირდება, რომ "ტერამოში" გაცილებით მეტს გააკეთებს, რათა დაკარგული აინაზღაუროს.

**მწვრთნელი, ბიანკიც გვპირდება, რომ ცქიტიშვილს მაქსიმალურად გამოიყენებს:**

- როცა სკიტას გადმოყვანის ვარიანტი გამოჩნდა, ძალიან გამიხარდა და ამასთან, ვიგრძენი დიდი პასუხისმგებლობა. ვფიქრობ, ერთად ბევრის მიღწევა შეგვიძლია.

დადიოდა ხმები, რომ ნიკა ადრე კლასიკური ცეკვით იყო დაკავებული. მოთამაშე ამბობს, რომ ეს ნახევრად მართალია - იგი არა კლასიკურ, არამედ ტრადიციულ კავკასიურ ცეკვაზე დადიოდა და წარმატებებიც ჰქონდა. რატომ დაანება ცეკვას თავი, უკვე გასაგებია: პრეზიდენტისა და მწვრთნელის ფონზე იგი ნამდვილი გოლიათია. კავკასიური ცეკვისას კაცი სხვებს შორის ცეცხლივით უნდა ტრიალებდეს, 212 სმ. სიმაღლის ცქიტიშვილის ბზრიალი კი შეიძლება ზოგიერთისთვის საზიანო ყოფილიყო. კალათბურთში პირიქითაა - ფასი ისეთ მოთამაშეს აქვს, ვისი შეჩერება მეოქეებს დიდ თავსატეხს უჩენს.

მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

## სპორტული ტანვარჯიში



ილია გიორგაძე მეოთხე ოლიმპიადაზე იასპარეზებს

### მსოფლიო ჩემპიონატი

# ილია გიორგაძემ ოლიმპიადის ლიზენცია მოიპოვა

გერმანიის ქალაქ შტუტგარტში დასრულდა სპორტული სტილით ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ტანმოვარჯიძე **ილია გიორგაძეც** ასპარეზობდა. აღნიშნულ შეჯიბრებაში, თამაშდებოდა პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები. მართალია, გიორგაძე ფინალს მიღმა დარჩა, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, პეკინის საგზური მოიპოვა და მსროლელ **ნინო სალუქვაძისა** და მშვილდოსნების, **ხათუნა ნარიმანიძისა** და **ქრისტინე ესებუას** შემდეგ, პეკინის ოლიმპიადის მეოთხე ქართველი მონაწილე გახდა.

როგორც გუშინ საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა **რუსუდან სიხარულიძემ** გვაცნობა, გიორგაძემ მრავალჭიდის საკვალიფიკაციო ეტაპზე, 253 მონაწილეს შორის, 43-ე ადგილი დაიკავა. თუმცა, ეს შედეგი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად.

სპორტულ ტანვარჯიშში, ოლიმპიადის ლიცენზიების საგზური თამაშდება როგორც გუნდურად, ასევე ინდივიდუალურად. გუნდურ სახეობაში საგზურის მომპოვებლებს, ინდივიდუალურში ჩათვლა არ ეძლევათ და რაკილა საქართველო შტუტგარტში მხოლოდ ერთი სპორტსმენით წარდგა, ილია გიორგაძე ინდივიდუალურ ჩათვლაში მოხვდა ლიცენზიანტთა შორის. გიორგაძისთვის ეს მეოთხე ოლიმპიადა იქნება.

**კობა ხატისაშვილი**

## ჩოგბურთი

# ერთი ფინალისტი ნაღდად ქართველია

ბაქოს საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) მერვედფინალში მოთამაშე ექვსი ქართველიდან ხუთმა იმარჯვა და მეოთხედფინალში გავიდა, ის ერთი უიღბლოც თავისივე თანამემამულესთან დამარცხდა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მეხუთე ნომრად განთესილი **ეკა გორგოძისა** (774) და **თინათინ ყავლაშვილის** (1032) ორთაბრძოლა იყო. 15 წლის გორგოძე ევროპის პირველი ჩოგანია 16-წლამდელ ჩოგბურთელთა შორის, მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. 20 წლის ყავლაშვილი სამი წლის წინათ 570-ე ჩოგანი იყო. ქართველთა დაპირისპირება ბაქოში საინტერესო გამოდგა და უფრო გამოცდილი ყავლაშვილის გამარჯვებით დასრულდა - 7:6 (5), 7:5.

მეოთხედფინალში თინათინ ყავლაშვილს კვლავ თანამემამულესთან მოუწევს კორტზე ურთიერთობის გარკვევა. პირველ ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** (579) 6:1, 6:1 გაანადგურა ბელარუსი **ანა მალაჰოვიჩი**. კიდევ ერთი ქართული მეოთხედფინალი გველის - მეოთხე ნომრად განთესილი **მანანა შაფაქიძე** მე-7 ნომრად განთესილი **სოფიო ქვაცაბაიას** წინააღმდეგ. შაფაქიძემ მერვედფინალში რუსი **ანასტასია პუტილინა** დაამარცხა - 2:6, 6:1, 6:3. ქვაცაბაიას არ გასჭირვებია რუსი **ოლგა მახოვას** დამარცხება - 6:3, 6:1. ეს ოთხნი ბადის ერთ ნახევარში არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი ფინალისტი გარანტირებულად ქართველი იქნება.

ძირითადი ბადის მეორე ნახევარში ერთი ქართველია, **თათია მიქაძე**. მან მერვედფინალში მე-3 ნომრად განთესილი რუსი **ავგუსტა ციბიშევა** (670) დაამარცხა - 6:2, 6:2. მეოთხედფინალში თათია მიქაძე რუს **მარინა მელნიკოვას** შეხვდება. სამწუხაროა, მაგრამ წყვილთა თანრიგში ნახევარფინალამდე ვერც ერთი ქართველი გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა



ლუკა კურტანიძეს დაღესტანში ყველა იცნობს

# ლუკა და ლეკები

გუშინ, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართეს ხასავიურტიდან დაბრუნებულმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა. შეგახსენებთ, რომ იქ ჩვენებმა შამილ უმახანოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირში იჭიდავეს, სადაც თითო ოქრო-ვერცხლი და ორი ბრინჯაო მოიპოვეს, ამ წარმატებამ კი გუნდური მეორე ადგილი მოგვიტანა. ასეთ წარმომადგენლობით ტურნირში ჩემპიონი **ლუკა კურტანიძე** (96) გახდა, ვერცხლი **გიორგი ბალიაშვილმა** (60) მოიპოვა, **მალხაზ ზარქუა** (60) და **ლექსო მოდებაძე** (მძიმე) მესამეზე გავიდნენ.

მედალოსნებთან ერთად პრესკონფერენციას სახელოვანი ვეტერანი მოჭიდავე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **გურამ სალარაძე** და ასევე სახელოვანი მწვრთნელი **მარლენ ოსიყმაშვილიც** ესწრებოდნენ, რომლებიც გუნდს მწვრთნელებად ახლდნენ დაღესტანში.

ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო - მასში 20-მდე ნაკრები გამოდიოდა, რომელთაგანც უმეტესობა რუსეთის რეგიონებს წარმოადგენდა, თუმცა მსოფლიოს წამყვანი გუნდებიც იყვნენ - ბულგარეთი, თურქეთი, ბელარუსი, უკრაინა... ასეთ ძლიერ შეჯიბრებაში 4 მედლის მოპოვება ჩვენებმა წარმატებად შეაფასეს, თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ უკეთესის მიღწევაც რეალურად შეეძლოთ. გული განსაკუთრებით **ნიკოლოზ გაგნიძის** (84) უმედლოდ დარჩენაზე სწყდებათ, რომელმაც კარგად კი იჭიდავა, მაგრამ ერთ საბედისწერო შეხვედრაში მსაჯებმა ულვთოდ გაწირეს. ასევე გულდაწყვეტილნი იყვნენ მოდებაძის გამო, რომელმაც ფინალში გასვლის ჩინებული შანსი დაკარგა, თორემ გუნდს უკეთესი შედეგი ექნებოდა. მაგრამ ერთია მედლები და მეორე - ჭიდაობის ხარისხი. მწვრთნელები ამ მხრივაც კმაყოფილნი დაბრუნდნენ სამშობლოში და ძალიან აქეს ყველა მედალოსანი. თუმცა, როგორც გითხარით, არც სხვები გამორჩენიათ. მაგალითად, გაგნიძე. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ იქ წაყვანილი 12 სპორტსმენიდან უმეტესობა ნაკრების სარეზერვო წევრია ანუ ლიდერებს ღირსეული შემცვლელები ეზრდებათ.

გასაკვირი არაა, გამორჩეული ყურადღება ლუკა კურტანიძეს რომ დაუთმეს. ახლანდელმა გამოსვლამ მისი ახალგაზრდული წლები გამახსენაო, აღნიშნა ოსიყმაშვილმა. მან ერთი ქულაც კი არ დაუთმო მეტოქეებს, ისე მოიგო ტურნირი. თანაც, ხასავიურტში ავადმყოფმა იჭიდავა - იქ წასვლამდე გაცივდა, რისი კვალი ახლაც ცხადად ეტყობოდა. თუმცა კურტანიძე სხვა მხრივაც იქცა სალაპარაკო თემად - მწვრთნელებმა იმ უდიდეს პატივისცემაზეც ისაუბრეს, რაც ჩვენი სახელოვანი ფალავანისთვის ლეკებს მიუგიათ. ოსიყმაშვილი არც იმის თქმას მოერიდა, მას იქ უფრო აფასებენ, ვიდრე - საქართველოშიო. კურტანიძეს ქუჩაშიც კი ესალმებოდნენ, ხოლო დარბაზი მასპინძელთან შეხვედრაშიც კი ერთხმად ქომაგობდნენ.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ჩვენები მასპინძელთა კეთილგანწყობით და ტურნირის ორგანიზებითაც ფრიად კმაყოფილები დარჩნენ და აღნიშნეს, ჩვენს მეგობრობას პოლიტიკა ვერაფერს დააკლებსო. მასპინძლებს ოსიყმაშვილი, სალარაძე და კურტანიძე ოქროს ორდენებით საგანგებოდ დაუჯილდოებიათ.

თუმცა პოლიტიკამ ჩვენები მაინც დააზარალა - აზერბაიჯანიდან რუსეთში გადასასვლელად საზღვარზე 6 საათი აყურყუტეს! ამას გადასახადიც დაემატა, რომელსაც ბუფერულ ზონაში გავლისთვის ითხოვდნენ რუსი მესაზღვრეები. თან, როცა ჩვენებს თანხის გადახდის დასადასტურებლად ქვითარი მოუთხოვიათ, ყურიც არავის შეუბერტყავს.

საკუთარ გამოსვლაზე კურტანიძემაც ისაუბრა და აღნიშნა, ბოლო წელიწადნახევარში ეს პირველი ოქროა და ამდენად, მნიშვნელოვანიც, რადგან საკუთარ ძალთა რწმენა შემატა. მასპინძელთა გულთბილ დამოკიდებულებაზე მანაც ისაუბრა და იქაურებთან ერთად მადლობა სალარაძესაც გადაუხადა, რომელიც მისი პირადი მწვრთნელი გახდა მას შემდეგ, რაც კურტანიძემ სპორტიდან წასვლა გადაიფიქრა.

**დასასრულ**, ჩვენებს დაღესტანში მსოფლიო წასაყვანი რუსთა გუნდის მიახლოებითი შემადგენლობაც შეუტყვიათ: **მავლეტ ბატიროვი (60), ირბეკ ფარნიევი (66), მახაჩ მურთაზალიევი** (74), **ჰაჯიმურატ გაცალოვი** (96), **ბილიალ მახოვი** (მძიმე). ჩვენებმა დაზუსტებით ვერაფერი თქვეს 55 და 84 კილოგრამ წონით კატეგორიებზე. 55-ში რუსებს ფრიად გაურკვეველი ვითარება შეექმნათ - ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **ბესიკ კუდუხოვი** რუსეთის ჩემპიონატზე სამეულშიც ვერ მოხვდა, ქვეყნის პირველობა კი ვინმე **ოსიპ მიხაილოვმა** მოგო. მან ფინალში ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი **ჯამალ ოთარსულთანოვი** დაამარცხა. ოთარსულთანოვი ახლახანს ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მაგრამ საეჭვოა, დროის ასეთ მცირე მონაკვეთში იგი ეგზომ მაღალი რანგის მეორე ტურნირზეც წაიყვანონ. მით უფრო, ეს შეუდარებლად ძლიერი შეჯიბრებაა. რჩებიან ისევ კუდუხოვი და მიხაილოვი.

84-ში ორი კანდიდატია - საქართველოდან წასული **გიორგი კეტოევი** და **საჟიდ საჟიდოვი**. შეგახსენებთ, რომ რუსეთის ჩემპიონატზე ისინი ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და ორთაბრძოლა სკანდალით - დიდი ჩხუბით, მასობრივი არეულობითა და სპეცნაზის ჩარევით დასრულდა. იმ შეხვედრაში თავდაპირველად გამარჯვება კეტოევს მიანიჭეს, თუმცა შემდეგ რუსეთის ჭიდაობის ფედერაციამ ჩემპიონად ორივე გამოაცხადა. მოგვიანებით იქაური ნაკრების თავკაცმა **ჯამბულათ თედეევმა** აღიარა, რომ ეს ლეკთა დასაშოშმინებლად გაკეთებული დიპლომატიური სვლა იყო, თუმცა არჩევანი უნდა გააკეთოს. ჩვენებურთა ინფორმაციით, იგი მსოფლიოზე კეტოევის დაყენებას აპირებს, თუმცა ვიმეორებ - ეს დაუზუსტებელი ინფორმაციაა.

სხვათა შორის, რუსებმა იმ ჩემპიონატზე ოქროს ორი მედალი 60-შიც გასცეს, სადაც ფინალში ძმები - ოლიმპიური ჩემპიონი მავლეტ და ადამ ბატიროვები იბრძოდნენ. მსოფლიოსთვის აქ გასარკვევიც არაფერი იყო, რადგან მევლატი ბევრად აღემატება უმცროს ძმას, სხვა წონებში კი თედეევი რუსეთის ჩემპიონებს დაეყრდნო.

დაბოლოს, თვალშისაცემია უტიტულოვანესი ჩეჩენი ძმების - **ბუვაისა და ადამ საიტიევების** არყოფნა. საქმე ისაა, რომ მათ სეზონი ტრავმების გამო ჩაუვარდათ. რუსეთის ჩემპიონატში კი გამოვიდნენ, მაგრამ მხოლოდ ორი თვის მომზადებით, (თან, ადამი იქაც დაიმტვრა) და ოქროს ვერ შეწვდნენ. კრასნოიარსკში მცხოვრები ჩეჩენი ძმები და მათი ქართველი მწვრთნელი **დიმიტრი მინდიაშვილი** აცხადებენ, რომ ოლიმპიადაზე მოსახვედრად გაისად იბრძოლებენ. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ საგზურების უმეტესობა წლეულს კი განაწილდება მსოფლიო პირველობაზე, მაგრამ ლიცენზიას იღებს ფედერაცია და არა სპორტსმენი. ამდენად, საიტიევები გაისად კონკურენტებს თუ აჯობებენ, პეკინში მართლაც იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი

# პრეზიდენტს 151 დელეგატი აირჩევს

საქართველოს ხელბურთის ასოციაციის პრეზიდიუმმა, გუშინ, დაამტკიცა იმ დელეგატების სია, რომლებიც 12 სექტემბერს, რიგგარეშე ყრილობაზე ასოციაციის ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. როგორც ხელბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კაკაბაძემ** გვითხრა, არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

- საერთო ჯამში, მივიღეთ დელეგატობის მსურველთა 221 განაცხადი. დღეს, ხელბურთის ასოციაციის ხელმძღვანელებმა საკმაოდ დიდი ხანი ვიმსჯელეთ, დეტალურად განვიხილეთ ყველა განცხადება და საბოლოოდ, დავაკმაყოფილეთ 151. მოკლედ, 12 სექტემბერს, ხელბურთის ასოციაციის ახალ პრეზიდენტს, აირჩევს 151 დელეგატი.

სასიამოვნოა, რომ არჩევნებისადმი ამხელა ინტერესს იჩენს ხელბურთის სამყარო. ისეთი ადამიანების განაცხადებიც კი მივიღეთ, ხელბურთისთვის საერთოდ დაკარგულები რომ გვეგონა.

სიმართლე გითხრათ, საკმაოდ გაგვიჭირდა ამორჩევა. ძირითადად, პრიორიტეტი მივანიჭეთ ხელბურთში ყველაზე უფრო აქტიურად მოღვაწეეებს და იმასაც შევეცადეთ, რომ რეგიონებს შორის ბალანსი დაგვეცვა. მართალია, უმეტესობა დედაქალაქიდანაა, მაგრამ არც რეგიონები დაგვიჩაგრია.

თუკი ვინმე 151 კაცს მიღმა დარჩა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათზე განაწყენებულები ვართ და ისინი ქართულ ხელბურთს არ სჭირდებიან. ჩვენ ვაპირებთ, 12 სექტემბერსვე დავაყენოთ საკითხი წესდებაში ცვლილებების შესახებ, რომელიც მომავალში სწორედ ხმის მიცემის პროცედურის საკითხს დაარეგულირებს. სავარაუდოდ, გადავალთ ფეხბურთის მოდელზე, ანუ ხმის მიცემა შეეძლებათ მხოლოდ ხელბურთის ასოციაციაში გაერთიანებულ იურიდიულ პირებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ წინა საპრეზიდენტო არჩევნებში, დელეგატთა უმეტესობას წარმოადგენდა 1960-70-იანი წლების თაობა. ამჯერად, შემადგენლობა საგრძნობლად გაახალგაზრდავდა. საკმაოდ ბევრი დელეგატია, რომლებიც 80-90-იან წლებში თამაშობდნენ. ის კი არა, ისეთი დელეგატებიც გვყავს, ბოლო წლებშიც რომ თამაშობდნენ ხელბურთს.

**კობა ხატისაშვილი**

## დელეგატთა სია

| | | |
|---|---|---|
| 1 | ცხაკაია ნიკა | თბილისი |
| 2 | გაზდელიანი თენგიზ | თბილისი |
| 3 | ბაგრატიონი ჯანო | თბილისი |
| 4 | მეძმარიაშვილი ირაკლი | თბილისი |
| 5 | ანპილოგოვი ალექსანდრე | თბილისი |
| 6 | სხიერელი მამუკა | თბილისი |
| 7 | ცერცვაძე ჯემალ | თბილისი |
| 8 | თევზაძე თამაზ | თბილისი |
| 9 | მეტრეველი მერაბ | თბილისი |
| 10 | კაკაბაძე ზურაბ | თბილისი |
| 11 | ფხაკაძე იმედო | თბილისი |
| 12 | ძაგანია ჯემალ | თბილისი |
| 13 | ბარამიძე ჯემალ | თბილისი |
| 14 | როგავა მერაბ | თბილისი |
| 15 | არსენაშვილი ელიზბარ | თბილისი |
| 16 | აბესაძე ლევან | თბილისი |
| 17 | ბერიაშვილი ვახტანგ | თბილისი |
| 18 | კარტოზია გიორგი | თბილისი |
| 19 | ფხალაძე ზაურ | თბილისი |
| 20 | სალუქვაძე ლევან | თბილისი |
| 21 | მაჭავარიანი გარი | თბილისი |
| 22 | კოვალეიშვილი ბორის | თბილისი |
| 23 | ჩხარტიშვილი ჯუმბერ | თბილისი |
| 24 | ბერიაშვილი გიორგი | თბილისი |
| 25 | ახვლედიანი გიორგი | თბილისი |
| 26 | ლაზარიდისი ახილეს | თბილისი |
| 27 | სხირტლაძე ვაჟა | თბილისი |
| 28 | აბესაძე გიორგი | თბილისი |
| 29 | ლეჟავა ჟოზი | თბილისი |
| 30 | ელგუჯაური ვაჟა | თბილისი |
| 31 | დვალიშვილი ჯიმშერ | თბილისი |
| 32 | დოლიძე ზაზა | თბილისი |
| 33 | ჭყონია ვოვა | თბილისი |
| 34 | კეკელიძე ზურაბ | თბილისი |
| 35 | კომახიძე ამირან | თბილისი |
| 36 | ტაბიძე ამბერკი | თბილისი |
| 37 | ჭაფოძე დემურ | თბილისი |
| 38 | ტაბატაძე ბადრი | თბილისი |
| 39 | სავჯაია თამაზ | თბილისი |
| 40 | მაჭარაძე ნოდარ | თბილისი |
| 41 | აბესაძე დიმიტრი | თბილისი |
| 42 | ბროლაძე გიორგი | თბილისი |
| 43 | ქოქოსაძე ზურაბ | თბილისი |
| 44 | თორდია კობა | თბილისი |
| 45 | კენჭაძე ირაკლი | თბილისი |
| 46 | მინდელი ბიძინა | თბილისი |
| 47 | კვირკველია კახა | თბილისი |
| 48 | კინწურაშვილი თემურ | თბილისი |
| 49 | ხურციძე ირაკლი | თბილისი |
| 50 | სიორიძე ლევან | თბილისი |
| 51 | ჯაფარიძე დაჩი | თბილისი |
| 52 | ბარათაშვილი გიორგი | თბილისი |
| 53 | კალანდაძე ზაზა | თბილისი |
| 54 | ჯიაძე ზაზა | თბილისი |
| 55 | შათირიშვილი ზვიად | თბილისი |
| 56 | თხილავა გია | თბილისი |
| 57 | ოსკოველი ბესარიონ | თბილისი |
| 58 | მეიფარიანი ვახტანგ | თბილისი |
| 59 | პაპიაშვილი გიორგი | თბილისი |
| 60 | ჩხაიძე იაგო | თბილისი |
| 61 | გულბიანი ტრისტან | თბილისი |
| 62 | არაბული ელენე | თბილისი |
| 63 | ჭკუასელი ინა | თბილისი |
| 64 | ელოშვილი ნინო | თბილისი |
| 65 | ჭანტურია რევაზ | თბილისი |
| 66 | კეკელიძე ირაკლი | თბილისი |
| 67 | ორჯონიკიძე ბექა | თბილისი |
| 68 | მჟავანაძე მამუკა | თბილისი |
| 69 | გოცირიძე გოგა | თბილისი |
| 70 | კასიანი ჯულიეტა | თბილისი |
| 71 | მერაბიშვილი ელზარ | თბილისი |
| 72 | ჟურულიშვილი ელისო | თბილისი |
| 73 | ორმოცაძე მადონა | თბილისი |
| 74 | ჟიჟიაშვილი ეკა | თბილისი |
| 75 | ბადაგაძე ირინა | თბილისი |
| 76 | გოგიაშვილი იური | თბილისი |
| 77 | ქეშიკაშვილი დავით | თელავი |
| 78 | სვიმონიშვილი გიორგი | თელავი |
| 79 | მამალაშვილი შალვა | თელავი |
| 80 | ცინცაძე ბესო | ყვარელი |
| 81 | ხარებაშვილი ზურაბ | ყვარელი |
| 82 | ზაალიშვილი ვალიკო | ყვარელი |
| 83 | მამაცაშვილი გია | გორი |
| 84 | იაშვილი ლევან | გორი |
| 85 | მოციქულაშვილი ლაშა | გორი |
| 86 | ხარაიძე თამაზ | რუსთავი |
| 87 | დვალიძე ომარ | რუსთავი |
| 88 | მძელური ვასილ | რუსთავი |
| 89 | ჩუთლაშვილი ზურაბ | რუსთავი |
| 90 | მძელური მარინა | რუსთავი |
| 91 | ხარაიძე ჯუდა | ქუთაისი |
| 92 | თავხელიძე გიორგი | ქუთაისი |
| 93 | ყაველაშვილი ზურაბ | ქუთაისი |
| 94 | ბოჭორიშვილი მადონა | ქუთაისი |
| 95 | ლომთაძე შორენა | ქუთაისი |
| 96 | ხელისუფალი გოგი | სამტრედია |
| 97 | დუნდუა დავით | სამტრედია |
| 98 | ხვიჩია ბადრი | სამტრედია |
| 99 | მეტრეველი როინ | წყალტუბო |
| 100 | გეფერიძე დარეჯან | ფოთი |
| 101 | ჭანტურია თემურ | ფოთი |
| 102 | რუხაძე დარეჯან | ფოთი |
| 103 | გუჯაბიძე ქრისტინე | ფოთი |
| 104 | ადამია ნანა | ფოთი |
| 105 | კუცია რევაზი | ფოთი |
| 106 | კირთაძე გიორგი | ბათუმი |
| 107 | ჭანტურია მერაბ | ბათუმი |
| 108 | დეკანაძე გელა | ბათუმი |
| 109 | დანელია დავით | თბილისი |
| 110 | ბესალაშვილი ბესო | თბილისი |
| 111 | ჯღარკავა ბიძინა | თბილისი |
| 112 | ცაგურია ლევან | ფოთი |
| 113 | წვერიკმაზაშვილი ზურაბ | თელავი |
| 114 | იმნაიშვილი ზურაბ | თბილისი |
| 115 | გიორგაძე დავით | თბილისი |
| 116 | სარალიძე გურამ | თბილისი |
| 117 | სარიშვილი დავით | თბილისი |
| 118 | ბუცურეიშვილი მამუკა | თბილისი |
| 119 | კობერიძე ბადრი | თბილისი |
| 120 | მათიაშვილი დავით | თბილისი |
| 121 | პაპასკირი ვეფხია | თბილისი |
| 122 | მახარაძე ალა | თბილისი |
| 123 | ხაზარაძე მამუკა | თბილისი |
| 124 | გერგიშვილი ნიკოლოზ | თელავი |
| 125 | მნითური მაია | თელავი |
| 126 | ამბარდანაშვილი გიორგი | თელავი |
| 127 | გიორგელაშვილი ალექსი | თელავი |
| 128 | ჩხაიძე თამაზ | თბილისი |
| 129 | ეფრემიძე ჯონი | თბილისი |
| 130 | წივწივაძე ნინო | თბილისი |
| 131 | ზაქარიაშვილი გიორგი | თბილისი |
| 132 | ჩაჩანიძე კახა | თბილისი |
| 133 | ბოყოჩაძე ალექსანდრე | ქუთაისი |
| 134 | მაისურაძე ლიანა | თბილისი |
| 135 | სანიკიძე ამირან | თბილისი |
| 136 | ჯიშკარიანი ვახტანგ | თბილისი |
| 137 | ყიფიანი ომარ | თბილისი |
| 138 | ბარბაქაძე ნანა | თბილისი |
| 139 | ჭირაქაძე გიორგი | თბილისი |
| 140 | კორძახია თეიმურაზ | თბილისი |
| 141 | ღვალაძე ზაზა | თბილისი |
| 142 | სიამაშვილი ნიკოლოზ | თბილისი |
| 143 | მჟავია დავით | თბილისი |
| 144 | გოგეჯიშვილი დავით | ქუთაისი |
| 145 | ცერცვაძე დავით | ქუთაისი |
| 146 | გაბუნია ენუქი | ქუთაისი |
| 147 | ფიფია მედეა | ფოთი |
| 148 | იაკობიძე დავით | ფოთი |
| 149 | მაისურაძე გოჩა | თბილისი |
| 150 | ჭანტურია ზურა | რუსთავი |
| 151 | ცხადაძე ზაურ | თბილისი |

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალოსნობა

### მსოფლიო ჩემპიონატის წინ. ინტერვიუ ვანო გრიქუროვთან

# ექვსნი ოთხი ლიცენზიისთვის



ვანო გრიქუროვი

15-18 აგვისტოს საჩხერის კულტურის სახლის სცენაზე ძალოსნური ფიცარნაგი მოეწყო და საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. საჩხერეში ლამის ყველა ლიდერმა მოიყარა თავი, თვით ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძეც კი დაუბრუნდა ფიცარნაგს. ამ შეჯიბრების სპორტული მნიშვნელობა გასაგებია - ქვეყნის წლის უმთავრესი ღონისძიებაა, მაგრამ დამატებითი ინტერესიც ახლდა - ერთ თვეში მსოფლიო ჩემპიონატი უნდა დაწყებულიყო და ამ ტურნირისთვის ნაკრების წევრთა მზადყოფნის შემოწმება გახლდათ შესაძლებელი.

გუშინ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ვანო გრიქუროვს ვესაუბრეთ. შეხვედრა გლდანის ოლიმპიური რეზერვის ძალოსნობის კომპლექსში შედგა, სადაც ნაკრები შეკრებას გადის. საუბარი საქართველოს განვლილ ჩემპიონატებსაც შეეხო და მსოფლიო ჩემპიონატსაც, - ამ ორი ტურნირის დაცილება არაფრით ეგებოდა, მით უფრო ტაილანდში გამგზავრების დრო მოახლოვდა - ქართული დელეგაცია 14 სექტემბერს, გამთენიისას დატოვებს საქართველოს...

**- ბატონო ვანო, ჩვენი ინტერესი მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატია, სადაც ოლიმპიური ლიცენზიების ბედი წყდება, მაგრამ იქამდე საქართველოს ჩემპიონატზე ვისაუბროთ. როგორი შთაბეჭდილება დატოვა ტურნირმა თქვენზე და დარჩით თუ არა კმაყოფილი ნაკრების წევრთა შედეგებით?**

- საერთო შთაბეჭდილება ნამდვილად დადებითი იყო. ამ ტურნირზე ორ ძირითად ასპექტს ვაქცევდი ყურადღებას - მზად იყვნენ თუ არა ნაკრების წევრები და გამოჩნდებოდნენ თუ არა ახალი სახეები. ქართველ ძალოსანთა ძირითად ნაწილს, რა თქმა უნდა, ვიცნობთ, მაგრამ ახალგაზრდები სწრაფად იზრდებიან და შედეგიც შეეძლოთ გაეუმჯობესებინათ. მომავალ თაობას განსაკუთრებით ვაქცევ ყურადღებას, რადგანაც 2010 წლისთვის პირველად უნდა გაიმართოს 18-წლამდელთა ოლიმპიური თამაშები. ეს თამაშები დიდი ოლიმპიადის ანალოგი იქნება და უძლიერესი სპორტსმენები მიიღებენ მონაწილეობას. ცხადია, ჩვენი სურვილია, კონკურენტუნარიანი გუნდი შევქმნათ.

ნაკრების წევრთა გამოსვლით კმაყოფილი ვარ; თითქმის ყველამ შეასრულა დასახული ამოცანა. მხოლოდ გია მაჭავარიანმა აჩვენა სუსტი შედეგი. ეს ბიჭი ინდივიდუალური გეგმით ემზადებოდა პირად მწვრთნელთან ერთად და როგორც გამოჩნდა, ამან არ გაამართლა. ჩემი აზრით, საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელობამ შეცდომა დაუშვა, როცა დათანხმდა მაჭავარიანის ინდივიდუალური მზადების გეგმას. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ გიორგიმ საჩხერეში ბოლო ცდაზე იმხელა წონა შეუკვეთა, რომლისთვისაც არ იყო მზად, მაჯა იტკინა და ახლა სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს. ეს ყველაფერი ეჭვქვეშ აყენებს მის მზადყოფნას მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

**- გამგზავრებამდე ერთი კვირაა დარჩენილი და რახან მაჭავარიანის მზადყოფნა არ გაკმაყოფილებთ, ხომ არაა მოსალოდნელი, გია საქართველოში დარჩეს?**

- საქართველოს ნაკრებს ძალიან უჭირს, - მთავარია გუნდმა დააგროვოს ქულათა საჭირო რაოდენობა და შევინარჩუნოთ ის პოზიცია, რომელიც შარშანდელი მსოფილო ჩემპიონატის შემდეგ დავიკავეთ - მეთვრამეტე ადგილი. ამისთვის კი ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ. იმედი მაქვს, რომ მაჭავარიანი შეძლებს ძალების მოკრებას და რამდენიმე ქულას მაინც შემატებს ქართულ ყულაბას.

**- ასანიძის გამოსვლა, ალბათ, ყველაზე დამაინტრიგებელი იყო...**

- ცხადია, გიორგის დაბრუნება უმნიშვნელოვანესი ფაქტია. მისი ამჟამინდელი ფორმა სასურველისგან შორს არის, მაგრამ გიორგი ძალიან მონდომებულია და მჯერა, რომ გუნდს სარგებლობას მოუტანს. ჩვენ ადრეც ვამბობდით, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე გიორგი მედლებისთვის ვერ იბრძოლებდა, მაგრამ გვაინტერესებდა, როგორ აიტანდა დატვირთვებს და გამოუჩნდებოდა თუ არა მას პერსპექტივა, მაღალ დონეზე დასაბრუნებლად. ამ კითხვაზე პასუხი ჯერ არ გვაქვს, - ამაზე მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ვისაუბრებ, მაგრამ რწმენა კი დიდი მაქვს. თუმცა, თუკი გიორგის ოლიმპიადაზე წარმატება სურს, მრავალი ფაქტორი იქნება გასათვალისწინებელი. პირველ რიგში, ის, რომ აუცილებელია ხანგრძლივი, უწყვეტი და სპეციალური პროგრამით მზადება, რომელიც უმკაცრეს რეჟიმს მოითხოვს. გიორგის კი, როგორც იცით, პოლიტიკურმა ცხოვრებამ დროც წაართვა და რეჟიმიც დაურღვია. ეს საკითხის ურთულესი მხარეა და დიდ ფიქრს მოითხოვს. მე რომ მქონდეს გარანტია იმისა, რომ ასანიძე აუცილებლად შედგებოდა პეკინის კვარცხლბეკზე, რადიკალური გადაწყვეტილების მიღებას მოვთხოვდი, მაგრამ ასეთი გარანტია არ არსებობს, ამიტომ ამ პასუხისმგებლობას ვერაფრით ავიღებ. ცხადია, შეუძლია გიამ გადადგას მკვეთრი ნაბიჯი, მაგრამ ისიც ხომ ჩემებრ ფიქრობს, ანუ მასაც მშვენივრად მოეხსენება ის, რაც მე გითხარით. გიამ რომც ვერ მოახერხოს ძველ სიმაღლეებზე დაბრუნება, მას უკვე ეკუთვნის დიდი მადლობა - ამ ასაკში და ამდენი წლის უქმობის შემდეგ დაბრუნება, უკვე გმირობაა! ქედი უნდა მოვიხაროთ მის წინაშე და ისე გავაცილოთ სპორტიდან.

**- გასაგებია, რომ გიორგის მიერ პოლიტიკური ცხოვრების დათმობაზე საუბრობთ და გეთანხმებით, ეს მხოლოდ მისი გადასაწყვეტია. საფიქრალია, რომ საქართველოს ჩემპიონატზე მისმა შედეგმა ვერ მოგხიბლათ, მაგრამ ეგებ მსოფლიოსთვის ბევრად მოუმატოს? შესაძლებელია თუ არა ასეთი რამ?**

- გითხარით, რომ ასანიძე სასურველი ფორმისგან შორს არის, თუმცა ჩვენ ისეთი გეგმით ვვარჯიშობდით, პიკი მსოფლიო ჩემპიონატისთვის რომ გვქონოდა. ამ გეგმაში საქართველოს ჩემპიონატიც იჯდა და თუ ამ კუთხით შევხედავთ, ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, საუბრის დასაწყისში არ გეტყოდით, კმაყოფილი ვარ-მეთქი. მაგრამ არსებობს ერთი მთავარი ნიუანსი: ძალოსნობაში, დიდი ტურნირისთვის მზადებისას, ბოლო 2-3 თვეს, ეგრეთ წოდებული კოსმეტიკური დანიშნულება აქვს, ანუ ძირითადი სამუშაო იქამდე უნდა ჩატარდეს.



არსენ კასაბიევი



გიორგი ასანიძე

ჩვენ კი ძირითადი მზადება მხოლოდ ორი თვის წინათ დავიწყეთ. ამის მიუხედავად, შედეგების გაუმჯობესებას ველით, თუმცა არა - რადიკალურად...

**- გუნდის ლიდერად არსენ კასაბიევი ითვლება, თუმცა პრობლემები მასაც აქვს - ჯანმრთელობა ღალატობს... მისი მდგომარეობა როგორია?**

- არსენი ტრავმებმა მართლაც გატანჯეს, - ჩვენ ვფიქრობდით ხერხემალზე ურთულესი ოპერაციის ჩატარებას, მაგრამ ამ შემთხვევაში არსენს წელიწადი გაუცდებოდა და ოლიმპიადისთვის ველარ მოემზადებოდა. ჩვენთვის მთავარი მიზანი კი ოლიმპიადაა. იმედი გვაქვს, რომ ხერხემალი დატვირთვებს გაუძლებს და ოლიმპიური ციკლის დასრულებას აულის. არსენს მედალსაც ვუგეგმავდი მსოფლიოს ჩემპიონატზე, მაგრამ ახლა კარგი იქნება, ხუთეულში თუ არა, შვიდეულში მაინც მოხვდეს. საერთოდაც, თუკი ჩვენებურებიდან სამი ათეულში მოხვდება და სამიც ოცეულში, მეთვრამეტე ადგილს შევინარჩუნებთ და ამით ოთხ ლიცენზიას მოვიპოვებთ.

**- არ გვითქვამს გუნდის სრული შემადგენლობა.**

- 56 კილოგრამში ზვიად სამუკაშვილი გამოვა. სხვათა შორის, ზვიადმაც დიდი ტრავმიანობა გადაიტანა - ურთულესი ოპერაცია ჩაიტარა მხარზე. ექვსი თვე რეაბილიტაციას გადიოდა და მხოლოდ ორი თვის წინათ განაახლა ვარჯიში. ჩემდა გასაკვირად, მან სწრაფად აღიდგინა კონდიციები და ოპტიმალურ ფორმასთან ახლოსაა. 85 კგ-ში გიორგი ასანიძე და რაულ ცირეკიძე გამოვლენ; 94-ში - არსენ კასაბიევი, 105-ში - ალბერტ კუზილოვი და გია მაჭავარიანი.

**- შესაძლებელია თუ არა ოთხზე მეტი ლიცენზიის ალება?**

- თეორიულად კი, მაგრამ პრაქტიკულად - არა! ჩვენზე წინ მყოფ ქვეყნებს რომ ვაჯობოთ, ექვსივემ ადგილები უნდა დაიკავოს, რაც ამ ეტაპზე გამორიცხულია. ჩვენს ქვემოთ კი 12 ქვეყანაა, რომელსაც 3-4 ქულით ვუსწრებთ. ტაილანდში დიდი სიფრთხილე გვმართებს საწყისი წონების შერჩევისას - ნული ქულა არაფრის დიდებით არ უნდა მივიღოთ, თორემ ყველაფერს თუ არა, ძალიან ბევრს დავკარგავთ. გუნდის წევრებს ვთხოვე, რომ მაქსიმუმი გაიღონ და მინიმალური შედეგი შევასრულოთ. ამისთვის სხვა სტრატეგიულ-ტაქტიკური ზომების მიღებაც იქნება საჭირო, რომელსაც ჩვენ მწვრთნელები ვადგენთ, - შეჯიბრების დროს არის მომენტები, როცა სწორი გადაწყვეტილება რამდენიმე წამში უნდა მიიღო... იმედი მაქვს, რომ გუნდურად გამართულად, შეხმატკბილებულად ვიბრძოლებთ და დასახულ ამოცანას შევასრულებთ.

**- დაბოლოს, ტაილანდამდე გზა დიდია. ჰავაც განსხვავებული და აკლიმატიზაციის პრობლემა ხომ არ გექნებათ?**

- იმდენად ხანგრძლივი მგზავრობა გველის, რომ შესაძლოა, გუნდის სასტარტო საგანაცხადო სიის მიტანა დაგვიგვიანდეს. ამის გამო, ტაილანდში ბილეთის გადაცვლას ვგეგმავ, რომ გუნდზე ადრე ჩავიდე ადგილზე. მჯერა, რომ ამ პრობლემასაც მოევლება, ისევე, როგორც მოევლო სხვა დანარჩენს: არ შემძილია მადლიერების გრძნობა არ გამოვხატო საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის დავით ბეჟუაშვილის მიმართ, რომელმაც საკუთარი ინიციატივით ნაკრების ყველა წევრს იაპონური ფირმის "მიზუნოს" სპორტული ფორმა შეუძინა. ფორმა ძალიან მაღალი ხარისხისაა. ასევე მადლობა მსურს გადავუხადო საქართველოს ოლიმპიურ ფონდს, რომელმაც სრულად გაიღო ჩვენი ორთვიანი შეკრებისა და მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრება-ცხოვრების ხარჯები...

**ზვიად შათირიშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპასკეტი 2007

# ელადა ათრიეს და გაათრიეს

პირველ სათამაშო დღეს რუსეთთან წაგების მერე, ევროფორუმზე გადახალისებული შემადგენლობით ჩასულ სერბეთს მოქმედ ჩემპიონ საბერძნეთთან სრული თუ არა, ნაწილობრივი რეაბილიტაციის მოხდენა მაინც სურდა. ბერძნებმა ორი წლის წინათ ჩემპიონობა სწორედ სერბეთში მოიპოვეს, თუმცა მაშინდელი შემადგენლობიდან **პანაიოტის იანაკისის** გუნდს ორი საკვანძო ფიგურა, ფორვარდი **ანტონის ფოცისი** და სათადარიგო ცენტრი **სოფოკლის შორცანიდისი** არ ჰყავს.

ეს იყო მიმდინარე ტურნირის ჯერჯერობით, საუკეთესო შეხვედრა, რომელიც თავიდან ბოლომდე ქულა-ქულაში მიდიოდა.

ბერძნები დაცვაში ჩვეული აგრესიულობით კი თამაშობდნენ, მაგრამ მათ ვარსკვლავებს სროლა არ წაუვიდათ და მებრძოლმა სერბეთმაც ფავორიტს დიდად დაწინაურების შანსი არ მისცა. ბერძნები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ, თუმცა ბოლო წუთებზე **დარკო მილიჩიჩმა** და **მილან გუროვიჩმა** ზუსტი სროლებით, თავიანთი გუნდი დროებით წინ გაიყვანეს.

ძირითადის დასრულებამდე 9 წამით ადრე, **მარკო იარიჩმა** ორი საჯარიმოთი ჩამორჩენა მინიმუმამდე (53:54) შეამცირა, რასაც **დემოს დიკუდისის** ჩატენვა მოჰყვა. არადა, მას თავისუფლად შეეძლო დროის გაყვანა და ბერძნები თამაშს ძირითად დროშივე მოიგებდნენ.

დარჩენილი 5 წამი სრულიად საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ გუროვიჩს (რომელიც 5 ფოლით დამატებითი დროის დასრულებამდე 2 წუთით ადრე გავარდა) მოედნის ერთი ნახევარი გადაესერა და თითქმის ცენტრიდან ზუსტი სროლით მატჩი დამატებით დროში გადაეყვანა.

იქაც მაგრად დადგა სერბეთი, მაგრამ ბერძნები ამჯერადაც დიკუდისმა იხსნა, რომელმაც ერთქულიან უპირატესობაზე შორეული სამიანი ჩააჭედა მეტოქის კალათში, ხოლო სერბების ბოლო შეტევისას კი **ლაზაროს პაპადოპულოსმა** იარიჩს ცენტრში დააფარა და შეხვედრაც იანაკისის გუნდმა მოიგო.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ბერძნებს თამაში დიკუდისმა მოაგებინა. იყო კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი, რამაც სერბებს პატარა სასწაული არ მოახდენინა. მსაჯებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ბერძნებს მატჩი გამარჯვებამდე მიეყვანათ. ჯერ კიდევ ძირითად დროში, ბოლო წუთზე რეფერიმ **ზორან ერჩეგს** შეტევაში იმდენად არარსებული ფოლი მისცა, რომ იანაკისსაც გაელიმა. არადა, ფოლი პირიქით, **თეო პაპალუკასზე** იყო და ერჩეგი საჯარიმოების სასროლად უნდა მომზადებულიყო. ასევე, სულ ტყუილად დაუფიქსირეს 2 ფოლი მილიჩიჩსაც, რომელმაც რუსეთთან კოშმარული შეხვედრის (13-ში მარტო 2 სროლა გამოიყენა) მერე, არაჩვეულებრივად ითამაშა და პირწმინდად მოუგო პრინციპული დაპირისპირება პაპადოპულოსს.

*"ერთადერთი მატჩი დაგვრჩა ისრაელთან. იმედი მაქვს, რომ ბიჭები დღეს ნაჩვენებ ხალისსა და მონდომებას შემოინახავენ და სერბეთი თავის საუკეთესო კალათბურთს აჩვენებს"*, - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე მილიჩიჩი. ვნახოთ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ისრაელი პორტუგალიასთან ერთად, ჯერჯერობით, ტურნირის უსუსტესი გუნდია და სერბეთი ფავორიტად მოჩანს.

■ ■ ■

ფენომენალური შეხვედრა ჩაატარა საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავმა **ტონი პარკერმა**, რომელმაც იტალიასთან თავისი გუნდის სრული მონაგრის ნახევარზე მეტი მიითვალა.

იტალიას სლოვენიასთან გამარჯვება ბოლო წამზე ზუსტი სამიანით **იაკა ლაკოვიჩმა** დააკარგვინა, ამჯერად კი **კარლო რეკალკატის** გუნდმა ბრწყინვალე სტარტი აილო და მთელი პირველი ნახევარი ლიდერის როლში იყო.

**ანდრეა ბარნიანიმ** პირველ სამ წუთში 7 ქულა დააგროვა, ხოლო ფრანგებმა კი მეხუთე წუთამდე ყველა სროლა ააცილეს. ნავსი იმავე პარკერმა გატეხა, რომელმაც 7 მეტრიდან ჩაუშვა ბურთი კალათში და პირველი მეოთხედი "სან ანტონიოს" წევრმა 13 ქულით დაასრულა.

ფრანგებს სროლა არც მეორე მეოთხედში წაუვიდათ და რომ არა პარკერი, იტალია დიდი შესვენებისთვის გაცილებით დიდი სხვაობით დაწინაურდებოდა. ისე კი, აპენინელები "მხოლოდ" 36:31 იგებდნენ. ბარნიანის ანგარიშზე 13 ქულა იყო, ხოლო პარკერმა კი თავის გუნდს 15 შესძინა.

საფრანგეთმა არაჩვეულებრივად ჩაატარა მეორე ნახევრის პირველი 6 წუთი და 18:5 გაიქცა, რაშიც ტონიმ 12-ქულიანი წვლილი შეიტანა. თუმცა, ყველაფერი ბოლო წუთებზე გადაწყდა. 60:60-ის შემდეგ, იტალიამ თავის აქტივს ოდენ 2 ქულა შემატა, ხოლო ფრანგებში კი "ფინიქს სანზის" ფორვარდმა **ბორის დიაომ** იყოჩაღა და საბოლოოდ, საფრანგეთმა შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა. ჯგუფში პირველი ადგილისთვის ბრძოლაში, ბოლო ტურში საფრანგეთი ძლიერ სლოვენიას უნდა შეხვედროდა.

პარკერმა მატჩი 22-დან 12 ზუსტი სროლით დაასრულა, 36 ქულით მიმდინარე ტურნირის რეკორდიც დაამყარა და ნაკრებში თავისი საუკეთესო მაჩვენებელიც დააფიქსირა.

*"ტონი შეუდარებელი იყო, თუმცა, როგორც პირველ, ასევე დღევანდელ შეხვედრაში გამარჯვებასთან ახლოს ვიყავით და საკუთარი შეცდომებით დავმარცხდით"*, - ამბობდა ნამატჩევს იტალიელთა ვეტერანი უკანახაზელი **ჯანლუკა ბაზილე**, რომელმაც მატჩი 1 ქულით ჩაამთავრა.

**ზურაბ თალაკვაძე**




პაპალუკასმა სერბებთან თამაში ჩააგდო

### A ჯგუფი

**რუსეთი-ისრაელი 90:56**

17:15, 23:13, 26:13, 24:15

**რუსეთი:** ჰოლდენი (18 ქ. 5 მ. 3 პ. 3 ჩ), კირილენკო (17 ქ. 13 მ. 5 პ. 2 ჩ. 2 დ), მონია (9 ქ. 3 მ), მორგუნოვი (8 ქ. 4 მ).

**ისრაელი:** ელიაჰუ (17 ქ. 6 მ), ჰალპერინი (14 ქ), ტაპირო (7 ქ. 4 მ. 2 ჩ).

**საბერძნეთი-სერბეთი 68:67 (ო)**

12:11, 19:20, 9:7, 16:18, 12:11

**საბერძნეთი:** დიკუდისი (20 ქ. 8 მ), სპანულისი (10 ქ. 5 ჩ. 3 მ), კაკიუზისი (6 ქ. 3 მ), პაპადოპულოსი (4 ქ. 6 მ. 2 დ).

**სერბეთი:** იარიჩი (18 ქ. 6 მ. 2 პ), მილიჩიჩი (17 ქ. 6 მ. 3 პ. 3 დ. 2 ჩ), გუროვიჩი (14 ქ. 8 მ), ერჩეგი (9 ქ. 14 მ. 3 ჩ. 2 დ).

| | მ/წ | ქ |
|---|---|---|
| 1. რუსეთი | 2-0 | 4 |
| 2. საბერძნეთი | 2-0 | 4 |
| 3. სერბეთი | 0-2 | 2 |
| 4. ისრაელი | 0-2 | 2 |

### B ჯგუფი

**ხორვატია-პორტუგალია 90:68**

19:19, 23:17, 33:14, 15:18

**ხორვატია:** მ. პოპოვიჩი (14 ქ), მარკოტა (13 ქ. 2 ჩ), უკიჩი (12 ქ. 4 მ. 4 ჩ. 3 პ), პრკაჩინი (10 ქ. 5 მ. 3 პ), კასუნი (10 ქ).

**პორტუგალია:** გომეში (17 ქ. 3 მ), კუნია (13 ქ. 3 მ), სანტოში (12 ქ. 9 მ. 2 ჩ).

**ესპანეთი-ლატვია 93:77**

25:20, 16:16, 29:19, 23:22

**ესპანეთი:** პ. გასოლი (26 ქ. 9 მ. 4 დ. 3 პ), რ. ფერნანდესი (20 ქ. 3 პ), კალდერონი (14 ქ. 5 მ. 3 პ), გარბახოსა (10 ქ), მ. გასოლი (6 ქ).

**ლატვია:** ბიედრინსი (17 ქ. 5 მ), სკელე (16 ქ. 3 პ. 2 ჩ), ს. ვალტერსი (12 ქ. 3 მ. 3 პ), ჰელმანისი (6 ქ).

| | მ/წ | ქ |
|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 2-0 | 4 |
| 2. ხორვატია | 1-1 | 3 |
| 3. ლატვია | 1-1 | 3 |
| 4. პორტუგალია | 0:2 | 2 |

### C ჯგუფი

**ლიტვა-ჩეხეთი 95:75**

32:15, 22:16, 18:24, 23:20

**ლიტვა:** კ. ლავრინოვიჩი (22 ქ. 5 მ), კლეიზა (14 ქ. 4 მ), დ. ლავრინოვიჩი (12 ქ. 5 მ. 3 პ), იასიკიავიჩუსი (10 ქ. 4 პ. 2 მ), იასაიტისი (9 ქ. 3 მ).

**ჩეხეთი:** ველში (18 ქ. 6 პ. 5 ჩ. 2 მ), ბენდა (14 ქ. 7 მ), ბარტონი (13 ქ. 8 მ. 2 პ), უიტფილდი ( ქ. 6 პ).

**გერმანია-თურქეთი 79:49**

16:11, 24:16, 18:12, 21:10

**გერმანია:** ნოვიცკი (24 ქ. 6 მ. 2 პ), ოკულაჯა (13 ქ. 9 მ. 2 პ. 2 დ), დ. გრინი (10 ქ), ფემერლინგი (4 ქ. 5 მ).

**თურქეთი:** თურქოღლუ (15 ქ. 3 მ), აცური (7 ქ), ილიასოვა (6 ქ. 6 მ), ოქური (5 ქ. 5 მ).

| | მ/წ | ქ |
|---|---|---|
| 1. ლიტვა | 2-0 | 4 |
| 2. გერმანია | 2-0 | 4 |
| 3. ჩეხეთი | 0-2 | 2 |
| 4. თურქეთი | 0-2 | 2 |

### D ჯგუფი

**საფრანგეთი-იტალია 69:62**

17:20, 14:16, 20:11, 18:15

**საფრანგეთი:** ტ. პარკერი (36 ქ. 3 მ. 2 პ), კირკსეი (11 ქ. 4 მ), დიაო (9 ქ. 7 მ).

**იტალია:** ბარნიანი (16 ქ. 3 მ. 2 პ), ბელინელი (15 ქ. 3 მ), ბულერი (11 ქ. 3 პ), მანჩინელი (7 ქ. 3 მ).

**სლოვენია-პოლონეთი 70:52**

13:19, 21:7, 12:7, 24:19

**სლოვენია:** ლორბეკი (16 ქ. 8 მ. 2 ჩ), ლაკოვიჩი (15 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), ნესტეროვიჩი (11 ქ. 12 მ. 2 დ. 2 პ), სმოდიში (6 ქ).

**პოლონეთი:** პლუტა (12 ქ. 2 მ), დილევიჩი (9 ქ. 9 მ), ვიტკა (8 ქ), ფრასუნკევიჩი (7 ქ).

| | მ/წ | ქ |
|---|---|---|
| 1. სლოვენია | 2-0 | 4 |
| 2. საფრანგეთი | 2-0 | 4 |
| 3. იტალია | 1-1 | 3 |
| 4. პოლონეთი | 0-2 | 2 |




უტევს ტონი პარკერი

ინტერვიუ ტონი პარკერთან

# ევა ფინალზე ჩამოვა

**საფრანგეთის** ნაკრები, გერმანელების დარად, ერთი კაცის გუნდად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ტევტონელებისგან განსხვავებით, ფრანგებს რამდენიმე და არა ერთი ძლიერი მოთამაშე ჰყავთ, მთელი სათამაშო სქემა მხოლოდ და მხოლოდ ტონი პარკერზეა აგებული. თუ "სან ანტონიოს" ვარსკვლავი თამაშის იშტაზეა და ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს არ იღებს, მისი და მთელი საფრანგეთის შეჩერება თითქმის შეუძლებელია.

იტალიასთან მატჩში პარკერმა 36 ქულით პირადი სანაკრებო რეკორდი დაამყარა. ტონიმ საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგესთან ყველა ტიპის ტყორცნები გამოიყენა. პარკერის ანგარიშზე 9-დან 4 ზუსტი სამიანი იყო და ამასთან ერთად, მან მხოლოდ ორი შეცდომა დაუშვა.

საფრანგეთი ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია, თუმცა, მთლად ისეთიც ვერაა, როგორც ესპანეთი და საბერძნეთი. ამ გუნდებს უფრო დაბალანსებული და გამოცდილი შემადგენლობა ჰყავს. მოკლედ, გთავაზობთ ინტერვიუს საფრანგეთის ნაკრების ლიდერთან.

**- ნაკრებში ეს თქვენი საუკეთესო მატჩი იყო, არა?**

- ერთ-ერთი საუკეთესო. მართალია, 36 ქულა მანამდე ნაკრებში არასოდეს დამიგროვებია, მაგრამ ორჯერ კინაღამ სამმაგი დუბლი გავაკეთე, ხოლო ერთ-ერთ შეხვედრაში კი 16 პასი მქონდა. საბოლოო ჯამში, საკუთარი და გუნდური თამაშით კმაყოფილი ვარ.

**- იტალიას აქცენტი პერიმეტრიდან სროლებზე ჰქონდა გადატანილი. რატომ შეგექმნათ პრობლემა თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში? თქვენ ხომ გაცილებით ათლეტური მოთამაშეები გყავთ?**

- იტალია ძალიან გამოცდილი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მათგან ძალიან ბევრს საერთაშორისო დონეზე თამაშის დიდი გამოცდილება აქვს და ანდრეა ბარნიანის სახით, იტალიელებს ევროპის მომავლის მოთამაშე ჰყავთ. ვიცი, რომ საზაფხულო ლიგაზე ბელინელიმაც ძალიან კარგად ითამაშა. ასე რომ, დღეს საკმაოდ ძლიერი, მოტივირებული და გამოცდილი გუნდის წინააღმდეგ თამაში მოგვიხდა. ეს გამარჯვებას ორმაგად მნიშვნელოვანსა და სასიამოვნოს ხდის.

**- ტონი, ხომ არ დააკლდება გუნდს მიკაელ პიეტრუსი?**

- ასეთი დონის მოთამაშე ნებისმიერ გუნდს დააკლდება, მაგრამ რა მოხდა მასსა და მთავარ მწვრთნელს შორის, ნამდვილად არ ვიცი და სიმართლე გითხრათ, დეტალების განხილვა ნამდვილად არ მსურს.

**- რომელიმე სხვა თამაშს თუ უყურეთ?**

- არა და არანაირი სურვილი არ მაქვს. თუ ვინმე საფრანგეთით დაინტერესდება, შეუძლია მოვიდეს და ჩვენი თამაში ნახოს. პირადად მე კი ამ ეტაპზე მთლიანად საკუთარი ნაკრების თამაშით ვარ დაკავებული. ამით დიდ სიამოვნებასაც ვიღებ. ბოლოს და ბოლოს, ცოტა ხნით მაინც ვისვენებ გრეგ პოპოვიჩისგან.

**- როგორც ვიცით, "სან ანტონიო" და პირადად პოპოვიჩი თქვენს ნაკრებში თამაშზე უარს აცხადებდნენ.**

- კი, თავიდან პოპს ჩემი გაშვება არ უნდოდა. პოპოვიჩს კარგად ახსოვს, რომ ათენის ოლიმპიადის შემდეგ ტიმ დანკანი გამოფიტული იყო და კარიერაში ერთ-ერთი უსუსტესი სეზონი ჩაატარა. თავისთავად, უსუსტესი დანკანის პარამეტრებით, თორემ ბევრი ინატრებდა ასეთ სტატისტიკას.

**- საფრანგეთი მთლიანად პერიმეტრზე აკეთებს აქცენტს. რატომ არ ტვირთავთ საკმარისად ცენტრებს?**

- ყველა თამაშში ცენტრებს მაქსიმალურად ვერ დავტვირთავთ. თანაც, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თუ ვის წინააღმდეგ გვიწევს თამაში. იტალიასთან უნდა გვეთამაშა ისე, როგორც გამოგვივიდოდა, რადგან მეტოქე მჭიდრო პრესინგს პირველივე წუთიდან მიმართავდა. ასე რომ, არ არის გამორიცხული, რომ შემდგომ თამაშში ათი ქულაც ვერ დავაგროვო, მაგრამ მაინც მოვიგოთ და ეს მთლიანად ჩვენი მალების დამსახურება იყოს. საფრანგეთის ნაკრებში ტყუილად არავინ მოხვედრილა და იმედი მაქვს, ეს სხვა მოთამაშეებსაც მშვენივრად ესმით.

**- არის თუ არა საფრანგეთი მზად ჩემპიონობისთვის?**

- ნამდვილად მზად არის. სამწუხაროდ, როდესაც ჩემპიონი ლიტვა გახდა, მაშინაც საუკეთესო გუნდი გვყავდა, მაგრამ ნახევარფინალში ჩემი რამდენიმე სულელური შეცდომის გამო წავაგეთ. ვეცდები, ეს აღარ განმეორდეს.

**- ყველას გვაინტერესებს, როდიდან გიქომაგებთ ევა?**

- ევა იტალიასთან მატჩზეც იყო, მაგრამ მხოლოდ პირველ მეოთხედს დაესწრო. ევა ფინალზე მიქომაგებს.

**ზურაბ თალაკვაძე**

აშშ-ის ღია პირველობა

# ნადალი და სერენა გარეთ დატოვეს

აშშ-ის ღია პირველობას კიდევ ორი ძლიერი მეჩოგნე გამოაკლდა - მამაკაცთა მეოთხედფინალში გასვლა ვერ შეძლო მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, ქალთა მეოთხედფინალური ბარიერი კი ვერ გადალახა ტურნირის ორგზის ყოფილმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა**.

სამაგიეროდ, კიდევ თითო ნაბიჯით წინ წაიწიეს მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ესპანელმა **კარლოს მოიამ**, მისმა თანამემამულე **დავიდ ფერერმა** (ვინც ნადალს მოუგო), არგენტინელმა **ხუან იგნასიო ჩელამ** და სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. ქალთა ბადეში კი ნახევარფინალის პირველი საგზური მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა** მოიპოვა.

ჟუსტინმა პირველივე გეიმში შეძლო მეტოქის მოწოდების აღება, თუმცა შუა სეტში სერენამ საპასუხო ბრეიკი აიღო და მე-12 გეიმში სეტ პოინტიც კი მოიპოვა, თუმცა მისი რეალიზება ვერ შეძლო და ხელი ტაიბრეიკში გადავიდა, სადაც ბელგიელმა აშკარად დაჯაბნა მეტოქე. მეორე სეტში კი ბრძოლა, პრაქტიკულად, არ ყოფილა. ჟუსტინმა თავიდანვე შეძლო დაწინაურება (3:0) და ამჯერად ამერიკელს თამაშის შემობრუნების საშუალება აღარ მისცა.

*"პირველ სეტში მაინც ვფრთხილობდი, რის გამოც, ჩემს თამაშს აგრესია აკლდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ ცოტა გამიჭირდა. ტაიბრეიკის შემდეგ კი ისე ვითამაშე, როგორც ბევრი იოცნებებდა. ისე ვითამაშე, როგორც მსოფლიოს პირველ ჩოგანს შეეფერებოდა"*, - განაცხადა ჟუსტინმა, ვინც ამ სეზონში, დიდი სლემის მესამე ტურნირზე, ისევ მეოთხედფინალში შეხვდა სერენას და მესამედაც მოუგო. სამაგიეროდ, ბელგიელმა პირველად შეძლო სერენას ჰარდზე დამარცხება, საერთო ჯამში კი, მათ ურთიერთშეხვედრებში ანგარიში გათანაბრდა - 6:6.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე სეტში ანენმა აშკარად დაჯაბნა უილიამსი, ამან ინტერვიუს დროს თვალცრემლიანმა განაცხადა, ჟუსტინს ხშირად უმართლებდა და ამის გამო ვერ მოვუგეო. *"ახლა ისღა დამრჩენია, ამ თამაშის ჩანაწერს ყურადღებით ვუყურო, კარგად შევისწავლო და ეს დაშვებული შეცდომები შემდეგში გამოვიყენო"*, - განაცხადა სერენამ, ვისაც აშშ-ის ღია 1999 და 2002 წლებში აქვს მოგებული.

ჟუსტინს კი შეიძლება მომდევნო ეტაპზეც უილიამსთან, ასევე აშშ-ის ღიას ორგზის ჩემპიონთან, ოლონდ **ვენუს უილიამსთან** მოუწიოს თამაშმა. ოღონდ, ამისთვის ვენუსმა ჯერ **ელენა იანკოვიჩს** უნდა მოუგოს.

ნადალისა და ფერერის შეხვედრაში გადამწყვეტი გამოდგა მესამე სეტის ტაიბრეიკი. მანამდე თითქოს თანაბარი თამაში მიმდინარეობდა. კაცი ვერც კი მიხვდებოდა, თუ ნადალს ორივე მუხლის ტრავმა აწუხებს. მოგვიანებით, ეს შესამჩნევი მას შემდეგ გახდა, რაც საფრანგეთის ღიას სამგზის ჩემპიონმა კორტზე ექიმს უხმო და ამან მას ორივე მუხლი შეუხვია.

მოკლედ, ტაიბრეიკზე უფრო სტაბილური ფერერი გამოდგა, რომელმაც თავისი შესანიშნავი წალმა დარტყმებით მეტოქეს არაერთი შეცდომა დააშვებინა. ტაიბრეიკის წაგების შემდეგ ნადალმა ხელები ჩამოუშვა, ფერერი კი უფრო აგრესიულადაც ათამაშდა, რამაც გამარჯვებამდე მიიყვანა.

*"ძალიან დავიღალე, სირბილი საერთოდ აღარ მიხსენოთ. ხვალაც რომ ასეთი მეტოქე მყავდეს, სამ სეტს კორტზე ვეღარ გავძლებ. რაფას დასამარცხებლად ბევრი სირბილი მომიწია. ის ჩემი მეგობარია და ვწუხვარ, რომ ტურნირი დავატოვებინე, მაგრამ რას ვიზამ, არც მე მინდოდა გავარდნა"*, - განაცხადა ფერერმა, ვისაც მეოთხედფინალში მეტოქედ არგენტინელი ხუან იგნასიო ჩელა ეყოლება.

სხვათა შორის, ფერერი დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალში სულ მეორედ ითამაშებს. პირველად მან ეს ორი წლის წინათ, საფრანგეთის ღია პირველობაზე შეძლო, რომელიც თიხნარზე, ფერერისთვის უფრო მოსახერხებელი ტიპის კორტებზე ტარდება. "ფლაშინგ მედოუსის" მყარ საფარზე მეოთხედფინალში გასვლას კი ის უფრო დიდ მიღწევად მიიჩნევს.

*"დავიდი შესანიშნავი ჩოგბურთელია. ამ სეზონს ის შესანიშნავად ატარებს და არ გამიკვირდება, თუ უფრო შორსაც წავა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეისთვის ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელია"*, - განაცხადა ნადალმა, ვინც ამ სეზონში დიდი სლემის ტურნირს პირველად გამოეთიშა ასე ადრეულად. ცნობისთვის, საფრანგეთის ღიაზე გამარჯვების გარდა, ნადალმა უიმბლდონზე ფინალში, ავსტრალიის ღიაზე კი მეოთხედფინალში ითამაშა. გარდა ამისა, სულ ექვსი ტურნირი მოიგო.

არანაკლებ საინტერესო და დაძაბული გამოდგა ჯოკოვიჩისა და არგენტინელი **ხუან მონაკოს** დაპირისპირება. აქაც გადამწყვეტი გამოდგა მესამე სეტი, რომელიც სერბმა ტაიბრეიკზე მოიგო, ამის შემდეგ კი არგენტინელისგან წინააღმდეგობას, პრაქტიკულად, აღარც შეხვედრია.



რაფაელ ნადალი

ალსანიშნავია, რომ ტაიბრეიკის ყველაზე კრიტიკულ მომენტში მონაკოს იღბალმა უმტყუნა - მის მოწოდებაზე ბურთის მორიგი გათამაშების დროს, მას სათადარიგო ბურთი ჯიბიდან ამოუვარდა. ამან მონაკო დააბნია და დარტყმა არაზუსტად შეასრულა.

სხვათა შორის, ჯოკოვიჩს თითქმის ყველა ეტაპზე მძიმე შეხვედრები ჰქონდა, რამაც მისი თამაშის ხარისხზე უარყოფითად იმოქმედა. თუმცა, მონაკოსთან გამარჯვების შემდეგ, მას სულის მოთქმის საშუალება ექნება და იმედოვნებს, რომ მოიასთან შეხვედრისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება. სერბ ჩოგბურთელს მოიასთან ბოლო ორი შეხვედრა წაგებული აქვს, თუმცა ამბობს, რომ ბოლო შეხვედრის დროს, თავის შესაძლებლობათა მხოლოდ ოცი პროცენტი გამოავლინა.

**ნიუ იორკი (აშშ). ჰარდი**

**საპრიზო ფონდი:** 19 653 000 დოლარი

**მამაკაცები**

**1/8 ფინალი**

დავიდ ფერერი (ესპ, 15)-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 6:7(3), 6:4, 7:6(4), 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ხუან მონაკო (არგ, 23) 7:5, 7:6(2), 6:7(6), 6:1; **კარლოს მოია (ესპ, 17)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 7:5, 6:2, 6:7(5), 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 20)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 4:6, 6:2, 7:6(6), 1:6, 6:4

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ფედერერი (1)-როდიკი (5); დავიდენკო (4)-ჰაასი (10); მოია (17)-ჯოკოვიჩი (3); ჩელა (20)-ფერერი (15)

**ქალები**

**1/4 ფინალი**

ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)-სერენა უილიამსი (აშშ, 8) 7:6(3), 6:1; ანა ჩაკვეტაძე (რუს, 6)- შაარ პეერი (ისრ, 18) 6:4, 6:1



**6 სექტემბერი. ხუთშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:03 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. სერბეთი-საბერძნეთი. ესპანეთი.
09:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:11 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ლიტვა-გერმანია. ესპანეთი.
12:07 სპორტდოსიე. კრიკეტი.
11:33 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. რუსეთი-საბერძნეთი. ესპანეთი.
14:30 მინი-მოედანი.
14:46 სპორტული ისტორია.
15:02 ფეხბურთი. Barca TV.
15:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ჩელსი.
17:01 სპორტული ისტორია.
17:09 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. გუნდური ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
19:01 სპორტული სამყარო.
19:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:45 ჰოკეი. საერთაშორისო ტურნირი. ლუგანო. შვეიცარია.
21:17 სპორტული ისტორია.
21:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
22:15 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
23:00 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. ესტუდიანტესი-ლანუსი.
01:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:15 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ლიტვა-გერმანია. ესპანეთი.
04:15 სპორტდოსიე. კრიკეტი.
04:44 ჰოკეი. საერთაშორისო ტურნირი. ლუგანო. შვეიცარია.
06:18 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-რეალი.

**EUROSPORT**

07:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/4 ფინალი.
12:30 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. V დღე. შტუტგარტი. გერმანია.
14:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. გერმანია-ნიგერია. ს. კორეა (LIVE).
16:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. ბულგარეთი-გერმანია. თურქეთი.
16:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. იტალია-გერმანია. თურქეთი (LIVE).
18:30 ველოსპორტი. ვუელტა. V ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/4 ფინალი (LIVE).
20:00 ევროგოლი. ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/4 ფინალი (LIVE).
22:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-სერბეთი. თურქეთი (LIVE).
23:30 პროფესიული კრივი. მძიმე წონა. ა. პოვეტკინი (რუსეთი)-ლ. დონალდი (აშშ). მოსკოვი. რუსეთი.
00:30 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. VI დღე. შტუტგარტი. გერმანია.
02:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/4 ფინალი (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. მიქსტი. ფინალი (LIVE).
05:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/4 ფინალი (LIVE).

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. ბულგარეთი-გერმანია. თურქეთი.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. ესპანეთი-განა. ს. კორეა.
14:00 ახალი ამბები.
16:00 პლაჟის ფრენბურთი. მონაკო.
16:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. ესპანეთი-განა. ს. კორეა.
17:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. გერმანია-ნიგერია. ს. კორეა.
19:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. აზერბაიჯანი-ბულგარეთი. თურქეთი (LIVE).
21:00 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. ესპანეთი-განა. ს. კორეა.
23:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. გერმანია-ნიგერია. ს. კორეა.
00:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. აზერბაიჯანი-ბულგარეთი. თურქეთი.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **მსოფლიო ჩემპიონატი** | |
| **UNDER 17. 1/2 ფინალი** | |
| ესპანეთი-განა | 1:1. დ.დ 2:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| ალკორკონი-კონკუენსე | 2:0 |
| ალხესირასი-დენია | 0:1 |
| ოსპიტალეტი-უესკა | 1:0 |
| პალენსია-პონფერადინა | 0:0 |
| პონტევედრა-კარტახენა | 1:0 |
| პუერტოლიანო-ბადალონა | 2:1 |
| რეალ ხაენი-რაიო ვალეკანო | 0:0 |
| სან ისიდრო-პორტუენსე | 2:5 |
| ლას პალმასი-სოსიედადი | 1:0 |
| ტალავერა-ბარაკალდო | 1:1 |
| უნივერსიდადი-ალიკანტე | 0:1 |
| ვალე დე ეგესი-ბურგოსი | 1:2 |
| ალავესი-ხიმნასტიკი | 1:0 |
| სალამანკა-ელჩე | 1:2 |
| ალბასეტე-კასტელონი | 1:0 |
| კორდობა-კადისი | 1:1. დ.დ. 2:3 |
| მალაგა-სელტა | 2:1 |
| ხერესი-ფეროლი | 3:1 |
| გრანადა 74-სპორტინგი | 1:0 |
| ერკულესი-ნუმანსია | 2:0 |
| ტენერიფე-ეხიდო | 1:0 |
| რეალ უნიონი-ვესინდარიო | გადაიდო |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ფერლი-ობერჰაუზენი | 1:2 |
| ჰამბურგი II-ალენი | 1:1 |
| კოტბუსი II-დორტმუნდი II | 0:3 |
| დინამო (დრ)-ფორტუნა | 0:0 |
| მაგდებურგი-ლიუბეკი | 3:0 |
| ესენი-ბრაუნშვაიგი | 0:0 |
| უნიონი-ბაბელსბერგი | 1:1 |
| ვუპერტალი-ვოლფსბურგი II | 7:2 |
| **შოტლანდიის ლიგის თასი** | |
| კლაიდი-დანფერმლაინი | 1:4 |
| როსი-სტ. ჯონსტონი | 0:2 |
| **დანიის თასი** | |
| სვენდბორგი-სილკებორგი | 0:2 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვადუცი-კიასო | 5:2 |
| **არგენტინა** | |
| რივერი-ნიუელსი | 3:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| ლიტვა-გერმანია | 84:80 |
| სერბეთი-ისრაელი | 83:87 |
| ლატვია-პორტუგალია | 67:77 |
| საფრანგეთი-სლოვენია | 66:67 |
| საბერძნეთი-რუსეთი | 53:61 |
| თურქეთი-ჩეხეთი | 80:72 |
| ესპანეთი-ხორვატია | 84:85 |
| იტალია-პოლონეთი | 79:70 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. აშშ-ის ღია** | |
| დავიდენკო-ჰაასი | 6:3, 6:3, 6:4 |
| **WTA. აშშ-ის ღია** | |
| ჩაკვეტაძე-პეერი | 6:4, 6:1 |
| კუზნეცოვა-შავაი | 6:1, 6:4 |



ვუელტა

# ფრეირემ დუბლი შეასრულა




ოსკარ ფრეირე

ვუელტას გუშინდელ, მე-5 ეტაპზე, ველომრბოლელებს მეორე კატეგორიის ოთხი და პირველი კატეგორიის ერთი ეტაპი ჰქონდათ გასავლელი, მაგრამ ფინიში მაინც სპრინტერული გამოდგა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ პირველი კატეგორიის მთაზე მკვეთრი დახრის მქონე მონაკვეთები არ ყოფილა. ფინიში ამ მთის პიკიდან კარგა შორს მდებარეობდა.

ფინიშისთვის ყველაზე მეტი ენერგია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, ესპანელმა **ოსკარ ფრეირემ** შემოინახა, რომელმაც სპურტში უკან მოიტოვა ვუელტას პირველი ეტაპის გამარჯვებული, იტალიელი **დანიელე ბენატი** და კიდევ ერთი ეტაპის მომგები, კიდევ ერთი იტალიელი, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **პაოლო ბეტინი**.

ფრეირესთვის ეს მეორე მოგებული ეტაპია, რითაც მან ქულების ჩათვლაში ლიდერობა გაიმყარა და ახლა მეორეზე მყოფ ბეტინის 29 ქულას უგებს.

*"იმაზე მეტი მოვახერხე, ვიდრე შემეძლო. მოვლენებიც ისე განვითარდა, როგორც მაწყობდა. სპრინტში კი ხელსაყრელი პოზიცია დავიკავე და ამან მეტწილად განაპირობა საბოლოო შედეგი. ბოლო მოსახვევის შემდეგ, ერთი-ორი ველომრბოლი ჯერაც ჩემს წინ იყო, მაგრამ მათი ჩამოტოვება არ გამჭირვებია"*, - განაცხადა ფრეირემ.

გუშინდელი ეტაპის შემდეგ, ლიდერის ოქროსფერი მაისური რუსმა **ვლადიმირ ეფიმკინმა** შეინარჩუნა და არც კლასიფიკაციის მოწინავე ათეულში შეცვლილა რაიმე. ლიდერებში განლაგების ცვლილება არც დღევანდელი ეტაპის შემდეგაა მოსალოდნელი, რომელზეც პელოტონს რამდენიმე უმნიშვნელო აღმართის გავლა მოუწევს, ფინიში კი კვლავ სპრინტერული იქნება.

მე-5 ეტაპი. კანგას დე ონისიდან რეინოსამდე (182 კმ)

1. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი) 4:07.51 (38.0 კა/სთ); 2. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრე) იგივე დროში; 3. პაოლო ბეტინი (იტალია, ქკივსტეპ-ინერგეტიკი); 4. ფილიპ ჟილბერი (ბელგია, ფრანსის დე ჟუ); 5. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 6. ლეონარდო დუკე (კოლუმბია, კოფიდისი); 7. ქსავიერ ფლორენსიო (ესპანეთი, ბუჟე ტელეამი); 8. ხოსეპ ხუფრე (ესპანეთი, პრედიქტორ-ლოტო); 9. რენე მანტრი (ესტონეთი, Ag2r პრევოიანსი); 10. დავიდ გარსია (ესპანეთი, კარპინ გალისია) ყველა იგივე დროში...

კლასიფიკაცია 5 ეტაპის შემდეგ

1. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 20:10.41; 2. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 1.06; 3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 1.06; 4. მაქსიმ მონფორტი (ბელგია, კოფიდისი) 1.06; 5. სტიინ დეფოლდერი (ბელგია, დისქავერი ჩენელი) 1.06; 6. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დიუვალი) 1.06; 7. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 1.28; 8. სილვენ შავანელი (საფრანგეთი, კოფიდისი) 1.33; 9. ეზეკილ მოსკრა (ესპანეთი, კარპინ გალისია) 1.36; 10. ლეონარდო ბერტანიოლი (იტალია, ლიკიგაზი) 1.49...

ჰოკეი

## რიონიკმა წასვლა გადაიფიქრა

რამდენიმე კვირის წინ, ცნობილი ამერიკელი ცენტრფორვარდი **ჯერემი რიონიკი** აცხადებდა, რომ მას მოთამაშის კარიერის დასრულება ჰქონდა განზრახული. მაგრამ ორი დღის წინ, ჰოკეისტმა გადაწყვეტილება შეცვალა და ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა "სან ხოსე შარქსთან". მომავალ სეზონში, ვეტერანი მოთამაშე 500 ათას დოლარს მიიღებს.

*"ჯერემის კოლოსალური გამოცდილება აქვს და რაც მთავარია, ჰოკეი ძალიან უყვარს. ვგრძნობ, რომ რიონიკი რაღაც ახალს შემატებს ჩვენს გუნდს. ამასთან, "სან ხოსეს" ნიჭიერი ახალგაზრდა ჰოკეისტების გარემოცვაში, ის ახლებურად წარსდგება ჰოკეის მოყვარულთა წინაშე"*, - აცხადებს "სან ხოსეს" გენერალური მენეჯერი **დუგ უილსონი**.

რიონიკმა გასული სეზონი "ფინიქსის" რიგებში გაატარა და 70 მატჩში მხოლოდ 28 ქულა დააგროვა. სულ მისი კარიერა 495 შაიბასა და 675 შედეგიან გადაცემას ითვლის. ფლეი ოფის 136 მატჩში კი, ჯერემის ანგარიშზე 51 გოლი და 65 პასი მოდის.

ვეტერანს ცხრაჯერ უთამაშია "ყველა ვარსკვლავის მატჩში", ხოლო 2002 წელს, აშშ-ის ნაკრების რიგებში ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი გახდა.

## ტარჟონი აღარ ითამაშებს

რიონიკისგან განსხვავებით, ჰოკეიდან წასვლა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კიდევ ერთ ვეტერანს, **პიერ ტარჟონს**. სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, 38 წლის ცენტრფორვარდის გადაწყვეტილება გასაგებია, ვინაიდან გასულ სეზონში სხვადასხვა ტრავმების გამო, ტარჟონმა "კოლორადოს" შემადგენლობაში მხოლოდ 17 მატჩი ჩაატარა.

ისე კი, პიერს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 18 წელი აქვს გატარებული: 1294 მატჩში მან 1327 ქულა (515 გოლი+812 შედეგიანი გადაცემა) დააგროვა.

NHL-ში ტარჟონის კარიერა 1987 წელს დაიწყო, როცა დრაფტში პირველ ნომრად "ბაფალომ" აირჩია. გარდა ამ კლუბისა, ფორვარდი "აილენდერსის", "მონრეალის", "სენტ ლუისის", "დალასის" და "კოლორადოს" ღირსებას იცავდა.

ჩოგბურთი

## ამერიკა უძლიერესებს შეკრებს

21-23 სექტემბერს, დევისის თასის ნახევარფინალური მატჩები გაიმართება. ერთ-ერთ წყვილში, შვედეთის ნაკრები გიოტებორგში უმასპინძლებს ამერიკას.

გუშინ, სააგენტო AP-სთვის ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის ნაკრების კაპიტანი **პატრიკ მაკინროი** სკანდინავიაში უძლიერეს შემადგენლობას ჩაიყვანს. ამერიკელთა რიგებში ერთეულთა თანრიგში მსოფლიო კლასიფიკაციის მეხუთე და მეცხრე ნომრები, შესაბამისად **ენდი როდიკი** და **ჯეიმს ბლეიკი** ითამაშებენ, ხოლო წყვილთა შორის გიოტებორგის კორტზე გავლენ, ამ მომენტისთვის ATP-ს მიერ საუკეთესო დუეტად აღიარებული - ძმები **ბრაიანების** ტანდემი.

აქვე შეგახსენებთ, რომ მეორე ნახევარფინალში რუსეთისა და გერმანიის ნაკრებები მოსკოვში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

სხვათა შორის, ერთი ინფორმაცია გერმანელთა ბანაკიდანაც გავრცელდა. კერძოდ, ტრავმის გამო რუსების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს **მიხაელ კოლმანი**. ეს ჩოგბურთელი წყვილთა თანრიგში თამაშით არის ცნობილი და სავარაუდოდ, მას **ალექსანდრ ვასკეთან** დუეტში უნდა დაეცვა თავისი გუნდის ღირსება.

ოლიმპიზმი

## პრაღა ოფიციალურად გაფორმდა

ჩეხეთის დედაქალაქ პრაღის მთავრობამ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე ოფიციალური განაცხადი შეიტანა.

გუშინ, პრაღის მერი **პაველ ბემი** და ჩეხეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **მილან ირაშეკი** ჟურნალისტებს შეხვდნენ და თავიანთი საარჩევნო კამპანიის ლოგოც წარმოადგინეს.

ჯერჯერობით, 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლაში პრაღის ხუთი მეტოქეა ცნობილი - უფრო ადრე, თამაშების ორგანიზების სურვილი გამოთქვეს ჩიკაგომ (აშშ), ტოკიომ (იაპონია), რიო დე ჟანეირომ (ბრაზილია), მადრიდმა (ესპანეთი) და დოჰამ (კატარი).

აქვე შეგახსენებთ იმას, რომ პრაღას არასოდეს მიუღია ოლიმპიური თამაშები.

კალათბურთი

## ბოსტონმა გლენ დევისი გაიფორმა

"ბოსტონ სელტიქსმა" წლევანდელ დრაფტში აყვანილ მოთამაშესთან გააფორმა კონტრაქტი.

საქმე ეხება მძიმე ფორვარდ **გლენ დევისს**, რომელიც 2007 წლის დრაფტში მეორე რაუნდის 35-ე ნომერი გახლდათ. ხელშეკრულების დეტალები არ ხმაურდება.

ფორმულა 1

## როსბერგმა პროფკავშირის შეფობა იუარა

ახალგაზრდა გერმანელ პილოტ **ნიკო როსბერგს** ავტომრბოლთა პროფკავშირების ერთ-ერთი ხელმძღვანელი პოსტი შესთავაზეს, მაგრამ "უილიამსის" პილოტმა დირექტორობაზე უარი განაცხადა. მისი თქმით, მას ამ თანამდებობის შეთავსებისთვის დრო არ ეყოფა.

*"უარი იმის გამო არ მითქვამს, რომ ახალგაზრდა ვარ ან არ მსურს პროფკავშირებში მუშაობა. უბრალოდ, დღეს ამისთვის თავისუფალი დრო არ მაქვს. ბედნიერი ვიქნები, თუ ოდესმე ამ პოსტზე მუშაობის საშუალება მომეცემა. ეს ძალიან საინტერესო საქმიანობა უნდა იყოს. დევიდ ქულთარდმა განაცხადა, რომ ახალგაზრდა პილოტები არ იზიარებენ ნამდვილ ავტომრბოლთა ინტერესებს და არაფერი იციან პროფკავშირის საქმიანობის შესახებ. ეს არასწორი მოსაზრებაა. პირიქით, პროფკავშირს პატივს ვცემ, განსაკუთრებით ტესტებთან მიმართებაში მის მიერ გაწეული სამუშაოს გამო"*, - განაცხადა ნიკო როსბერგმა.

მძლეოსნობა

## ოლიმპიურ პრიზიორს დოპინგი უპოვნეს

სააგენტო "როიტერის" ცნობით, დოპინგ-ტესტმა ფრანგი მორბენლის **ნამან კეიტას** ორგანიზმში ტესტოსტერონის გადაჭარბებული დოზა დააფიქსირა.

კეიტა 400 მეტრზე თარჯრბენში სპეციალიზირდება და მან ამ დისციპლინაში 2004 წელს, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიგო.

დოპინგის მიღების ფაქტი პირველი ტესტის შემდეგ გახდა ცნობილი. თუ განმეორებითი ანალიზიც იგივეს დაადასტურებს, მაშინ ფრანგ მძლეოსანს 2-წლიანი დისკვალიფიკაციით დასჯიან.

თავად ნამან კეიტა აცხადებს, რომ კუჭის მკურნალობისთვის საჭმლის დანამატებს იღებდა, რომელთა შემცველობაც საფრანგეთის ნაკრების ექიმებს არ შეუმოწმებიათ.

კალათბურთი

# შაქილ ონილი განქორწინებისთვის ემზადება

## ცნობილმა ცენტრმა მეუღლე მფლანგველობისთვის მოიძულა

"მაიამი ჰიტისა" და ამერიკის ნაკრების ცნობილი ცენტრალური თავდამსხმელი **შაკილ ო'ნილი** მეუღლესთან განქორწინებას აპირებს. შაკი და **შონი** უკვე ხუთი წელია ერთად ცხოვრობენ - მათი ქორწინების თარიღი 2002 წლის 26 დეკემბერი გახლავთ. წყვილს ექვსი შვილი ჰყავს: ოთხი ერთობლივი თანაცხოვრების დროს შეძენილი და თითო-თითო წინა ქორწინებიდან გამოყოლილი.

განქორწინების მიზეზი შონი გახლავთ. შაკილი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მის ცოლს ფულის უაზროდ ხარჯვისკენ აქვს მიდრეკილება. შეგახსენებთ, რომ ო'ნილი "მაიმისთან" კონტრაქტის მიხედვით, წელიწადში 20 მილიონ დოლარს იღებს, ხოლო კიდევ რამდენიმე მილიონს სარეკლამო ხელშეკრულებების თანახმად გამოიმუშავებს.

გაზეთ Miami Herald-ის ცნობით, შაკილმა მოითხოვა *"იმ ყველა თანხის, კაპიტალის, აქციების, ობლიგაციების და სხვა ფასიანი ქაღალდების საბუღალტრო ანგარიში, რომელთანაც შონის ერთობლივი თანაცხოვრების დროს ჰქონდა კავშირი"*. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ დაიცავს "დაჩაგრული" ქალის ინტერესებს სასამართლოში.

როგორც სააგენტო AP იუწყება, "მაიამი ჰიტის" ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა ამ სიტუაციის კომენტირებისგან, თავად კალათბურთელმა კი, პრესისთვის ოფიციალური ინფორმაციის მიცემა არ ისურვა. თუმცა შაკილის ერთ-ერთმა აგენტმა, **აირა ელეგანტმა** პრესას აცნობა, რომ ო'ნილმა განქორწინებაზე განცხადება მართლაც შეიტანა მაიამის სასამართლოში.



შაკი და შონი

ოლიმპიზმი

პეკინი 2008

# ავსტრალია ხუთეულში

ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ პეკინის ოლიმპიადაზე ჩინელი და ამერიკელი სპორტსმენების კონკურენციის პირობებში, ოზი სპორტსმენები იმაზე ნაკლებ მედალს მოიპოვებენ, ვიდრე წინა თამაშებზე მიიღეს.

ავსტრალიელებმა სიდნეის ოლიმპიადაზე 58 მედალი მოიპოვეს, ათენში კი მათი მონაგარი 49 მედლამდე შემცირდა. ორივე ოლიმპიადაზე ოზთა დელეგაციამ მედლების არაოფიციალურ ჩათვლაში მეოთხე ადგილი დაიკავა და ორივეგან მათზე წინ აშშ, ჩინეთი და რუსეთი აღმოჩნდნენ.

ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტი პეკინში 500-ზე მეტი სპორტსმენის გაგზავნას გეგმავს, რაც ქვეყნის ოლიმპიურ ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელი იქნება. ავსტრალიელები იმედოვნებენ, რომ მედლების ცხრილში მოწინავე ხუთეულში დარჩენას შეძლებენ.

*"გვჯერა, რომ პეკინში 500-ზე მეტი სპორტსმენის მივლინებას შევძლებთ. და თუ ასე მოხდა, მაშინ ოლიმპიადაზე სიდიდით, მესამე დიდი გუნდი გვეყოლება ჩინეთისა და აშშ-ის შემდეგ. ვიმედოვნებთ, რომ ასეთი დიდი დელეგაციით, მედლების ჩათვლაში მოწინავე ხუთეულში გავალთ"*, - ამბობს ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის (AOC) პრეზიდენტი **ჯონ კოუტსი**.

ასეთი დიდი გუნდი ავსტრალიას ოლიმპიადებზე ჯერ არასოდეს მიუვლენია. თუმცა კოუტსი ვარაუდობს, რომ ჩინელებისა და ამერიკელების კონკურენციის გამო, სხვა ქვეყნების ოლიმპიელებს "ნარჩენებისთვის ბრძოლა მოუწევთ".

ავსტრალიის და ჩინეთის ოლიმპიურმა კომიტეტებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, ავსტრალიელი სპორტსმენები პეკინის ოლიმპიური არენების მშენებლობის დასრულების შემდეგ, რაც შეიძლება მეტ სატესტო ტურნირებზე იასპარეზებენ. კოუტსის ვარაუდით, ოლიმპიური არენების სატესტო შეჯიბრებებზე გამოსვლისას, ავსტრალიელი ათლეტები პეკინურ ჰავას და გარემოს შეეგუებიან და დიდი სტარტების წინ ეცოდინებათ, რა პირობებში მოუწევთ გამოსვლაო.

*"ამ ეტაპზე ვერავინ იტყვის, თუ როგორი პოტენციალი გააჩნიათ შინ მოასპარეზე ჩინელ ათლეტებს. ნაწილობრივ ამას ოლიმპიური არენების სატესტო ტურნირების დროს დავინახავთ, რომლებზეც ჩინელები თავიანთ ახალ, ნიჭიერ სპორტსმენებს მიავლენენ. მათი მიზანი მედლების ცხრილში მოწინავე პოზიციის დაკავებაა და ისინი ყველაფერს იზამენ ამ ამოცანის დასაძლევად. ჩვენ კი სწორედ ტესტ-ტურნირებზე დავინახავთ, თუ ვისთან გვექნება საქმე უშუალოდ პეკინის ოლიმპიადის დროს"*, - დასძენს კოუტსი.



ოლიმპიადის დაწყებამდე წელიწადზე ნაკლები დრო დარჩა

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა